საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№17 (582)
19 - 25 მაისი, 2021
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდი 20-22

# მარნეულში ორჯერ დარბეული ჯვრიდან



4-5

# დმანისის მუშტი-კრივამდე

## საქართველოსა და უკრაინას ნატოს სამიტზეც აღარ ეპატიჟებიან 3



გურამ ნიკოლაიშვილი:



## «ალიანსის ახალ-ახალი მოთხოვნები არის იმიტაცია, რომ მათი ლოზუნგი «ნატოს კარი ღიაა» ფორმალურად მაინც იყოს გამართლებული» 2

## დღისით, მზისით, ჩვენ გვერდით ნარკოტიკი სააღდგომო კვერცხზე იცვლება და ხმას არავინ იღებს 8






## აი ამ ფაქტების ცოდნა და თქმა არის საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს სოროსული ხროვა, ლევან ვასაძეს კი არა, ნებისმიერს «შეჭამს» 9



## 124-მა გენერალმა ბაიდენის ფსიქიკურ ჯანმრთელობაში ეჭვი შეიტანა 11



## კუჭავა ბრიუსელში, როგორც რუსები იტყვიან, «ნა კავიორ» გამოიძახეს 10




## უკრაინას მოუწოდეს, დააბრუნოს «ოკუპანტის» ნაჩუქარი მიწები 24

ჩაქუჩი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საქართველომ ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა თქვას ყოველგვარ სამხედრო ბლოკზე, რომელიც ყოველთვის იქნება ამა თუ იმ გეოპოლიტიკური ვექტორის ინტერესების გამომხატველი. ამაში ვხედავ გამოსავალს და აუცილებლად კონსტიტუციიდან უნდა იქნეს ამოღებული ის ჩანაწერი, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, რომ თურმე საქართველოს ზესტრატეგიული ამოცანაა ნატოსკენ სწრაფვა“.



გურამ ნიკოლაიშვილი:

# ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ გენერლები პენსიაზე გავუშვათ, თავდაცვა კი ჩავაბაროთ ბანკირებს, ბიზნესმენებს და ა.შ.

## «ალიანსის ახალ-ახალი მოთხოვნები არის იმიტაცია, რომ მათი ლოზუნგი «ნატოს კარი ღიაა» ფორმალურად მაინც იყოს გამართლებული»

**რამდენიმე დღის წინათ პარლამენტში „მინისტრის საათის“ ფარგლებში სიტყვით გამოსვლისას საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ თავდაცვის ძალების განვითარებისთვის საერთაშორისო პარტნიორების ქმედითი მხარდაჭერის მნიშვნელობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ დღეს, როგორც არასდროს, საქართველო მზად არის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის. მისი თქმით, ქვეყანა, მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, კვლავ ეფუძნება პრინციპს „მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოში“, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს აღებული კურსისადმი ერთგულებას.**

თავდაცვის მინისტრმა ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ საქართველო, მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, კვლავ რჩება ალიანსის მთავარი მოთხოვნის ერთგული, რაც მშპ-ის 2%-ის თავდაცვის მიზნებისთვის გამოყოფას გულისხმობს: „საქართველო რჩება ერთგული ნატოს მთავარი ფინანსური მოთხოვნის, მშპ-ის 2%-ის თავდაცვის მიზნებისთვის გამოყოფის შესახებ. საქართველო ასევე იცავს ნატოს სხვა ფინანსურ მოთხოვნებს და თავდაცვის ბიუჯეტის 20%-ზე მეტი შეიარაღების შეძენაზე იხარჯება, ხოლო პერსონალზე დანახარჯი რჩება დაახლოებით 50%-ის ფარგლებში...“

**ცნობისთვის:** საქართველო, უკვე 10 წელიწადზე მეტია, ერთგულად იცავს ნატოს მოთხოვნას და მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 2 პროცენტს შეიარაღების მოდერნიზაციაზე ხარჯავს. აღნიშნული თანხები, ძირითადად, ნატოს მიერ „ჩამოწერილი“ შეიარაღების შეძენას ხმარდება, მათი გარკვეული ნაწილი კი (მაგალითად, „ჯაველინები“) ისევ და ისევ ნატოს მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო უსაფრთხოების მისიებში გამოიყენება.

**რა მდგომარეობაშია დღეს საქართველოს თავდაცვის სისტემა, რომელიც, მინისტრის შეფასებას თუ დავუჯერებთ, მუდმივ მოდერნიზაციასა და ტრანსფორმაციას განიცდის და აქვს თუ არა ქვეყანას „ყველა საჭირო პრაქტიკული მექანიზმი ალიანსის წევრობისთვის“ — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი.**

**— ბატონო გურამ, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ ქვეყანას აქვს ყველა საჭირო პრაქტიკული მექანიზმი ნატოში ინტეგრაციისთვის. მან ხაზი გაუსვა ალიანსთან თანამშრომლობის გაღრმავებას და ერთობლივ სწავლებებს, რაც, თურმე, დასტურია იმისა, რომ ჩვენ აუცილებლად შევალთ სამხედრო ბლოკში. თქვენ, როგორც სამხედრო, რას ფიქრობთ ამ შეფასებებზე და, საერთოდ, მინისტრის გამოსვლაზე?**

— **ბურჭულაძე,** მოგეხსენებათ, თავდაცვის მინისტრი გახდა მას შემდეგ, რაც **ირაკლი ღარიბაშვილმა** დაიკავა პრემიერის პოსტი. მანამდე მისი მოადგილე იყო და ფინანსებს განაგებდა. ცუდი ადამიანი ნამდვილად არ არის, საკმაოდ განათლებულია და თავის დროზე ღარიბაშვილთან ერთად ბევრი გააკეთა ჯარისკაცების სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად. სხვათა შორის, რვა შვილის მამაა. რაც შეეხება მის გამოსვლას საკანონმდებლო ორგანოში, პარლამენტში თავდაცვის მინისტრი არ უნდა გამოდიოდეს ანგარიშით, იმიტომ, რომ იქ თავდაცვაზეა სალაპარაკო, შეიარაღებაზე, თავდაცვისუნარიანობაზე, სტრატეგიაზე, სამშვიდობო ოპერაციებზე და ა.შ., რაზეც ის არ აგებს პირდაპირ პასუხს; პირდაპირი პასუხისმგებელი ამაზე არის გენერალური შტაბის უფროსი, ამიტომ ის უნდა გამოდიოდეს...

**— ნატოს მიმართ გზავნილებზე რას იტყვით, აქვს დღეს საქართველოს „ყველა საჭირო პრაქტიკული მექანიზმი“ ალიანსის წევრობისთვის, როგორც ეს მინისტრმა განაცხადა?**

— არ ვიცი, კონკრეტულად რას გულისხმობდა ბატონი ბურჭულაძე, მაგრამ, თუ მას მხედველობაში ჰქონდა ის, რომ საქართველო ზედმიწევნით ასრულებს ალიანსის ხელმძღვანელობის ყველა მოთხოვნას, მათ შორის ისეთსაც, რაც შეიძლება, ვერ იყოს თანხვედრაში ჩვენს ეროვნულ ინტერესებთან, ეს ნამდვილად ასეა. თუმცა, მიუხედავად ამისა, საქართველო არც კი განიხილება ნატოს პოტენციურ წევრად და ეს ცხადყოფს ჩვენს სრულ უპერსპექტივობას ამ მიმართულებით. სხვათა შორის, ბოლო 20-25 წლის განმავლობაში არ ყოფილა სწავლება, პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში, რომელშიც საქართველოს არ მიუღია მონაწილეობა... მოკლედ, რეალობა არის ასეთი: **როგორი ზედმიწევნითაც უნდა შევასრულოთ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოთხოვნები, ჩვენ ვერ ვხდებით და ვერც გავხდებით მისი წევრი; ეს ახალ-ახალი მოთხოვნები არის უბრალოდ იმიტაცია და დროის გაჭიანურება იმისთვის, რომ ალიანსის ლოზუნგი „ნატოს კარი ღიაა“ ფორმალურად მაინც იყოს გამართლებული, მორჩა.**

**— თუმცა, როცა ბაიდენი აშშ-ის პრეზიდენტი გახდა, იყო მოლოდინი, რომ ვაშინგტონი უფრო ქმედით ნაბიჯებს გადადგამდა საქართველოს ნატოში ინტეგრაცისთვის...**

— მოლოდინი ერთია, მაგრამ რეალობას შევხედოთ: დღეს ამერიკას სერიოზული ეკონომიკური პრობლემები აქვს, მოიმატა უმუშევრობამ, ინფლაციამ... სხვათა შორის, ამას წინათ გამოქვეყნდა მონაცემები, რომელთა თანახმად, სამომხმარებლო ფასები, წინა წელთან შედარებით, 4,2%-ით გაიზარდა, ინფლაცია კი 2,6-2,7%-მდე ავიდა. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა — **ქვეყანას, რომელიც ამხელა გამოწვევების წინაშე დგას და პლუს კიდევ საშინაო პოლიტიკურ ასპარეზზე საშიში ვითარება აქვს, ცალია იმისთვის, რომ საქართველოს ალიანსში ინტეგრირების საკითხი სერიოზულად დააყენოს და ამით კიდევ უფრო გაიმწვავოს რუსეთთან ურთიერთობა?**

**— თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— მე ვიცი, რომ რუსეთი, ჩინეთთან ერთად, არის მზარდი ძალა, რომელმაც უკვე შექმნა ჰიპერიარაღი. საერთოდ, რუსეთმა საკუთარი შეიარაღების 70% უკვე განაახლა, ხოლო ამერიკას ამ თვალსაზრისით ბოლო წლებში რამე მნიშვნელოვანი მოდერნიზაცია არ განუხორციელებია. რაც შეეხება ჩვენს შეიარაღებულ ძალებს, კარგია, რომ მინისტრი საავიაციო პარკის განახლებაზე საუბრობს, მაგრამ **დღეს საქართველოს საჰაერო თავდაცვის სისტემის სულ სამი მანქანა ჰყავს, რომლებიც, რამე რომ იყოს, დედაქალაქის მხოლოდ ერთი პროცენტის დაცვას თუ შეძლებს. აი, ეს არის მიმართულება, რომელიც სერიოზულად მისახედია, მაგრამ, როგორც ჩანს, დღევანდელი ჩვენი თავდაცვის უწყება ამას მთავარ პრიორიტეტად არ განიხილავს...**

**— რატომ? სხვათა შორის, ბურჭულაძემ იმაზეც გაამახვილა ყურადღება, რომ საქართველო ერთგულია ალიანსის ფინანსური მოთხოვნის, რომელიც თავდაცვის ბიუჯეტის 20%-ზე მეტის შეიარაღების შეძენაზე დახრჯვას გულისხმობს...**

— ნატოს ფინანსური მოთხოვნა ემსახურება ერთადერთ მიზანს — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაყიდოს რაც შეიძლება მეტი იარაღი და ამით ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა, რომელსაც საინვესტიციო ფონდები აძლევენ ფულს, მთავრობის გარანტიით, შეინარჩუნოს მსოფლიო მონოპოლია იარაღის წარმოებაზე. რაც შეეხება ჩვენ მიმართ მოთხოვნებს, **ნატოსთან თანამშრომლობის ფარგლებში ჩვენ უკვე შეგვაძენინეს „ჯაველინები“, რომელთა გარკვეული ნაწილიც მათივე სამშვიდობო მისიებში გამოვიყენეთ, შეგვაძენინეს „სტინგერები“, რადიოტექნიკური საშუალებები და ახლა ვყიდულობთ „მ4-ებს“, რომლებიც არაფერში გვჭირდება; არ გვჭირდება იმიტომ, რომ ის იარაღი, რომლის ფუნქციაც მან უნდა შეასრულოს, უკვე გვაქვს.** სხვათა შორის, ზუსტად ასე აიძულეს თავის დროზე გერმანია, შეეძინა ამერიკული იარაღი, რომელსაც საკუთარი წარმოების არანაკლებ მაღალი ხარისხის ავტომატები ჰქონდა, მაგრამ მაინც მოუძებნეს რაღაც ნაკლი.

> «ნატოსთან თანამშრომლობის ფარგლებში ჩვენ უკვე შეგვაძენინეს «ჯაველინები», რომელთა გარკვეული ნაწილიც მათივე სამშვიდობო მისიებში გამოვიყენეთ, შეგვაძენინეს «სტინგერები», რადიოტექნიკური საშუალებები და ახლა ვყიდულობთ „მ4“-ებს, რომლებიც არაფერში გვჭირდება; არ გვჭირდება იმიტომ, რომ ის იარაღი, რომლის ფუნქციაც მან უნდა შეასრულოს, უკვე გვაქვს»

**— ჩვენთანაც ხომ ამოიღეს საბჭოთა შეიარაღების გარკვეული ნაწილი?**

— სააკაშვილი როგორც კი მოვიდა ხელისუფლების სათავეში, დაიწყო საბჭოთა შეიარაღების სრული განადგურება. **გაანადგურეს 600 ერთეული საჰაერო თავდაცვის სისტემა და მათგან 280 ერთეული 100-მილიმეტრიანი საზენიტო დანადგარი იყო. ასევე ჩამოწერეს თავდაცვითი და მოიერიშე თვითმფრინავი „სუ-24“-ები, არ გჭირდებათ ავიაციაო. თუმცა ეს კიდევ არაფერი, სრულიად უმიზეზოდ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე სამსახურებიდან გაუშვეს ასეულობით სამხედრო, მათ შორის გენერლებიც. რატომ, იცით? იმიტომ, რომ ნატოს მოთხოვნა იყო, საბჭოთა სამხედრო განათლება მიღებული ხალხი არ დაგვეტოვებინა შეიარაღებულ ძალებშიო.** აი, ამის გაგრძელებაა ის, რაც დღეს ხდება. სხვათა შორის, ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს ყოველთვის ჰყავს რამდენიმე გადამდგარი ავტორიტეტული გენერალი, რომლებიც მათი კონსულტანტები არიან და ისინი ხშირად ჩადიან სატელიტ ქვეყნებში, რათა ხელისუფლებები დაარწმუნონ ამერიკული შეიარაღების შეძენის აუცილებლობაში. ერთ-ერთი ასეთი გენერალია **ბენ ჰოჯესი**, რომელმაც თავის დროზე გვითხრა, თქვენ თუ „ჯაველინებს“ იყიდით, რუსებს ყელში გაეჩხირებითო, უკვე გვაომა რუსეთთან. და შევიძინეთ კიდეც. მერე იყო ჟრიამული, ავშენდითო, გახსოვთ, ალბათ...

**— რა არის საჭირო იმისთვის, რომ ქვეყნის თავდაცვა რეალურად გაძლიერდეს და მუდმივად გარედან კარნახზე არ ვიყოთ დამოკიდებული იმავე შეიარაღების შეძენა-არშეძენის საკითხშიც?**

— პირველი და უმთავრესი: **საქართველომ ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა თქვას ყოველგვარ სამხედრო ბლოკზე, რომელიც ყოველთვის იქნება ამა თუ იმ გეოპოლიტიკური ვექტორის ინტერესების გამომხატველი.** ამაში ვხედავ გამოსავალს და აუცილებლად კონსტიტუციიდან უნდა იქნეს ამოღებული ის ჩანაწერი, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, რომ თურმე საქართველოს ზესტრატეგიული ამოცანაა ნატოსკენ სწრაფვა. ხვალ რომ ნატო დაიშალოს, რას ვშვრებით, კონსტიტუცია უნდა შევცვალოთ?! რაც შეეხება შეიარაღებულ ძალებს, **ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ გენერლები პენსიაზე გავუშვათ და შინ დავსვათ, ხოლო თავდაცვა ჩავაბაროთ ბანკირებს, ფინანსისტებს, ბიზნესმენებს და ა.შ. არ შეიძლება, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს მუდმივად ხელმძღვანელობდნენ პირები, რომლებსაც საერთოდ წარმოდგენა არ აქვთ თავდაცვის სისტემაზე.** სხვათა შორის, არც ისე დიდი ხნის წინათ პრემიერის მრჩევლად დაინიშნა **ირაკლი სესიაშვილი**, რომელიც, ჩემი აზრით, ცოტა შეუფერებელია ამ თანამდებობისთვის. პირადად არაფერს ვერჩი მას, მაგრამ ადამიანი, რომელიც, მგონი, ჯარშიც კი არ არის ნამყოფი, რანაირად შეიძლება იყოს მთავრობის მეთაურის მრჩეველი თავდაცვის საკითხებში, ცოტა რთულად წარმოსადგენია. აი, ეს არის ის ხარვეზები, რომლებიც, სხვა ასევე მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, საფუძვლიან გადახედვას საჭიროებს, თუმცა ყველას გვესმის, რომ ამას სჭირდება სისტემური ცვლილება, რომელიც ჯერ პოლიტიკურ დონეზე განხორციელდება და შექმნის იმის შესაძლებლობას, რომ რეალურად სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გამტარებელი ძალები მოვიდნენ სათავეში...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**უკრაინა იმედოვნებდა, რომ ბრიუსელში იმსჯელებდნენ ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმის მიცემაზე. ამასთანავე, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანდრეი ერმაკი ყველას არწმუნებდა, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენის, კიევში ვიზიტისას ამერიკულმა მხარემ „სრულად დაუჭირა მხარი“ უკრაინისთვის წევრობის სამოქმედო გეგმის მიცემასა და ალიანსში ქვეყნის ინტეგრაციას, მაგრამ მსგავსი რამ ჰორიზონტზეც არ ჩანს.**

ნატოს ჩარაზული კარი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო: ნატოს სამიტი, რომელიც 14 ივნისს არის დაგეგმილი, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პარტნიორი ქვეყნების, მათ შორის საქართველოსა და უკრაინის მონაწილეობის გარეშე ჩატარდება. ეს ცნობილი შეიქნა ნატოს წევრი ქვეყნების ელჩების სხდომის ჩატარების შემდეგ, რომელზეც სამიტის დღის წესრიგი განისაზღვრა. ნატოში ოფიციალურად განმარტეს, რომ ალიანსის წევრებს განზრახული აქვთ „ძალიან კამერული სამიტის“ ჩატარება სახელმწიფო მეთაურების დონეზე და სამიტზე პრეზიდენტ ბაიდენთან იმსჯელებენ ტრანსატლანტიკური ურთიერთობების მომავალზე ამერიკის ადმინისტრაციის შეცვლის შემდეგ.**

# საქართველოსა და უკრაინას ნატოს სამიტზეც აღარ ეპატიჟებიან

## ალიანსის სამიტზე, რომელიც ბრიუსელში 14 ივნისს არის დაგეგმილი, პარტნიორი ქვეყნები, მათ შორის საქართველო და უკრაინა, არ მიუწვევიათ

ნატოს გენერალური მდივნის, **იენს სტოლტენბერგის** თქმით, მოსალოდნელია გადაწყვეტილების მიღება „დღის წესრიგზე „ნატო-2030“, რათა გავუმკლავდეთ ამჟამინდელ და სამომავლო გამოწვევებს“.

თბილისსა და კიევს განზრახული ჰქონდათ ამ სამიტზე დასწრება ნებისმიერ რანგში, თავიანთ განცხადებებში ხომ (რომლებიც, ძირითადად, შიდა აუდიტორიაზეა გათვლილი) დაუფარავად ამბობენ, რომ ალიანსში შესვლა „პრაქტიკულად გადაწყვეტილია“, ამიტომ მათ ამ თეზისის დადასტურება სჭირდებათ სიმბოლურ დონეზე მაინც.

რაც შეეხება კონკრეტულად უკრაინას, ის იმედოვნებდა, რომ ბრიუსელში იმსჯელებდნენ ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმის მიცემაზე. ამასთანავე, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ანდრეი ერმაკი** ყველას არწმუნებდა, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, **ენტონი ბლინკენის,** კიევში ვიზიტისას ამერიკულმა მხარემ „სრულად დაუჭირა მხარი“ უკრაინისთვის წევრობის გეგმის მიცემასა და ალიანსში ქვეყნის ინტეგრაციას, მაგრამ მსგავსი რამ ჰორიზონტზეც არ ჩანს. შემდეგ **უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიმიტრი კულებამ განაცხადა, რომ მისი უწყება „მუშაობს უკრაინისა და საქართველოს სამიტში ჩართვის ფორმატზე“. მისი თქმით, „ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ დისკუსიის დაწყება, შესაბამისი პროცესის დაძვრა“.**

მაგრამ ვისთან და რომელ ფორმატში აპირებენ თბილისი და კიევი ასეთი დისკუსიის დაწყებას, არავინ იცის. დუმს გერმანია, რომელიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე არჩევნების შედეგებს ელოდება; ჩუმადაა საფრანგეთიც, სადაც არჩევნები 2022 წელს უნდა ჩატარდეს. **უკრაინისა და საქართველოს ნატოში მიღების საკითხზე ჯერჯერობით სოლო გამოსვლები აქვს ნატოს გენმდივან იენს სტოლტენბერგს, რომელმაც მარტის ბოლოს განაცხადა, რომ ჯერჯერობით შეუძლებელია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოსა და უკრაინის შესვლის ვადების განსაზღვრა, რადგან ამისთვის საჭიროა კონსენსუსი“.**

აპრილის ბოლოს უკრაინისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა იმსჯელეს თანამშრომლობის საკითხებზე და გადაწყვიტეს, „კოორდინირებულად იმოქმედონ ნატოსა და ევროკავშირში შესვლასთან მიახლოების მიზნით“, „რადგან დასავლური ელიტები არ ჩქარობენ მათ მიწვევას გაერთიანებაში“.

ამ თემაზე იმსჯელეს უკრაინისა და საქართველოს პრეზიდენტებმა — **ვლადიმერ ზელენსკიმ** და **სალომე ზურაბიშვილმა.** ამა წლის თებერვალში კიევმა გაამხილა ბაიდენის ადმინისტრაციასთან ურთიერთობის ზოგიერთი დეტალი და განაცხადა, რომ **აპირებს, ვაშინგტონის მხარდაჭერით შექმნას სამმხრივი სამხედრო ალიანსი უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვის მონაწილეობით.** ამ განცხადების კომენტირებისას დასავლელი ექსპერტები ამბობდნენ, რომ ვაშინგტონი კიევის, თბილისისა და კიშინიოვისთვის „ფრონტისპირა“ სახელმწიფოების სტატუსის მინიჭებას აპირებს. **რა გამოვა ამ პროექტიდან და გამოვა თუ არა საერთოდ რამე, არავინ იცის, თუმცა მოლდოვამ პროექტიდან, ასე ვთქვათ, ამოვარდნა დაიწყო.**

შეგახსენებთ, რომ **ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ჯერ კიდევ 2008 წელს განიხილავდა უკრაინისა და საქართველოს განაცხადების მიღებას ინტეგრაციისთვის მოქმედების გეგმის შესახებ. იმხანად ნატოს ბუქარესტის სამიტზე ორივე ქვეყანამ უარი მიიღო. შემდეგ გაჩნდა მოსაზრება, რომ „საქართველოს ნატოს წევრობის უფრო მეტი შანსი აქვს, ვიდრე უკრაინას“ და „უახლოეს პერსპექტივაში საქართველო ნატოს 31-ე წევრი იქნება“, მაგრამ საქართველოს წარმატებული სვლა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციისკენ ჯერჯერობით ვერ ხერხდება,** ნატოში კი მიმდინარეობს დახურული დისკუსიები პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ინტეგრაციაზე შემდეგი ნაბიჯების შესახებ. **ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ესმით, რომ თბილისსა და კიევს სურთ არა უბრალოდ დასავლეთის მხარეს გადასვლა, არამედ რუსეთთან დაპირისპირებაში თავიანთი პრობლემების მის მხრებზე გადატანა, უფრო მეტიც, ისინი იმედოვნებენ, რომ დასავლეთის დახმარებით დაიბრუნებენ კონტროლს დაკარგულ ტერიტორიებზე.**

ავსტრიული გამოცემა Wiener Zeitung-ი წერს: „მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი სამხედრო მრჩევლები უკვე იმყოფებიან ქვეყანაში, ისინი კიევის მხარეს არ იბრძოლებენ“, სხვათა შორის, არც თბილისის.

**გერმანული გამოცემა JUNGE WELT-ის ვარაუდით, ნატოში უფრთხიან იმას, რომ კიევსა და თბილისში გარკვეული ძალები ალიანსს ჩაითრევენ „ქართულ სცენარში“, როცა თბილისი 2008 წელს შეეცადა სსრკ-ის დაშლის შემდეგ მისგან წასული რეგიონების დაბრუნებას.** „შედეგად, — წერს გამოცემა, — დღეს საქართველო ისევე არ არის ახლოს ნატოს წევრობასთან, როგორც იმხანად, უკრაინა კი კიდევ უფრო შორსაა“. რაც შეეხება ნატოს, **„ალიანსი, უბრალოდ, თავს იზღვევს, რომ სტრატეგიულად უმნიშვნელო ტერიტორიული კონფლიქტების მძევლად არ იქცეს. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ ამუშავებენ უკრაინელი და ქართველი სტრატეგები პარალელურ სცენარებს: თუკი ნატოს ბლოკი ლაჩრობას გამოიჩენს, ისინი ერთობლივი, „მოკავშირული“ ძალებით შექმნიან ვითარებას მოვლენებში ალიანსის წევრი ქვეყნების ჩართვის მიზნით.** ე.ი., უკრაინასა და საქართველოში შიდა პოლიტიკური ძალები შეეცდებიან ამ კარტის თავიანთ სასარგებლოდ გათამაშებას და დასავლეთის თავიანთ მძევლად გადაქცევას. ამიტომ **ალიანსში საქართველოსა და უკრაინის შესვლაზე ნატოს მოქმედების ტაქტიკის ცვლილება მიუთითებს დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის განზრახვაზე, შეცვალოს პოზიცია და არ გაამწვავოს ურთიერთობა რუსეთთან. ექსპერტები არც იმას გამორიცხავენ, რომ ნატოს ტაქტიკის ცვლილება აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტების — ჯო ბაიდენისა და ვლადიმერ პუტინის — სამომავლო შეხვედრის გამო მოხდა.**

**ამიტომ სტოლტენბერგის ხმამაღალი განცხადებები შამანის შელოცვად უფრო აღიქმება: უკრაინა და საქართველო იქნებიან ალიანსის წევრები, ოღონდ როდის — არავინ იცის.**

ყველაფერი მიდის იქით, რომ საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებები ადრე თუ გვიან კრემლთან ერთი ერთზე დარჩებიან, ზურგს უკან კი დასავლელი პარტნიორები არ ეყოლებათ, რომელთა გარეშეც კარდინალური პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას თავს არიდებენ.



**თბილისსა და კიევს განზრახული ჰქონდათ ამ სამიტზე დასწრება ნებისმიერ რანგში, თავიანთ განცხადებებში ხომ (რომლებიც, ძირითადად, შიდა აუდიტორიაზეა გათვლილი) დაუფარავად ამბობენ, რომ ალიანსში შესვლა «პრაქტიკულად გადაწყვეტილია», ამიტომ მათ ამ თეზისის დადასტურება სჭირდებათ სიმბოლურ დონეზე მაინც**



**ყველაფერი მიდის იქით, რომ საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებები ადრე თუ გვიან კრემლთან ერთი ერთზე დარჩებიან და ზურგს უკან დასავლელი პარტნიორები არ ეყოლებათ, რომელთა გარეშეც კარდინალური პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას თავს არიდებენ**

**iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საქართველოს არ ჰყავს პოლიტიკური ხელმძღვანელობა. საქართველოს მართავს უცხოეთიდან დაფინანსებული აგენტურული ქსელი, რომელსაც ჰქვია ხელისუფლება და საქართველოს სახელმწიფო დროშის, გერბისა და სხვა ატრიბუტიკის ქვეშ აკეთებს უპრეცენდენტო მასშტაბის ანტიქართულ საქმეს. აი, ეს არის მიზეზთა მიზეზი, თორემ ისტორიულად ჩვენ ყოველთვის გვყავდა ეთნიკური უმცირესობები, მაგრამ არასოდეს არანაირი კონფლიქტი არ გვქონია არც აზერბაიჯანელებთან, არც სომხებთან, არც ბერძნებთან და არც სხვა რომელიმე ერის წარმომადგენლებთან“.



ლევან ჩაჩუა:

# ვიღაცის უხილავი ხელი ყველანაირად ცდილობს ეთნიკური შუღლის გაღვივებას

**13 მაისს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კუშჩის მახლობლად მრევლისა და ადგილობრივი ეპარქიის მიერ გაგის ციხე-კოშკზე აღმართული ჯვარი, რომელიც რამდენიმე თვის წინათ მოპარული ჯვრის ადგილას დაიდგა, ისევ დაარბიეს. ინფორმაცია, შესაბამის ფოტოებთან ერთად, მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიამ სოციალურ ქსელში გაავრცელა. კერძოდ, განცხადებაში, რომელიც ეპარქიის ოფიციალურ ფეისბუკგვერდზე განთავსდა, აღნიშნულია, რომ ფაქტი გარკვეული ძალების მხრიდან რეგიონში რელიგიური შუღლის ჩამოგდების მცდელობაზე მიუთითებს, რაც ყოველგვარ ზღვარს ცდება და არის როგორც სარწმუნოების, ისე სახელმწიფოებრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული: „როგორც ჩანს, მავანთ ასეთი პროვოკაციული ქმედებებით განზრახული აქვთ რეგიონში რელიგიურ ნიადაგზე შუღლის ჩამოგდება, რომელიც სცდება ყოველგვარ ზღვარს და არის ჩვენი სარწმუნოებისა და სახელმწიფოებრიობის წინაშე ჩადენილი უდიდესი დანაშაული...“**

მოგვიანებით მედიასთან კომენტარი ჰუჯაბის ეპისკოპოსმა, მეუფე გიორგიმაც (ჯამდელიანი) გააკეთა და განაცხადა, რომ ჯვრის ასე დაზიანება? ხელით რამდენიმე ადამიანიც კი ვერ შეძლებდა: „ამოგდება ძირფესვიანად სცადეს, მაგრამ ვერ შეძლეს და რაღაცნაირად მოახერხეს ტექნიკის თუ რაღაცის გამოყენებით...“ (რა სახის ტექნიკითა და საშუალებებით შეიძლებოდა, ეს ყველაფერი გაკეთებულიყო, მეუფეს არ დაუკონკრეტებია). მომხდარზე გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე დაიწყო — გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს და სასჯელის ზომად ფულად ჯარიმას, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას, შინაპატიმრობას ან ერთიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შეგახსნენებთ, რომ დაუდგენელმა პირებმა გაგის ციხე-კოშკზე ჯვარი და საქართველოს სახელმწიფო დროშა მიმდინარე წლის იანვარში მოგლიჯეს, რის შემდეგაც ადგილობრივმა ეპარქიამ და მრევლმა ახალი ჯვარი მალევე აღმართეს.

**ვინ და რა ძალები დგანან მარნეულის მუნიციპალიტეტში მომხდარი ამ პროვოკაციის მიღმა და რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პარტია „ქართული იდეის“ ხელმძღვანელი ლევან ჩაჩუა.**

**— ბატონო ლევან, ბოლო 4-5 თვეში მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კუშჩის მახლობლად, გაგის ციხე-კოშკზე ჯვარი ორჯერ დაარბიეს. ამას, ბუნებრივია, საზოგადოების მძაფრი რეაქცია მოჰყვა. კეთდება განცხადებები, რომ ეს ყველაფერი რეგიონში რელიგიური შუღლის ჩამოგდების მცდელობაა... თქვენი აზრით, რა ხდება სინამდვილეში?**

— უწინარესად, მინდა, სოლიდარობა გამოვუცხადო მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიას, იმიტომ, რომ რაღაც განსაკუთრებული დარტყმის ქვეშაა ბოლო პერიოდში ეს ეპარქია. ამას უკვე ყველა ვხედავთ თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში და, რა თქმა უნდა, ეს შემთხვევით არ ხდება. მინდა, გაგახსენოთ, რომ **პროვოკაციები ამ რეგიონში დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა „ოცნების“ ხელისუფლებამ ნარიმან ნარიმანოვის ძეგლი დემონსტრაციულად დადგა მარნეულის ცენტრში. თანაც ეს გაკეთდა 26 მაისს — დამოუკიდებლობის დღეს და გახსოვთ, ალბათ, მაშინ ამას საზოგადოების უმძაფრესი რეაქცია მოჰყვა, თუმცა მმართველი გუნდისთვის ამას ხელი არ შეუშლია. აი, ამის შემდეგ უკვე იყო გაგის ციხე-კოშკზე ჯვრის გადაჭრა და გაუჩინარება საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად, რომელიც იქვე იყო აღმართული...** რას ნიშნავს ეს ყველაფერი? ვფიქრობ, **ის, რაც უკვე მეორედ მოხდა, ვგულისხმობ ხელახლა დადგმული ჯვრის ისევ დარბევას, არის აშკარა ნიშანი იმისა, რომ ქვეყანაში უკვე მოურიდებლად მოქმედებენ გარკვეული ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი ჯგუფები, რომლებიც ყველა გზასა და ხერხს მიმართავენ, მათ შორის დესტაბილიზაციის პროვოცირებასაც, თავიანთი იდეოლოგიურ-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.** სხვათა შორის, მეუფემაც განაცხადა და ეს ნამდვილად ასეა, რომ ერთი და ორი ან თუნდაც ხუთი ადამიანი იმ ჯვრის წაქცევას ვერ შეძლებდა. მე ვმონაწილეობდი ჯვრის ალმართვაში და ის საკმაოდ მყარად, ღრმად იყო ჩაბეტონებული. როგორც ჩანს, იქ გარკვეული ტექნიკა გამოიყენეს, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ორგანიზებულად გაკეთდა ეს ყველაფერი... რაც შეეხება შეფასებებს ეთნიკური შუღლის გაღვივების მცდელობებზე, რა თქმა უნდა, **ორი აზრი არ არის, რომ ვიღაცის უხილავი ხელი ყველანაირად ცდილობს იქ ეთნიკური შუღლის გაღვივებას. დარწმუნებული ვარ, მოვა დრო და ყველაფერს ნათელი მოეფინება, თუმცა მანამდე ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო...**

**— უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ: ხომ არ ფიქრობთ, რომ ის, რაც დღეს ჰუჯაბის ეპარქიაში ხდება, ერთგვარი გაგრძელებაა ანტისაეკლესიო პროცესისა, რომელიც ჭყონდიდში განვითარებული მოვლენებითა და ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონის გარშემო ატეხილი ხმაურით (და არა მხოლოდ) ვლინდება?**

— რა თქმა უნდა, **ეს არის მიზანმიმართული პროვოკაციები იმისთვის, რომ მრევლი მდგომარეობიდან გამოვიდეს, რაღაც მოხდეს და დაიწყოს ფიზიკური დაპირისპირება. მერე ეს მოვლენები ე.წ. ლიბერალური მედიით გაშუქდება ისე, როგორც „საჭიროა“ და ყველაფერი ქრისტიანებს დაბრალდება. აი, ეს არის მიზანი და ამას ემსახურებოდა პეტრეს სექტის შევარდნა ჭყონდიდის ეპარქიაში, ძალადობა სასულიერო პირებზე, შემდეგ ვითომ აქცია საპატრიარქოსთან, სადაც პროვოკატორები პირდაპირ ფიზიკურად ცდილობდნენ მრევლის გამოწვევას და ა.შ.** სხვათა შორის, ვფიქრობ, რომ ვიღაც ცდილობს დმანისში მიმდინარე მოვლენების ამ კუთხით გამოყენებას. შეხედეთ, როგორ აშუქებს ფაქტს ე.წ. ლიბერალური მედია — ყველაფერი ბრალდებათ ქართველებს...

**— ერთ-ერთმა მედიასაშუალებამ ასეთი ტექსტიც კი გამოიყენა: დაპირისპირება ადგილობრივ აზერბაიჯანელებსა და სვანეთიდან ჩასახლებულ ეკომიგრანტებს შორის მოხდაო... სვანები, თურმე, მიგრანტები ყოფილან საქართველოში.**

— ყველაფრის თავიდათავი რა არის, იცით? — ის, რომ **საქართველოს არ ჰყავს პოლიტიკური ხელმძღვანელობა. საქართველოს მართავს უცხოეთიდან დაფინანსებული აგენტურული ქსელი, რომელსაც ჰქვია ხელისუფლება და საქართველოს სახელმწიფო დროშის, გერბისა და სხვა ატრიბუტიკის ქვეშ აკეთებს უპრეცენდენტო მასშტაბის ანტიქართულ საქმეს. აი, ეს არის მიზეზთა მიზეზი, თორემ ისტორიულად ჩვენ ყოველთვის გვყავდა ეთნიკური უმცირესობები, მაგრამ არასოდეს არანაირი კონფლიქტი არ გვქონია არც აზერბაიჯანელებთან, არც სომხებთან, არც ბერძნებთან და არც სხვა რომელიმე ერის წარმომადგენლებთან...**

**— საინტერესო კიდევ ერთი მომენტია: შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება 187-ე მუხლით დაიწყო, რომელიც ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს... რას ფიქრობთ ამაზე?**

— ეს არის კიდევ ერთი ნათელი დემონსტრირება იმისა, თუ რა მიდგომები აქვთ მათ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის, მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის ყველაზე მგრძნობიარე საკითხზე და რა მიდგომები აქვთ, მაგალითად, რელიგიური ან სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვის თემების მიმართ. **წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ვინმეს მუსლიმანების რელიგიური სიმბოლიკა რომ გაენადგურებინა, თანაც ასე დემონსტრაციულად ან წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ვინმე რომელიმე ლგბტ ორგანიზაციის თუნდაც შენობას რომ შეხებოდა და უმნიშვნელო რაღაც დაზიანება მიეყენებინა...** ამ შემთხვევაში აშკარაა რელიგიური ნიშნით ჩადენილი დანაშაული, რომელიც აგრესიული ფორმით გამოხატული ანტიქრისტიანული, ანტიმართლმადიდებლური ქმედებაა და ესენი გამოძიებას იწყებენ სხვისი ნივთის დაზიანების მუხლით. ამაზე მეტი ორმაგი სტანდარტი და თავზე ლაფის დასხმა საკუთარი ხალხისთვის, რა გინდა?!

**— სექსუალური უმცირესობები ახსენეთ, ამაზეც შეგეკითხებით: ამას წინათ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საქართველოში მოქმედმა საელჩოებმა გაავრცელეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ დროა, მხარი დავუჭიროთ ლგბტქი+ თანასწორ უფლებებს. რა აზრის ხართ ამ განცხადებაზე?**

— საქართველოს თავისი „პარტნიორები“ უკვე ისე აღარ უყურებენ, როგორც სახელმწიფოს. საქართველოს უყურებენ, როგორც კოლონიას, რომელსაც კარნახობენ აბსოლუტურად ყველაფერს: ვინ ვისზე დაქორწინდეს, ვის ერქვას კაცი და ვის — ქალი, როგორ გავზარდოთ შვილები, როგორ ვიმეტყველოთ, როგორ ვიაზროვნოთ, რა იყოს მისაღები და რა — არა... აი, ამას ნიშნავს რეალურად იმ ჩვენი ე.წ. კეთილისმსურველების ერთობლივი განცხადება. დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან, როცა საქართველოს ნორმალური ხელისუფლება ეყოლება, ამ ადამიანებს, კონკრეტულ დიპლომატებს ვგულისხმობ, თავიანთ ადგილს მიუჩენს. აქვე მინდა, მოკლედ გამოვეხმაურო ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც: ამ დღეებში **მთავრობამ ხელი მოაწერა შეთანხმებას მსოფლიო ბანკთან, რომლის თანახმად, 85 მილიონ ევროს გვაძლევენ დახმარებად. ღარიბაშვილმა გვახარა, — შეღავათიანი პირობებით გვაძლევენო... მინდა, საზოგადოებას შევახსენო ერთი რამ: როდესაც „ოცნება“ მოდიოდა ხელისუფლების სათავეში, იყო ასეთი განწყობები, რომ მილიარდერ-მილიონერები არიან, ფული არ აკლიათ და იქნებ ქვეყანაზე იზრუნონო.** აი, რა მივიღეთ — სააკაშვილის მმართველობის პერიოდში დაახლოებით 11 მილიარდი იყო საგარეო ვალი, „ოცნებამ“ კი გააორმაგა და კიდევ უფრო ღრმა ეკონომიკურ ყულფში გაგვაყოფინა თავი. სხვათა შორის, როგორც საბერძნეთს უქნეს თავის დროზე ვალების გადაუხდელობის გამო, ისე გვიზამენ ჩვენც — **ისეთი კანონების შექმნას მოგვთხოვენ, ვერც წარმოვიდგენთ, მერე კი მოგვთხოვენ მიწებს, პორტებს და სხვა სტრატეგიულ ობიექტებს... ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: ეს 85 მილიონი ევრო, რომელიც დამატებით აიღო „ოცნებამ“, არის ბონუსი, რათა წარმატებით გააგრძელოს „ლიბერალური“ ტერორი და მიმდინარე კოვიდისტერია...**

**— როგორ შეიძლება, ეს ყველაფერი თუნდაც ნაწილობრივ ავიცილოთ?**

— ჩვენ ყოველთვის ველით, რომ ვიღაც გააკეთებს ჩვენს გასაკეთებელს, არადა, პირიქით ხდება — ვიღაც ყოველთვის აკეთებს ჩვენს საწინააღმდეგოს. აქედან გამომდინარე, სანამ არ დავრწმუნდებით, რომ ყველაფერი უნდა მივცეთ სახელმწიფოს და სახელმწიფოს ძლიერება განაპირობებს შემდეგ ჩვენს პირად კეთილდღეობას. ეს უნდა გაკეთდეს დიდი ლოცვის, შრომის და, შეიძლება, თავგანწირვის ფასადაც კი. სხვანაირად გამოსავალი ვერ წარმომიდგენია, ალბათ, არც არსებობს სხვა გზა იმისა, რომ რაღაცნაირად გამოვიდეთ ამ საშინელი, დამღუპველი მდგომარეობიდან...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**



**«საქართველოს თავისი «პარტნიორები» უკვე აღარ უყურებენ, როგორც სახელმწიფოს; საქართველოს უყურებენ, როგორც კოლონიას, რომელსაც კარნახობენ აბსოლუტურად ყველაფერს: ვინ ვისზე დაქორწინდეს, ვის ერქვას კაცი და ვის — ქალი, როგორ გავზარდოთ შვილები, როგორ ვიმეტყველოთ, როგორ ვიაზროვნოთ, რა იყოს მისაღები და რა — არა»**

**რამდენიც უნდა ამტკიცონ და თავი ინუგეშონ შს მინისტრის „თამადობით“ ჩვენმა ძალოვანებმა, რომ დმანისში მომხდარი კონფლიქტი ყოფითი შინაარსისა იყო, საკუთარი თავის გარდა ვერავის მოატყუებენ, რომ იმ არეულობის მიზეზ-საბაბი, რომელიც ეპიზოდურად დაუნდობელ ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზრდებოდა ხოლმე, ერთი ბოთლი ლუდის ნისიად მიცემა-არ მიცემა იყო.**



ავი მუსაიფი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კონფლიქტი დმანისში და ლგბტ-ებს თავიანთი ამქრით გადაფარებული საელჩოები

## «ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება»

**როდესაც დმანისში აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის, რბილად რომ ვთქვათ, კონფლიქტის ამსახველ კადრებს ვუყურებდი, გამახსენდა გულისდამწველი სიტყვები ილია ჭავჭავაძის ცნობილი წერილიდან „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“. დიდი ილიას მიერ 100 წლის წინათ ნათქვამი, სამწუხაროდ, დღესაც აქტუალურია და ამიტომ ეპიგრაფად წარუმძღვანე წერილს.**

რამდენიც უნდა ამტკიცონ და თავი ინუგეშონ შს მინისტრის „თამადობით“ ჩვენმა ძალოვანებმა, რომ დმანისში მომხდარი კონფლიქტი ყოფითი შინაარსისა იყო, საკუთარი თავის გარდა ვერავის მოატყუებენ, რომ იმ არეულობის მიზეზ-საბაბი, რომელიც ეპიზოდურად დაუნდობელ ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზრდებოდა ხოლმე, ერთი ბოთლი ლუდის ნისიად მიცემა-არ მიცემა იყო.

უკუღმართი ცხოვრების გამო, რამდენიმე წლის განმავლობაში ძირძველ ქართულ და ამჟამად ტოტალურად გააზერბაიჯანელებულ სოფელ აკაურთაში (ბოლნისის რაიონი) მომიწია ცხოვრება და თავად ვარ მომსწრე, როგორ „ვუყვარდით“ სოფელში აქა-იქ კანტიკუნტად შემორჩენილი ქართველები იქაურ აზერბაიჯანელებს. სიტყვამ მოიტანა და — იქაური ძირძველი გვარების (მიქელაძე, მაისურაძე) მქონეთ, ქართველები პირობითად შეიძლება ვუწოდოთ, რადგან მათი დედაენა და ცხოვრების წესი აზერბაიჯანული უფროა, ვიდრე ქართული. სხვათა შორის, აკაურთაში შუა საუკუნეებისდროინდელი წმინდა გიორგის სახელობის დიდი ტაძარი დგას, რომელიც უტყუარი საბუთია იმისა, რომ აკაურთა ოდესღაც სუფთა ქართული სოფელი იყო, მაგრამ რაღა ტაძარი, ხელისუფლებების უყურადღებობის გამო, მისგან ლამის ნანგრევებიღაა დარჩენილი. იქაურობა ადგილობრივ ახალგაზრდა აზერბაიჯანელებს ჯოკერის სათამაშო და მოსაშარდ ადგილად უქცევიათ.

ეს ისე, მცირე ლირიკული გადახვევა ქვემო ქართლში აქა-იქ შემორჩენილ ქართველთა „საამური“ ცხოვრების საილუსტრაციოდ...

„დუმანისშიც“ (ასე ეძახიან აზერბაიჯანელები უძველეს ქართულ დასახლებას) ბევრჯერ ვყოფილვარ, დაბაში, რომელშიც სვანეთიდან ეკოლოგიური საფრთხის გამო იძულებით გადმოსახლებული პირები ცხოვრობენ და სვანებს აგიჟებთ ის, რომ აზერბაიჯანელები სვანებს საიდანღაც ჩამოთრეულს ეძახიან, რომლებიც აზერბაიჯანელების კუთვნილ მიწაზე დაუსახლებია საქართველოს ანტიეროვნულ ხელისუფლებებს. ამ მოცემულობაში რომელ ურთიერთსიყვარულზეა ლაპარაკი — ისინი, რომ იტყვიან, ერთმანეთს ხელისუფლების შიშით იტანენ. და, როდესაც ეს ატანა აუტანელია, მაშინ ხდება მცირე კონფლიქტები, რომლებიც ჩვეულებრივი, ყოველდღიური ამბებია და, რომლებსაც ადგილობრივი ხელისუფლება სწორედ ამ ჩვეულებრივობის გამო არ ახმაურებს და, ასე თუ ისე, ადგილზევე აგვარებს, მაგრამ ამ მასშტაბის კონფლიქტის მოგვარების წინაშე, რომელიც ახლახან ვიხილეთ, ცენტრალური ხელისუფლებაც კი უძლური აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, კონფლიქტის ჩაცხრობას, პრობლემის მოგვარება არ ჰქვია, თანაც, ამ წუთას იქ რა ხდება, არ ვიცი, რადგან „ ეხლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის დნება, სიო სარკმლით მონაბერი“ დმანისის ამბავს არ მეუბნება და ამიტომ ვარაუდების დონეზე განვაგრძობ წერას...

**„მოძმე“ აზერბაიჯანელები იქით დავითგარეჯის წმინდა ლავრას „გვაწერენ“. ისე, რომ ხელისუფლებიდან ხმის ამოღებას ქიზიყელი პრემიერიც ვერ ბედავს. ჰოდა, საქართველოს ხელისუფლება არ ჰყავს და იქით დავითგარეჯას წავიღებ, აქეთ — დმანისს, რატომაც არა?! აზერბაიჯანის ელჩი საქართველოში დმანისში მიმდინარე პროცესებს ოპერატიულად გამოეხმაურა, რითაც, სხვა ყველაფერთან ერთად, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, საქართველოს ხელისუფლებას უთხრა, რომ აზერების ბატონ-პატრონი საქართველოს „ისტორიული მეგობარი“ თურქეთია და, აქედან გამომდინარე, ბაქოს საქართველოში მცხოვრები თანამემამულეების დაცვა არ გაუჭირდება, რადგანაც ქართველები ობოლი ერი, უპატრონო ქვეყანა ვართ.**

სამაგიეროდ ე.წ. კოლექტიური დასავლეთის ყველა ელჩმა ამ დღეებში ლგბტ-ტრანსგენდერთა ზეიმის უსაფრთხოდ ჩატარების უზრუნველყოფა უბრძანა ქოც-ნაცების ხელისულება-ოპოზიციას და წერილობით დოკუმენტს უკლებლივ ყველა ლიბერასტულმა პარტიამ დიდი ხალისით მოაწერა ხელი. გარყვნილთა ზეიმს წინააღმდეგობა გაუწია საქართველოს დედა-ეკლესიამ, რომლის სინოდის ღირსეულმა წევრებმა და, საზოგადოდ, ყველა პატიოსანმა ღვთისმსახურმა, ფუი, ეშმაკის ძახილითა და აიაზმის პკურებით მოიარეს დედაქალაქი.







სვანებმა დმანისის ცენტრში ჯვარი აღმართეს და ლოცვა აღავლინეს

გასული კვირის ღირშესანიშნავი მოვლენა ლევან ვასაძის პოლიტიკაში მოსვლის წარდგენა იყო, რომელიც ალექსანდროვის ბაღში გაიმართა. ამის შესახებ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ პატარა ბავშვივით გული ამიჩუყდა, როდესაც ლევან ვასაძე სცენაზე თავის 8 შვილთან (!) ერთად ავიდა. კიდევ ერთ რამეს, მინდა, გავუსვა ხაზი — დამსწრე საზოგადოება ფრიად აგრესიულად იყო განწყობილი ლიბერასტული ტელევიზიების, უპირველესად ტვ პირველის მიმართ და, როგორც აღმოჩნდა, არცთუ უსაფუძვლოდ — საღამოს, როდესაც მათ მიერ გადაღებულ, ძუნწად გაკეთებულ სიუჟეტს ვუყურე, წამყვანმა ისეთი ტყუილი დაახეთქა, ჯერ მოტვლეპილ თავზე თმები ამომივიდა და შემდეგ ამოსული ყალყზე დამიდგა: ლევან ვასაძემ განაცხადა, რომ მხოლოდ „პატრიოტთა ალიანსსა“ და „ქართულ მარშთან“ ვითანამშრომლებო.

არადა, იმ დღეს ამ საკითხზე საუბარი არ ყოფილა!

ისე კი, დავით **თარხან-მოურავის** „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (აბრევიატურით სპა — ძველქართულად ჯარი) და ლევან ვასაძის „ერთობა, რაობა, იმედის“ (აბრევიატურით ერი) გაერთიანების ბევრ მსურველს ვიცნობ. რადგანაც ამ ღვთისმოშიშ ლიდერებსა და მათ პარტიებს ერთი იდეოლოგიის ელექტორატი ჰყავთ და არჩევნებში ცალ-ცალკე გასვლის შემთხვევაში ერთმანეთს წაართმევენ ხმებს, რაც, ბუნებრივია, ქოც-ნაცების წისქვლზე დაასხამს წყალს.

რაც შეეხება „ქართული მარშის“ ლევან ვასაძთან დაკავშირებას, ეს „ტვ პირველის“ ე.წ. პიარტექნოლოგებმა ლევან ვასაძის მარგინალიზაციისთვის გააკეთეს...

ვნახოთ რა, როგორ და როდის იქნება — ქართველ საზოგადოებას დავით თარხან-მოურავის და ლევან ვასაძის გონიერების იმედი აქვს.

**დავით მხეიძე**

**«მოძმე» აზერბაიჯანელები იქით დავითგარეჯის წმინდა ლავრას «გვაწერენ». ისე, რომ ხელისუფლებიდან ხმის ამოღებას ქიზიყელი პრემიერიც ვერ ბედავს. ჰოდა, საქართველოს ხელისუფლება არ ჰყავს და იქით დავითგარეჯას წავიღებ, აქეთ — დმანისს, რატომაც არა?! აზერბაიჯანის ელჩი საქართველოში დმანისში მიმდინარე პროცესებს ოპერატიულად გამოეხმაურა, რითაც, სხვა ყველაფერთან ერთად, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, საქართველოს ხელისუფლებას უთხრა, რომ აზერების ბატონ-პატრონი საქართველოს «ისტორიული მეგობარი» თურქეთია და, აქედან გამომდინარე, ბაქოს საქართველოში მცხოვრები თანამემამულეების დაცვა არ გაუჭირდება, რადგანაც ქართველები ობოლი ერი, უპატრონო ქვეყანა ვართ**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ამერიკელი მეკობრეებისა და მათი უთავმოყვარეო ევროპელი ვასალების თავგასული პარპაშისგან ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებისა და თვით რუსეთის გადარჩენის ერთადერთი გზა არსებობს: ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკათა შორის ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება და სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბება, რაც თანდათანობით გარდაუვალი შეიქმნა.



# რუსეთი კი არ მოემართება საქართველოსკენ, საქართველო მიჩოჩავს რუსეთისკენ

## ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

### მეთექვსმეტე გამოშვება

**„— რომელი გზაა სწორი, მამაო, როგორ შევიცნო იგი სხვა გზათა შორის?**
**— იმ მიმართულებით თუ მიდიხარ, სადაც შენი შიში იზრდება, მაშინ სწორ გზაზე მდგარხარ!“**

*მილორად პავიჩი, სერბი მწერალი*

„Сейчас американские войска перебрасываются из континентальной части Северной Америки через Атлантику в Европу. Идет перемещение войск в Европе к российским границам. Основные силы концентрируются в Причерноморье и Балтийском регионе“. — ეს შემაშფოთებელი განცხადება რუსეთის თავდაცვის მინისტრმა **სერგეი შოიგუმ** რამდენიმე დღის წინათ გააკეთა. მან აღნიშნა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩრდილოატლანტიკურმა ბლოკმა რუსეთის საზღვრებთან გაზარდა სამხედრო აქტივობები. აშშ-ის სამხედროები ძლიერდებიან პოლონეთსა და ბალტიის სახელმწიფოებში. წინა წლებთან შედარებით მათ რუსეთის საზღვრებთან ერთ-ნახევარჯერ გაზარდეს საზღვაო დაზვერვა, ხოლო საჰაერო დაზვერვა — ორჯერ. აშშ და მისი მოკავშირეები ზრდიან თავიანთ დაჯგუფებებს არქტიკაში. „Всего рядом с нашей территорией будет сосредоточено 40 тысяч военнослужащих и 15 тысяч единиц вооружения и военной техники, в том числе стратегической авиации“, — აღნიშნა შოიგუმ. მისი თქმით, სამხედრო წვრთნები და ოპერატიული მომზადებები, რომლებსაც ამერიკელები ევროპაში ატარებენ, უფრო და უფრო იძენს „явную антироссийскую направленность“.

— საით მიექანება მსოფლიო? — ეს შეკითხვა სულ უფრო აქტუალურია.

**ახლო აღმოსავლეთი და უკრაინა. ამ ორი წერტილიდან მიათრევენ მსოფლიოს მესამე გლობალური ომის მიმართულებით.**

რუსეთის პრეზიდენტმა რამდენიმე დღის წინათ უკრაინის შესახებ ასეთი განცხადება გააკეთა: „Украину медленно, но верно превращают в какой-то антипод России, в какую-то анти-Россию, в какую-то площадку, с территории которой мы постоянно, судя по всему, будем получать требующие особого внимания с нашей стороны с точки зрения обеспечения безопасности Российской Федерации новости“. დააკვირდით ზმნას, რომელიც ამ რთული წინადადების პირველ ნაწილშია გამოყენებული — **„превращают“. უკრაინაში თავისთავად კი არ მიდის ეს პროცესი, არამედ ვიღაც სხვა (გარედან) აკეთებს იმას, რომ უკრაინა ანტიპოდად და ანტირუსეთად გადააქციოსო. ვინ მოქმედებს უკრაინაში გარედან და ვინ აღვივებს იქ ანტირუსულ ისტერიკას, ვინ თესავს რუსეთის სიძულვილს და ვის სურს ერთი ეთნიკური ძირისა და ერთი საერთო ისტორიის მქონე ამ ორი ხალხის ერთმანეთთან დაპირისპირება, გამოცანა არავისთვის არის. ეს ამერიკაა, რომელიც ამ ბინძურ პროვოკაციაში ევროპასაც ითრევს,** თუმცა ევროპაში ბევრი აცნობიერებს, რომ რუსეთთან დაპირისპირება მათთვის უფრო საზიანოა, ვიდრე რუსეთისთვის. მაგალითად, გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატი, ქალბატონი **სარა ვაგენკნეხტი** ამას წინათ მწვავედ დაუპირისპირდა გერმანიის კანცლერ ქალბატონ **ანგელა მერკელს:**

**„ბოლო წლებში გერმანიამ საგრძნობლად გაზარდა სამხედრო ხარჯები. ჩვენ ახლა უპილოტო აპარატებსა და ტანკებზე 55 მილიარდ ევროს ვხარჯავთ. რაც მთავარია, ამას ვაკეთებთ არა თავდაცვისთვის, არამედ თავდასხმით ომებში მონაწილეობის მისაღებად. ამიტომაც ეს ხარჯები ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ ვაშინგტონში მიაჩნიათ, რომ ეს საკმარისი არ არის. რისთვისაა საჭირო ეს გამაღლებული შეიარაღება? თურმე იმისთვის, რომ ტანკზე ამხედრებული პუტინი ბერლინში არ შემოიჭრას. ჯერ ერთი, მე არ მახსოვს, რომ რუსეთი ვინმეს თავს დასხმოდა, მე ის მახსოვს კარგად, თუ როგორ ესხმოდნენ თავს რუსეთს. ის, რომ რუსეთი თავს დაგვესხმება, თავხედური სიცრუე და ცნობიერებაზე დანაშაულებრივი შეტევაა. ამას ელემენტარული არითმეტიკა და ციფრები ადასტურებს. მხოლოდ ევროპული სახელმწიფოები შეიარაღებაში 300 მილიარდ დოლარს ხარჯავენ, ხოლო აშშ-ში სამხედრო ხარჯები 700 მილიარდ დოლარს აჭარბებს. ჯამში ეს ტრილიონ დოლარზე მეტია. ფანტასტიკური თანხაა. ტრილიონი დოლარი პუტინის შესაჩერებლად?**

**კი მაგრამ, რუსეთი ხომ შეიარაღებაში მხოლოდ 60 მილიარდ დოლარს ხარჯავს. ნუთუ, ამ ციფრების შედარების შემდეგ ვინმეს შეუძლია იფიქროს, რომ რუსეთი ნატოზე თავდასხმას გეგმავს? ასეთი ყოვლად უსაფუძვლო მსჯელობა შეურაცხმყოფელია ჩვენი ხალხისთვის. ამერიკელები გვაიძულებენ, რომ უზარმაზარი თანხები ვხარჯოთ შეიარაღებაში. აი, ეს არის საშიში ჩვენთვის და არა რუსეთი. ნატო არ არის ჩვენი უსაფრთხოების გარანტი, იგი არის გარანტი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის უზარმაზარი შემოსავლებისა. იმისთვის, რომ ეს იარაღი სადმე იქნას გამოყენებული, რათა გაამართლონ მის შეძენაში გაწეული უზარმაზარი ხარჯები, აშშ-ის თაოსნობით მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში იწყებენ დამპყრობლურ ომებს. აშშ წარმოადგენს ყველაზე მეტად შეიარაღებულსა და აგრესიულ სახელმწიფოს დღევანდელ მსოფლიოში. დააკვირდით: არც რუსეთი და არც ჩინეთი არ გვევლინებიან დესტაბილიზაციის ფაქტორად ახლო აღმოსავლეთსა და სხვა რეგიონებში. ამით ნატოს წევრი სახელმწიფოები, პირველ რიგში კი აშშ, არიან დაკავებული; აშშ, რომელიც ჯერ ავღანეთს დაესხა თავს, მერე — ერაყსა და სხვა სახელმწიფოებს. ამერიკელთა შესვლის შემდეგ ყველგან დანგრეული სახელმწიფოები დარჩა. სირიაში დესტაბილიზაცია გამოიწვიეს ისლამური ტერორისტული დაჯგუფების მეშვეობით. ეს ყველაფერი ხდება ნავთობისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულისთვის, გასაღების ბაზრებისა და სხვა გეოპოლიტიკური ინტერესების გამო. აი, რისთვის იწყება და რისთვის მიმდინარეობს ეს უსასტიკესი ომები. აშშ ხომ ის სახელმწიფოა, რომელიც ტერორისტებთან თანამშრომლობს. გვჭირდება ჩვენ ასეთი მოკავშირე? — არა, რა თქმა უნდა. პირიქით, ჩვენ უნდა მივესალმოთ ამერიკული სამხედრო ბაზების გაყვანას გერმანიიდან. წავიდნენ და წაიღონ თავიანთი ბირთვული შეიარაღება, რადგან ის არ არის შემოტანილი ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, პირიქით, ეს შეიარაღება უზარმაზარ საფრთხეს გვიქმნის. აშშ-ის ბირთვული იარაღის გამო, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზეა განთავსებული, ჩვენთვის დამიზნებულია რუსული რაკეტები, ვინაიდან ომის დაწყების შემთხვევაში, პირველ როგში, სწორედ ეს იარაღი უნდა განადგურდეს. როგორ შეიძლება, რომ ის ქვეყანა, რომელიც არაფრად დაგიდევთ გერმანიისა და, საერთოდ, ევროპის ინტერესებს, მიგვაჩნდეს სტრატეგიულ პარტნიორად?! როგორ შეიძლება, რომ სახელმწიფო, რომელიც არათუ არ ითვალისწინებს ჩვენს ეკონომიკურ ინტერესებს, პირიქით, ყოველ ნაბიჯზე აზიანებს მას, გვევლინებოდეს ჩვენი უსაფრთხოების გარანტად?! ამიტომ, ქალბატონო კანცლერო, გადაეცით ამერიკას, წავიდეს აქედან და თან წაიღოს მისი ბირთვული იარაღი, ჩვენ ასეთი „მეგობარი“ არ გვჭირდება!“**




როდესაც გერმანელი პოლიტიკოსისგან ამერიკელთა პარტნიორობის შესახებ ამგვარ შეფასებას ისმენ, უნებლიეთ ფიქრობ: ევროპის ფლაგმან სახელმწიფოს, უმდიდრესი და უძლიერესი ეკონომიკის მქონე გერმანიას თუ არაფრად აგდებენ და მის ინტერესებს ასე ფეხქვეშ თელავენ, პატარა და უმწეო საქართველოს მიმართ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ ამერიკელებს, რომლებსაც, რომ არა შემაკავებელი ფაქტორი ისეთი ზესახელმწიფოებისა, როგორებიც არიან რუსეთი და ჩინეთი, ერთი ქართული გამონათქვამისა არ იყოს, ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად. მათთან ურთიერთობაში საკუთარი ინტერესების ხსენებასაც კი ისინი მკრეხელობად ჩაგვითვლიან, რადგან მათთვის შაურის ფასიც არ აქვს საქართველოს წარსულს, ისტორიას, კულტურას, ტრადიციებს. მათ არ აინტერესებთ ის, რაშიც ჩვენ ჩვენს უნიკალურობას ვხედავთ. **ამერიკელებისთვის გაუგებარია, რა არის ქართული ეროვნული ცნობიერება და ხასიათი. იმ პოლიტიკის გამტარებელი ხალხი, რომელიც მსოფლიოში ცდილობს, რომ ისეთი საკრალური ცნებები, როგორებიცაა დედა და მამა, ჩაანაცვლოს მშობელი №1 -თა და მშობელი №2-ით, არც დაინტერესდება და ვერც ჩასწვდება დედაშვილობისა და მამაშვილობის ქართულ გაგებას, რადგან იგი ასეთია, ასე განვითარდა, ასე ჩამოყალიბდა. დიამეტრულად განსხვავებულია მათი ცხოვრების წესი და საზრისი, პრინციპულად სხვაა მათი ცხოვრებისეული კრედო და ფილოსოფია.**

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ამერიკაში არ არიან ტრადიციული ღირებულებების დამფასებელი ადამიანები, მაგრამ მე მათ სახელმწ- ▶

**როდესაც გერმანელი პოლიტიკოსისგან ამერიკელთა პარტნიორობის შესახებ ამგვარ შეფასებას ისმენ, უნებლიეთ ფიქრობ: ევროპის ფლაგმან სახელმწიფოს, უმდიდრესი და უძლიერესი ეკონომიკის მქონე გერმანიას თუ არაფრად აგდებენ და მის ინტერესებს ასე ფეხქვეშ თელავენ, პატარა და უმწეო საქართველოს მიმართ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ ამერიკელებს, რომლებსაც, რომ არა შემაკავებელი ფაქტორი ისეთი ზესახელმწიფოებისა, როგორებიც არიან რუსეთი და ჩინეთი, ერთი ქართული გამონათქვამისა არ იყოს, ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად**

**ამერიკელებისთვის გაუგებარია, რა არის ქართული ეროვნული ცნობიერება და ხასიათი. იმ პოლიტიკის გამტარებელი ხალხი, რომლებიც მსოფლიოში ცდილობს, რომ ისეთი საკრალური ცნებები, როგორიცაა დედა და მამა, ჩაანაცვლოს მშობელი №1 -თა და მშობელი №2-ით, არც დაინტერესდება და ვერც ჩასწვდება დედაშვილობისა და მამაშვილობის ქართულ გაგებას, რადგან იგი ასეთია, ასე განვითარდა, ასე ჩამოყალიბდა. დიამეტრულად განსხვავებულია მათი ცხოვრების წესი და საზრისი, პრინციპულად სხვაა მათი ცხოვრებისეული კრედო და ფილოსოფია.**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში რამე სტატუსით დაბრუნება რუსეთთან საქართველოს სამხედრო სტრატეგიული პარტნიორობის გაფორმების გზით არის შესაძლებელი. სხვა გზა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა ბუნებაში არ არსებობს. ამას ყველა ხვდება, გარდა საქართველოში ჩანერგილი დასავლეთის «მეხუთე კოლონის» წარმომადგენლებისა და რუსოფობიით შეპყრობილი უსაშველო რეგვნებისა

◀იფოებრივ მიდგომებზე მოგახსენებთ, გაბატონებულ და სახელმწიფოებრივად წახალისებულ ზნეობრივ ორიენტირებზე ვსაუბრობ, რომლებსაც ქართული ტრადიციული ორიენტირების საწინააღმდეგო მიმართულება აქვთ. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ასპექტია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ ამ თვალსაზრისით მსჯელობის განგრძობა არ იქნება მართებული, რადგან მან, შესაძლებელია, სენტიმენტალური გრძნობები აღგვიძრას და მსჯელობის მაგისტრალურ გეზს აგვაცდინოს.

დღევანდელ მსოფლიოში არის წერტილები, რომლებსაც ამერიკელები საკუთარი იდეოლოგიის შემდგომი განვრცობა-განვითარების პლაცდარმად განიხილავენ. პირველ რიგში, ესაა ახლო აღმოსავლეთი, უკრაინა და საქართველო. ახლო აღმოსავლეთი უზარმაზარი რეგიონია, რომელიც ისეა დანაღმული პრობლემებით, რომ მისი ყოველი გოჯი ფეთქებადსაშიშია. ისრაელი ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე ის პატარა კუნძულია, რომელსაც მუსლიმანური სამყარო უცხო სხეულად აღიქვამს და მისთვის მუდმივად შემაწუხებელ ფაქტორად რჩება. ებრაელებისთვის კი ისრაელი ის აღთქმული მიწაა, რომლისთვისაც ათასწლეულების განმავლობაში უთვალავი თაობის წარმომადგენლები სისხლად, ცრემლად და ლოცვად იღვრებოდნენ. ებრაელთა ისტორიული ბედუკუღმართობა დროში ისე გაიწელა, რომ სამიათასწლოვანი დევნილობის შემდეგ, მეოცე საუკუნეში, საკუთარ წმინდა მიწაზე დაბრუნებულნი იმ უცხო ტომის წარმომადგენლებად აღიქმებიან, რომლებიც ვიღაცას ამ მიწაზე ხელოვნურად ჩაუსახლებია. ეს წინააღმდეგობა ებრაელ ხალხსა და არაბულ, მუსლიმანურ სამყაროს შორის ისტორიული, ობიექტური რეალობაა, რომელსაც, ორივე მხრიდან გამოვლენილი კეთილი ნებისა და რეალობისადმი რაციონალური მიდგომის გარდა, ვერავინ და ვერაფერი შეცვლის. ეს საკითხის ერთი მხარეა. საკითხის მეორე მხარე გეოპოლიტიკური მომენტია, რომელიც წინა პლანზე გამოდის და ისტორიულად არსებულ წინააღმდეგობას ახალი წინააღმდეგობით ამძაფრებს. **გეოპოლიტიკური ინტერესი, რომელიც აქ იყრის თავს, დაკავშირებულია რეგიონში არა მხოლოდ ენერგომატარებლების სიუხვესთან, რომელსაც თავისთავად უდიდესი მნიშვნელობა აქვს, არამედ ამ ფაქტორის რუსეთის წინააღმდეგ ამუშავების მძაფრ სურვილთან, რომელიც სხვა პოლიტიკურ-იდეოლოგიურ განზომილებაში გადადის.** მოგეხსენებათ, რომ რუსეთისთვის საკუთარი ენერგომატარებლების (ნავთობისა და ბუნებრივი აირის) გასაღების ბაზრის მოპოვებას თითქმის ეგზისტენციური მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ რუსული ენერგომატარებლების მომხმარებლებად აზიის ისეთი გიგანტი ქვეყნები ჩამოყალიბდნენ, როგორებიც არიან ჩინეთი და თურქეთი, რუსეთის ამ პროდუქციისთვის ევროპული ბაზარი მაინც უმნიშვნელოვანესია. **დასავლეთის პირველი გეოპოლიტიკური ინტერესი ახლო აღმოსავლეთში, სამხედრო სფეროს თუ არ ჩავთვლით, სწორედ ის არის, რომ რეგიონიდან დასავლეთის მიმართულებით იმდენმა ნავთობმა და ბუნებრივმა აირმა იდინოს, რომ ევროპამ რუსეთი, როგორც ენერგომატარებლების მთავარი მიმწოდებელი, ბაზრიდან გააძევოს. აი, მთავარი ამოცანა, რომლის გადაწყვეტასაც ახლო აღმოსავლეთში აშშ ცდილობს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ახერხებს.** მან ვერ შეძლო ახლო აღმოსავლეთის ენერგომატარებლების დასავლეთის მიმართულებით მოძრაობის გეოგრაფიიდან რუსეთის გავლენის კუნძულები ისე ამოეგდო, რომ სიტუაცია თავიდან ბოლომდე ემართა. ამ ბრძოლის შემადგენელი ნაწილი იყო და არის **სირია,** რომლიდანაც რუსეთის ინტერესების განდევნას შეეცადნენ და ამისთვის ტერორისტული სახელმწიფოს ჩამოყალიბების თავისი უზნეობით უპრეცედენტო ნაბიჯიც კი გადადგეს. სირიაში კანონიერი პრეზიდენტის დამხობის ასე გაუნელებელი და ასე დაუფარავი სურვილი სწორედ ამით იყო განპირობებული. არა რომელიმე ექსპერტმა ან ანალიტიკოსმა, არამედ **აშშ-ის ორმოცდამეხუთე პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საჯაროდ, ჟურნალისტების თანდასწრებით დაადანაშაულა წინამორბედი პრეზიდენტი ბარაკ ობამა და სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, რომელიც მოქმედებდა რა სირიის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ, სინამდვილეში მოქმედებდა რუსეთის წინააღმდეგ, ვინაიდან სირიაში ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლის შემდეგ რეგიონიდან ენერგომატარებლების შეუფერხებელი ტრანსპორტირება დასავლეთის მიმართულებით რეალური შეიქნებოდა.**

დააკვირდით რა გააფთრებით, ყოვლად უსაფუძვლოდ და აბსოლუტურად გაუმართლებლად უპირისპირდება აშშ „ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის მშენებლობას, რომლითაც რუსული ბუნებრივი აირი მისმა ისეთმა გიგანტურმა მომხმარებელმა, როგორიც გერმანიაა, შეუფერხებლად უნდა მიიღოს. **ამერიკელებს, რომ იტყვიან, თითიდან გამოწოვილი საბაბიც კი არ აქვთ (უფლებაზე ლაპარაკიც ზედმეტია), რომ ამ პროექტს წინააღმდეგობა გაუწიონ, მაგრამ ისინი მიმართავენ დაშინების, შანტაჟის, მუქარის მათთვის ასე ნაცად მეთოდებს, რათა ეს მშენებლობა შეაჩერონ. ერთი სიტყვით, ამერიკელებს ევროპა ტერორის ქვეშ ჰყავთ, ისევ და ისევ რუსეთის საზიანოდ.** აშშ დედამიწის რომელ წერტილშიც უნდა მოქმედებდეს, ყველგან რუსეთის წინააღმდეგ იბრძვის. მისთვის მთავარია რუსეთის შეკავება, ვინაიდან რუსეთის ფაქტორის განეიტრალების შემთხვევაში იგი დანარჩენ მსოფლიოს ადვილად დაიმორჩილებს. ამერიკელებს, მათთვის დიდად სამწუხაროდ, სირიაში ანტირუსული ოპერაცია ჩაუვარდათ. რუსეთმა გაანადგურა ტერორისტული „ისლამური სახელმწიფო" ახლო აღმოსავლეთში, სირია გადაარჩინა სახელმწიფო გადატრიალებისგან და რეგიონში გაცილებით მაგრად მოიკიდა ფეხი, ვიდრე აქამდე ახერხებდა. **ისრაელსა და პალესტინას შორის სამხედრო დაპირისპირება ახალი არ არის და იგი ისტორიულ კონტექსტში უფრო უნდა განვიხილოთ, ვიდრე აშშ-ის ანტირუსულ თამაშებში ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამერიკელები აუცილებლად შეეცდებიან ეს კონფლიქტიც ანტირუსული კონტექსტით დატვირთონ.** მართალია, პრეზიდენტი **ბაიდენი** ლამის ეხვეწა ისრაელის პრემიერმინისტრს, როგორმე შეაჩეროს საომარი მოქმედებები, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკელები ნებისმიერი სიტუაციის, რომელიც მსოფლიოს რომელიმე წერტილში განვითარდება, რუსეთის საწინააღმდეგოდ გამოყენებას არ შეეცდებიან.

**უკრაინაში რუსეთთან დიალოგისა და პოლიტიკური ურთიერთობის მოწესრიგების მომხრე პოლიტიკოსი ვიქტორ მედვედჩუკი დააკავეს. მიზეზს არ იკითხავთ? — რუსეთთან ეკონომიკური კავშირის დამყარება და ბიზნესპროექტების განხორციელება. სასაცილოა. ამისთვის უკრაინაში ვინმეს რომ აკავებდნენ, პირველ რიგში, სახელმწიფოს ხელმძღვანელები უნდა დაეკავებინათ.** აი, რა კომენტარი გააკეთა ამ ფაქტზე რუსეთის პრეზიდენტმა: „Я с трудом себе представляю, если объективно подходить к решению вопросов подобного рода: что, всех, кто работает с Россией, будут теперь на Украине привлекать к уголовной ответственности?" პუტინმა დაასახელა ყურადსაღები ფაქტი: **2020 წელს უკრაინის საქონელბრუნვამ რუსეთთან შეადგინა 9,9 მილიარდი. უკრაინას, მიუხედავად ყველაფრისა, დღესაც ასეთი უზარმაზარი საქონელბრუნვა გააჩნია, მედვედჩუკი კი რუსეთთან ბიზნესპროექტების განხორციელების გამო დააკავეს.** კომიკური სიტუაცია იქნებოდა, აშკარად ტრაგიკული რომ არ იყოს. კიდევ უფრო კომიკური ის არის, რომ მედვედჩუკის დაკავების გამო დასავლეთში იმის მსგავსი ალიაქოთი არავის აუტეხავს, როგორიც საქართველოში „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელ მელიას დაკავების გამო ატეხეს. **მედვედჩუკის დაკავების გამო ევროპა, თქვენ წარმოიდგინეთ, არც შეშფოთებულა. მოკლედ, დასავლეთი ორმაგი სტანდარტით კი არ ხელმძღვანელობს, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „რამდენმაგი" სტანდარტიც დასჭირდება, „იმდენმაგ" სტანდარტს იყენებს და ამის გამო არავის წინაშე მობოდიშებას არ აპირებს.**

ჟურნალ National Review-ში პრეზიდენტ **ტრამპის** ყოფილმა მრჩეველმა სამხედრო საკითხებში — **ჯონ ბოლტონმა** წამოჭრა საკითხი ნატოს წევრებად არამხოლოდ უკრაინისა და საქართველოს, არამედ მოლდოვისა და, ასე განსაჯეთ, თვით ბელარუსის მიღების შესახებ. **ამერიკის საერთაშორისო თავხედობის მასშტაბები ყოველგვარ ზღვარს გასცდა. ბოლტონის აზრით, პრეზიდენტი ბაიდენი რუსეთის წინააღმდეგ გადამწყვეტ ღონისძიებებს არ ატარებს და მას ძალიან ბევრის უფლებას აძლევს პოსტსაბჭოთა სივრცეში.** ბოლტონი ამბობს, რომ აშშ-ის უმთავრესი ამოცანა იმ ალიანსის დანგრევა უნდა იყოს, რომელიც რუსეთსა და ჩინეთს შორის ყალიბდება, აგრეთვე, რუსეთის „მებრძოლი სულის" ჩაკვლა ევროპის მიმართულებით: „სანამ რუსეთსა და ნატოს შორის, პოსტსაბჭოთა სივრცის სახით დარჩენილია რუხი ზონა, არასტაბილურობა შენარჩუნდება. შემცირება თავისი არსით საშიში ამ გეოგრაფიული სივრცისა შეამცირებს რუსეთის დამაზიანებელ გავლენას გარესამყაროზე. როგორი რთულიც უნდა იყოს ბელარუსის შეერთება ნატოსთვის, აშშ-ს არ აქვს უფლება, იგი რუსეთს დაუტოვოს. ამ სახელმწიფოს მიღება ალიანსის შემადგენლობაში აუცილებელია, ვინაიდან ამით რუსეთის ირგვლივ ნატოს წრე შეიკვრება". **ბოლტონის ეს განცხადება, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ოფიციალური განცხადება არ არის, რუსეთისთვის ომის გამოცხადების ტოლფასია, რადგან იგი ზუსტად ასახავს ამერიკული პოლიტიკური ისტებლიშმენტის განწყობას. ბოლტონმა, აგრეთვე, მოითხოვა, რომ აშშ-მა რუსეთს წინააღმდეგობა გაუწიოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ბევრ ჩვენს თანამემამულეს ეს განცხადება, შესაძლებელია, გულზე მალამოდ დაედოს, მაგრამ ბოლტონის პოლიტიკური „ნაზრევის" ყველაზე სულელური ეპიზოდი სწორედ ეს არის.**

ბოლტონის ამ ნაბოდვარმა და, საერთოდ, რუსეთთან ურთიერთობაში აშშ-ის აბსოლუტურმა უპასუხისმგებლობამ ერთი სევდიანი ისტორია გამახსენა:

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ე.წ. ცივი ომის ეპოქაში, აშშ-ში დევნა იყო გამოცხადებული ყველა იმ მოქალაქეზე, რომლებიც თუნდაც სიტყვიერად რამე სახის ლოიალობას გამომჟღავნებდნენ საბჭოთა კავშირის ან სოციალისტური იდეოლოგიის მიმართ. აშშ-ის თავდაცვის მინისტრი **ჯეიმს ფორესტოლი** (1947-1949 წწ.), რომელიც საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმის შემუშავებით იყო დაკავებული, დეპრესიაში ჩავარდა და ფსიქიატრიულ დაწესებულებაში აღმოჩნდა. მისი მდგომარეობა გართულდა, იგი მწვავე პარანოიამ შეიპყრო და შიშისგან აცახცახებული გაუთავებლად იმეორებდა: „მე ვხედავ რუს ჯარისკაცებს, ყველგან რუსები არიან". ერთ დღეს, იგი მეთექვსმეტე სართულის ფანჯრიდან გადაეშვა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: **„რუსები მოდიან!"**

**ფორესტოლის პარანოია დღეს მთელ დასავლეთზე ვრცელდება. მათ დედამიწის ყველა წერტილში რუსები ელანდებათ. საქართველოშიც ანალოგიური ვითარებაა. მთელი ოცდაათი წელიწადი საქართველოს „დამოუკიდებლობისა" გაჟღენთილია უკიდურესი სასოწარკვეთილების გამომხატველი წამოძახილებით, — რუსები მოდიან! სინამდვილეში სრულიად საწინააღმდეგო ვითარება გვაქვს: რუსეთი კი არ მოდის საქართველოსკენ, საქართველო მიჩოჩავს რუსეთისკენ.** საქართველოში გაბატონებულმა დისიდენტურმა აზროვნებამ, რომელიც დასავლეთის მიერ ჩვენთვის ხელში შემოჩეჩებული საბჭოთაფობიითა და რუსოფობიით იყო დაღდასმული, საქართველო ისტორიის მაგისტრალურ გეზს ააცდინა და ღია ოკეანეში უკომპასოდ მოდრეიფე იმ გემს დაამსგავსა, რომელსაც ხან აისბერგი შეეჯახა, ხან მასავით მოდრეიფე სხვა გემმა გაჰკრა გვერდი და ჩაძირვა იწყო.




აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში რამე სტატუსით დაბრუნება რუსეთთან საქართველოს სამხედრო სტრატეგიული პარტნიორობის გაფორმების გზით არის შესაძლებელი. სხვა გზა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა ბუნებაში არ არსებობს. ამას ყველა ხვდება, გარდა საქართველოში ჩანერგილი დასავლეთის „მეხუთე კოლონის" წარმომადგენლებისა და რუსოფობიით შეპყრობილი უსაშველო რეგვნებისა. პირველად არ ვამბობ, რომ **ამერიკელი მეკობრეებისა და მათი უთავმოყვარეო ევროპელი ვასალების თავგასული პარპაშისგან ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებისა და თვით რუსეთის გადარჩენის ერთადერთი გზა არსებობს: ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკათა შორის ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება და სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბება, რაც თანდათანობით გარდაუვალი შეიქმნა.**

**ვალერი კვარაცხელია**

განგაშის ზარი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სოციალურ ქსელში, აღნიშნული მაღაზიის გვერდზე დევს ფოტოები, რომლებზეც ჩანს, რომ მაღაზიას საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი ადამიანები სტუმრობენ — ტელეწამყვანები, შოუბიზნესის წარმომადგენლები... შესაბამისად, როცა ამას რიგითი ადამიანი ხედავს, ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი აკრძალული და, რაც მთავარია, ცუდი არ არის, ამიტომ თამამად ადგება იმ გზას, რომელსაც ე.წ. სელებრითები გადიან.**

# დღისით, მზისით, ჩვენ გვერდით ნარკოტიკი სააღდგომო კვერცხზე იცვლება და ხმას არავინ იღებს

## კანონები, რომლებითაც ქვეყანამ უნდა იცხოვროს, დაბოლილმა ადამიანებმა მიიღონ?!

**წარმოიდგინეთ, შეხვედით ერთ-ერთი მაღაზიის ოფიციალურ ვებგვერდზე და წერია შემდეგი: „ორგანული საჩითილე ღრუბელი. იდეალურია თესლის გასახეთქად და ჩითილის გამოსაყვანად, რომელიც მომავალში შეიძლება გადატანილ იქნას ჰიდროფონიკაში ან ნებისმიერ სხვა ნიადაგში (მიწა, ქოქოსი) გასაზრდელად. იგი 100%-ით ბიოდეგრადირებადია. მაღალი დრენაჟისა და აერაციის სისტემა უზრუნველყოფს კაკლის სწრაფ და ჯანსაღ ზრდას...“**

ალბათ, იფიქრებთ, რომ ეს ყველაფერი ოთახის ყვავილებს ეხება, რომ იქ შეგიძლიათ მიბრძანდეთ და იყიდოთ კარგი ქოთანი, კარგი ორგანული მიწა... თანაც თბილისის ცენტრში ან ქუთაისში, ან ბათუმში, ფილიალები მაღაზიას ლამის ყველა დიდ ქალაქში აქვს. მაგრამ ნურას უკაცრავად, მაღაზიათა ქსელი „გროუგროუ“ (ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელშიც აქვს) მხოლოდ მარიხუანას ყიდის, მარიხუანას და მთელ იმ ატრიბუტიკას, რომლებიც ამ „კულტურის“ დათესვას, გაზრდას, მოყვანასა და მოხმარებას სჭირდება. ეს არის შედეგი იმ ე.წ. ლიბერალური პოლიტიკისა, რომელიც ხელისუფლებამ ვითომ არ მიიღო, მაგრამ დასავლეთის ზეწოლის შედეგად ისეთი რაღაცები დაუშვა და დააკანონა, რომ პროცესების კონტროლი შეუძლებელი შეიქნა. ჩვენ შეგნებულად არ ვწერთ თბილისის მაღაზიის მისამართს, არც ოფიციალურ ვებგვერდს, მაგრამ გვერწმუნეთ, ასეთი მაღაზია თბილისში არაერთია, „გროუგროუ“ კი მათ შორის ერთ-ერთი პოპულარულია.

**სამწუხაროდ, იმავე სოციალურ ქსელში, აღნიშნული მაღაზიის გვერდზე დევს ფოტოები, რომლებზეც ჩანს, რომ მაღაზიას საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი ადამიანები სტუმრობენ — ტელეწამყვანები, შოუბიზნესის წარმომადგენლები... შესაბამისად, როცა ამას რიგითი ადამიანი ხედავს, ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი აკრძალული და, რაც მთავარია, ცუდი არ არის, ამიტომ თამამად ადგება იმ გზას, რომელსაც ე.წ. სელებრითები გადიან.** ყველაზე საშინელი კი აღდგომას მოხდა. რა აქცია შეიძლება შესთავაზოს აღდგომას მაღაზიამ მომხმარებელს? როგორც ჩანს, „გროუგროუს“ წარმომადგენლები ფანტაზიას არ უჩივიან და... **აღდგომას მაღაზიაში მისულ ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო მიეტანა ამ დღის სიმბოლო — შეღებილი კვერცხი, გაეტეხა მაღაზიის მეპატრონეთა ასევე შეღებილი კვერცხი და სანაცვლოდ საჩუქრად იღებდა... მარიხუანის თესლს. ჰო, ეს ხდებოდა აღდგომას, მაშინ, როცა მოქალაქეთა უმრავლესობა იმას წუხდა, რომ წინაპართა საფლავებზე შესვლას ვერ ახერხებდა,** ახალგაზრდების ნაწილი კი აღნიშნულ მაღაზიასთან კვერცხებით ხელში იდგა და იმაზე ნერვიულობდა, მაღაზიის მეპატრონეთა კვერცხი რომ ვერ გავტეხო, სანუკვარი თესლის გარეშე დავრჩებიო. **ამ აქციის ვიდეო სოციალურ ქსელშიც დევს და მართალია, სახეები დამალულია, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ მარიხუანის თესლის მსურველთა შორის, ბიჭებთან ერთად, მოზარდი გოგონებიც არიან. როგორც გვითხრეს, აქციაში მონაწილეობის იმდენი მსურველი იყო, რომ ოთხი საათისთვის თესლები გათავდა და აქციაც სწორედ ამ მიზეზით დასრულდა. ახლა მოგებულ თესლს დათესავენ, თვე-ნახევარში (თესლი ჰიბრიდულია) მოსავალსაც მიიღებენ და გააბოლებენ კიდეც.**

ვებგვერდზე მიმოწერიდან ჩანს, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი თესლს საჩუქრად ისეც იღებს, უბრალოდ, ჯიგრულად, და მარკეტინგულად ესეც სწორი გათვლაა. თესლს შესაბამისი მოვლა სჭირდება, ნიადაგი, სასუქი, განათებაც კი და ეს ყველაფერი სწორედ აღნიშნულ მაღაზიაში იყიდება. **გამორიცხულია, ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ იცოდნენ ასეთი მაღაზიების არსებობა, მაგრამ არაფერს აკეთებენ. ამის შესაძლებლობას კანონი არ აძლევთ — ამაზე ცოტა ქვემოთ. მანამდე კი... არავის გასჩენია სურვილი, საკანონმდებლო ორგანოს წევრები ნარკოტიკზე შეამოწმონ, თუნდაც მარიხუანაზე? და, თუ რომელიმეს დაუდგინდება მოხმარება (და გვერწმუნეთ, როგორც ოპოზიციაში, ისე საპარლამენტო უმრავლესობაში ბევრს დაუდგინდება), ეს დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი გახდეს. რატომ? იმიტომ, რომ არანაირი სურვილი არ მაქვს, კანონები, რომლითაც ქვეყანამ უნდა იცხოვროს, დაბოლილმა ადამიანებმა მიიღონ.** ისე ხომ სასწაულებს ახდენენ და მარიხუანით გაბრუებულები, საერთოდ, რას იზამენ, ხვდებით?! ერთი კაციც არ აპროტესტებს, რომ მომავალი თაობა გველუპება და ვითომ უწყინარი მარიხუანა ისე შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში, ვერც კი შევნიშნეთ. იმავე გვერდზე დევს ვიდეო, რომელშიც ჩანს, რომ რამდენიმე ათეული ახალგაზრდა მდელოზე მარიხუანას ჯგუფურად ეწევა, უხარიათ, არანორმალურად იქცევიან, მაგრამ ეს ხომ „კაიფია“, ეს ხომ „პრიხოდია“ და ამიტომ ყველას ბედნიერი სახე აქვს. მართალია, ცოტა გამოთაყვანებული გამომეტყველება აქვთ, არეული თვალები და არაადეკვატური საქციელი, მაგრამ მაინც ბედნიერი.

*** მარიხუანა აუარესებს ყურადღების კონცენტრაციას, ხელს უშლის სიტუაციის ადეკვატურად შეფასების უნარს;**

*** მარიხუანა ამცირებს ავტომობილის მართვის და ყველა იმ საქმიანობის უნარს, რომელიც საჭიროებს ყურადღებას; მარიხუანა იწვევს მოკლევადიანი მეხსიერების, გაგების და რაიმე ამოცანის შესრულების უნარის გაუარესებას;**

* მარიხუანა იწვევს დროის და სივრცის შეგრძნების დაკარგვას;

* მარიხუანა იწვევს მოტივაციის ნაკლებობას;

* მარიხუანა იწვევს სექსუალური ემოციების ცვლილებებს;

* მარიხუანა იწვევს ჰალუცინაციებს;

* მარიხუანა იწვევს საკუთარი თავის, როგორც პიროვნების, აღქმის უნარის დაკარგვას;

* მარიხუანა იწვევს ფსიქოზს (დიდი დოზა);

* მარიხუანა მოქმედებს აზროვნებაზე, გაგების უნარზე, აბსტრაქტულ აზროვნებაზე, სწავლის შესაძლებლობაზე;

* მარიხუანას, დოზისა და მისი მომხმარებლის ათვისების უნარის გათვალისწინებით, შეუძლია გამოიწვიოს პანიკა, მოუსვენრობა და ტოქსიკური ფსიქოზი. მარიხუანა ცვლის ტვინის მოქმედებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ოვულაციის დარღვევა და განაყოფიერების შესაძლებლობის შემცირება;

* მარიხუანამ შეიძლება ტოქსიკურად იმოქმედოს ფეხმძიმობის პერიოდში ნაყოფის განვითარებასა და ფეხმძიმობის მიმდინარეობაზე. ამ ფაქტორმა, შესაძლოა, ეგრეთ წოდებული „მარიხუანის ფეტალური შედეგი“ გამოიწვიოს, რაც გამოიხატება ახალდაბადებულ ჩვილთა წონაში კლებასა და მისი განვითარების გადახრებში. ამის მიზეზია ის, რომ მარიხუანა ძუძუთი კვების დროს დედის რძიდან გადადის ახალშობილის ორგანიზმში.

* მარიხუანას შეუძლია, გავლენა მოახდინოს გონებრივ და ფიზიკურ რეაქციებზე. იგი არღვევს კოორდინაციას და ზრდის რეაქციის ხანგრძლივობას. ამ დროს ირღვევა ადამიანის საპასუხო რეაქცია სინათლის და ხმოვან სიგნალებზე, უარესდება თანმიმდევრული მოქმედებებისა და აღქმის უნარი. ზოგ შემთხვევაში ჩნდება მოძრაობის, სიარულის, საუბრის ძლიერი მოთხოვნის სურვილი. დამახასიათებელია მშვიდ მდგომარეობაში არაბუნებრივი პოზები. ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მოჰყვეს მარიხუანის მოხმარებას, არის ის, რომ მან შეიძლება გამოიწვიოს მოთხოვნა სხვა უფრო ძლიერ ნარკოტიკულ საშუალებებზე.




ეს არის მცირე ჩამონათვალი იმისა, რაც შეიძლება მოჰყვეს მარიხუანის მოხმარებას. ეს დავაკანონეთ და ეს იყიდება საქართველოს ყველა დიდ ქალაქში ოფიციალურად, იცვლება აღდგომის კვერცხზე და... **თუნდაც საპატრიარქოს რომ გაეპროტესტებინა ეს საკითხი, ვინმე შეედავებოდა? აღდგომის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოს აბუჩად აგდება, ნარკოტიკზე გაცვლა არ არის, სულ ცოტა, პროტესტის მიზეზი?**

ცნობილია, რომ კონკრეტულად მარიხუანის მიმართ მიდგომა და კანონის შერბილება დასავლეთის მოთხოვნა იყო, სწორედ მოთხოვნა და არა თხოვნა. შემდეგ საქართველოში ამისგან ფულის კეთებაც გადაწყვიტეს და, ლეგალიზება კი არა, ლამის დიდ ფართობებზე მისი მოყვანის გადაწყვეტილებაც მიიღეს, თუმცა საზოგადოების უდიდესი პროტესტის ფონზე ეს კანონი ვერ გაიტანეს. სამაგიეროდ, საზოგადოება უძლური აღმოჩნდა შერბილების პოლიტიკის მიმართ და მართალია, დიდ ფართობებზე მარიხუანა არავის მოჰყავს, მაგრამ აგერ, თესლით მრავლდება და, სამწუხაროდ, დღეს მარიხუანა არც აკრძალულია და არც ძნელად მოსაპოვებელი. ინტერნეტით მისი ყიდვაც შესაძლებელია — ნახევარლიტრიანი ქილა 400-500 ლარი ღირს, ახალგაზრდები ფულს აგროვებენ, ყიდულობენ და... საჯაროდ, სახალხოდ ეწევიან, ამის ამსახველ ვიდეოებს კი სოციალურ ქსელში ათავსებენ და მას ათი ათასობით ადამიანი ნახულობს, მათ შორის მოზარდებიც, რომლებიც „ერთხელ გავსინჯავ და არაფერი მომივა“-ს პრინციპით მარიხუანის მომხმარებლები ხდებიან. მივდივართ იქამდე, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა დაუსაქმებელია და არც გასართობი აქვთ. ისინი ენერგიას ვერ ხარჯავენ და ცდილობენ, რეალობას დროებით მოსწყდნენ. საკუთარი და სხვისი ჯანმრთელობის ფასად ისინი მოიხმარენ მარიხუანას და არ ფიქრობენ იმაზე, რა იქნება ხვალ. **სხვათა შორის, ევროპასა და ამერიკაში იმავე მარიხუანის მიმართ კანონს ლამის ყოველდღიურად ამკაცრებენ. მათ გაიარეს ის ეტაპი, რომელსაც ჩვენ ახლა გავდივართ და მიხვდნენ, რომ ლიბერალურ მიდგომაში კარგი არაფერია, რომ თაობები დაეღუპათ და ამის მიუხედავად, საქართველოში ეს კანონი ხელების გადაგრეხვით მიგვაღებინეს, მშობლებს კი შვილებზე ზემოქმედების შესაძლებლობაც მოუსპეს.** საკმარისია, მშობელმა ხმას აუწიოს, შვილმა იცის, რომ შეუძლია, არასამთავრობო ორგანიზაციებს დაურეკოს და დედას ან მამას სერიოზული პრობლემები შეექმნება, საქმეში ჩაერევიან ფსიქოლოგები, არასამთავრობოების „დატრენინგებული“ გოგო-ბიჭები და... ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან ხოლმე, თითქოს ბავშვის ბედი მშობელზე მეტად აღელვებთ. რეალურად კი, ეს ყველაფერი ერთ რამეს ემსახურება — ბავშვები თავიდანვე თვითონ მართონ, შემდეგ კი, ზრდასრულ ასაკში, მართვას მიჩვეული ადამიანი წინააღმდეგობას ვეღარ წევს და ყველაფერზე თავს იქნევს. ასე ცვლიან საზოგადოებას, ასე კლავენ პროტესტის მუხტს და... **რა ეკონომიკური აღმავლობა და პანდემიის მართვა, ხალხო? დღისით, მზისით, ჩვენ გვერდით ნარკოტიკი აღდგომის კვერცხზე იცვლება და ხმას არავინ იღებს.**

**გამორიცხულია, ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ იცოდნენ ასეთი მაღაზიების არსებობა, მაგრამ არაფერს აკეთებენ... არავის გასჩენია სურვილი, საკანონმდებლო ორგანოს წევრები ნარკოტიკზე შეამოწმონ, თუნდაც მარიხუანაზე? და, თუ რომელიმეს დაუდგინდება ნარკოტიკის მოხმარება (და, გვერწმუნეთ, როგორც ოპოზიციაში, ისე საპარლამენტო უმრავლესობაში ბევრს დაუდგინდება), ეს დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი უნდა გახდეს**

ბესო ბარბაქაძე

**ასეთ ვითარებაში თუ არ წამოაყენე კანდიდატურა, აბა, როდის? მით უმეტეს, რომ ლევან ვასაძის პოტენციური ელექტორატი დღეს, ძირითადად, სწორედ თბილისშია. თუნდაც მე-2 ადგილზე გავიდეს, ლევან ვასაძე მაინც მოგებული დარჩება პოლიტიკურად — ბევრ ხმას წაართმევს ქოცებს და არც ნაცებს მისცემს გამარჯვების საშუალებას. ამ ფონზე კი მისი პოლიტიკური გავლენა მნიშვნელოვნად მოიმატებს.**

რეპლიკა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველო და მსოფლიოს“ საშუალებით მსურს, გამოვეხმაურო ლევან ვასაძის ინტერვიუს, რომელიც მას „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტმა ირაკლი იმნაიშვილმა ჩამორთვა და რომელიც განსჯისა და მასმედიური ვნებათაღელვის ობიექტად იქცა. მით უმეტეს, ბევრი ადამიანი მირეკავს, მხვდება და მეკითხება, — რას ვფიქრობ ლევან ვასაძის ახალ პოლიტიკურ მოძრაობაზე, მის პერსპექტივაზე.**

# აი ამ ფაქტების ცოდნა და თქმა არის საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს სოროსული ხროვა, ლევან ვასაძეს კი არა, ნებისმიერს «შეჭამს»

ლევან ვასაძემ გაბედა და თქვა ის, რაც ერთ მუჭა ქართველ პატრიოტებს არასოდეს დაგვიმალავს — **ქრისტიანულმა რუსეთმა ქრისტიანული საქართველო გადაარჩინა!** ამ ფაქტის კონსტატაციამ კრუნჩხვები გამოიწვია „სალიბერასტეთში“, რაც მოსალოდნელი იყო. ლევან ვასაძის ეს „აღიარება“ 1991 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში უნდა ჩაწერილიყო. დიახ, რუსეთის მიმართ მადლიერება უნდა გამოგვეხატა და ჩვენი დამოუკიდებლობა პოზიტიური აზროვნებით გაგვემყარებინა. ამის ნაცვლად, დამოუკიდებლობის აქტის პრეამბულაში რუსეთის „200-წლოვან დამპყრობლობაზე“ დემაგოგიაა გაშლილი. ისე, კარგია, რომ ამ ე.წ. აქტის ორიგინალი გააქრო მავანმა — დამოუკიდებლები მაინც არ ვართ და არც დამოუკიდებლობის აქტი გვჭირდება. იმხანად, 1991 წელს, რუსეთისთვის მადლობა უნდა ეთქვა ჩვენს „წითელ-ყვითელ“ ინტელიგენციასაც, მაგრამ, ნაცვლად ამისა, ზოგიერთმა „ინტელექტუალმა“ პირში წყალი ჩაიგუბა (უკეთეს შემთხვევაში), ზოგიერთი კი ქუჩაში მომიტინგეებს აჰყვა და აჯობა კიდეც მათ რუსეთის ლანძღვა-გინებაში, თუმცა ბოლომდე მოსაწონი არც ვასაძის ინტერვიუ აღმოჩნდა. **ჟურნალისტმა ვასაძეს ჰკითხა — ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში რუსეთმა რა გააკეთა სასიკეთო საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისთვისო. კითხვა არაკვალიფიციურია და, უბრალოდ, სულელურიც, მაგრამ სულელურ კითხვას ჭკვიანური პასუხი სჭირდება.** ლევან ვასაძემ ჟურნალისტს უპასუხა: რუსეთი ამ პერიოდში „სულ ოკუპანტის როლში“ გამოდის, მაგრამ ამ ქვეყნასთან დიალოგი აუცილებელიაო და ა.შ. **ვერ არის ეს კარგი პასუხი იმ პოლიტიკოსის მხრიდან, რომელიც რუსეთთან დიალოგს გვპირდება. პოლიტიკოსმა ფაქტები უნდა იცოდეს. ბატონ ვასაძეს რომ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ (№2, 2017 წ.) ან ინტერნეტის საშუალებით ჩემ მიერ გამოქვეყნებული ფაქტებით დახუნძლული სტატია („რუსეთის სამშვიდობო ინიციატივები პოსტსაბჭოთა სივრცეზე“) ჰქონდეს წაკითხული, მაშინ ის მიწასთან გაასწორებდა პროვოკატორ ჟურნალისტს.**

კერძოდ, 1996 წელს, **ბორის ელცინის** ინიციატივით, დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებით, აფხაზეთისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესება ნიშნავდა თუ არა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას? ამ სანქციებმა მოიტანა ის, რომ აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი მოლბა და უკვე 1997 წლის აგვისტოში იმავე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ევგენი პრიმაკოვმა** მთელი აფხაზური ელიტა, **ვლადისლავ არძინბას** ხელმძღვანელობით, თბილისში „ჩამოაცუნცულა“. გაიმართა ძალიან ნაყოფიერი დიალოგი, არძინბამ საჯაროდ გამოხატა მზადყოფნა, მოგვარებულიყო ყველა საკითხი, მათ შორის, ქართველი ლტოლვილების თავიანთ სახლებში დაბრუნება. **აფხაზები რეალური პოლიტიკური შეთანხმებისთვის მომწიფებულნი იყვნენ და შეიძლებოდა, რუსეთის დახმარებით, ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი სივრცის აღდგენა. მკითხველს ვურჩევ, ნახოს ჩემი სტატია, რომელიც არაფერს შეიცავს, გარდა 1997 წლის ოფიციალური ქრონიკისა და მხარეების მიერ გაკეთებული განცხადებების ციტირებისა. იმავე სტატიაში აღვნიშნავ, რომ ქართულ-აფხაზური შეთანხმება ამერიკელებმა ჩაშალეს.** არძინბას ვიზიტის პარალელურად, საქართველოში პროვოკაციის მიზნით მოვლენილი იყო სენატორი **მიჩ მაკონელი** (დღემდე გავლენიანი ფიგურაა), რომელიც ასევე მიიღო პრეზიდენტმა შევარდნაძემ. მაკონელმა მოინახულა ზუგდიდი და „ამ რეგიონის უსაფრთხოების მდგომარეობითა და იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემებით დაინტერესდა“, — იუწყებოდა 1997 წლის 16 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკა“. შემდეგ გაზეთი განაგრძობს: **„ამერიკელი სენატორის განცხადებით, იგი მხარს უჭერს აფხაზეთში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განლაგებას, მაგრამ ამის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს აქვს. იმისათვის, რომ აფხაზეთში დსთ სამშვიდობო ძალებად წოდებული რუსეთის შენაერთები საერთაშორისო ძალებით შეიცვალოს, საჭიროა, საქართველოს პრეზიდენტმა ამ სურვილით აშშ-ის მთავრობას მიმართოს (SIC! — გ.რ.), რომელიც, როგორც ირკვევა, მზად არის (SIC! — გ.რ), მხარი დაუჭიროს კონფლიქტის ზონიდან რუსეთის ჯარების გაყვანასა და მის ნაცვლად საერთაშორისო ძალების შემოყვანას“.**

საქართველო, სამწუხაროდ, მაკკონელის ჭკუაზე დაკუნტრუშებს დღემდე. შევარდნაძემ კიდევ ერთხელ უღალატა ქვეყნის ინტერესებს და, ამერიკელებით შეშინებულმა, აღარ გააგრძელა დიალოგი აფხაზებთან. მალე მან თანამდებობიდან გადააყენა თავდაცვის მინისტრი **ვარდიკო ნადიბაიძე**, რომელიც რუსული გენერალიტეტის ნდობით სარგებლობდა და გამოაცხადა, რომ საქართველო „ნატოს კარზე მიაკაკუნებს“. ყველაფრის მიუხედავად, რუსეთს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული



**ლევან ვასაძემ ჟურნალისტს უპასუხა, რუსეთი ამ პერიოდში «სულ ოკუპანტის როლში» გამოდის, მაგრამ ამ ქვეყანასთან დიალოგი აუცილებელიაო და ა.შ. ვერ არის ეს კარგი პასუხი იმ პოლიტიკოსის მხრიდან, რომელიც რუსეთთან დიალოგს გვპირდება. პოლიტიკოსმა ფაქტები უნდა იცოდეს. ბატონ ვასაძეს რომ გაზეთ «საქართველო და მსოფლიოში» (№2, 2017 წ.) ან ინტერნეტის საშუალებით ჩემ მიერ გამოქვეყნებული ფაქტებით დახუნძლული სტატია («რუსეთის სამშვიდობო ინიციატივები პოსტსაბჭოთა სივრცეზე») ჰქონდეს წაკითხული, მაშინ ის მიწასთან გაასწორებდა პროვოკატორ ჟურნალისტს**



15

პოლიტიკა

www.geworld.ge

## რუსეთის სამშვიდობო ინიციატივები პოსტსაბჭოთა სივრცეზე

მთლიანობისთვის ინიციატივები **ვლადიმერ პუტინის** პრეზიდენტობის პერიოდშიც ჰქონდა. **პუტინმა კარგად მიიღო უკვე გაპრეზიდენტებული სააკაშვილი 2004 წლის დასაწყისში, მხარი დაუჭირა მას აჭარის კრიზისში და ოსებთან მოლაპარაკების პერსპექტივაც დასახა, მაგრამ ნაძირალა სააკაშვილმა განზრახ გაამწვავა ვითარება იმავე წლის ზაფხულში, ცხინვალის ე. წ. ჰუმანიტარული შტურმის მცდელობით.** თუმცა პუტინმა 2007 წლის დასაწყისში საქართველოში მოავლინა ახალი ელჩი — **ვიაჩესლავ კოვალენკო,** რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ საჭიროა რუსულ-ქართული დიალოგის დაწყება და საქართველოსთვის ნეიტრალური სტატუსის შესაძლებლობის განხილვა, რაც უხეში ფორმით, იმთავითვე გამორიცხა სააკაშვილის ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივანმა **კოტე კემულარიამ...**

აი ამ ფაქტების ცოდნა და თქმა არის საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს სოროსული ხროვა, ლევან ვასაძეს კი არა, ნებისმიერს „შეჭამს“.

ვფიქრობ, ლევან ვასაძე სხვა შეცდომებსაც უშვებს. მთავარ შეცდომად მიმაჩნია მიმდინარე წელს თბილისის მერის არჩევნებზე კანდიდატურის წამოყენებაზე უარის თქმა. დღევანდელი მერის — **კახა კალაძის** — პოზიციები საკმაოდ შესუსტებულია, მისი პოპულარობა მინიმუმზეა დასული, რასაც ობიექტური მიზეზები აქვს: ქალაქში ხელოვნურად შექმნილი საცობები; ძველი თბილისის აღდგენითი სამუშაოების დაკონსერვება; ვაშლიჯვარში უკონტროლო მშენებლობების გამო მეწყერის ჩამოწოლა; ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე საეჭვო განაშენიანების ნებართვა; კორონავირუსის საბაბით გაჩერებული ქალაქის ეკონომიკა და უამრავი გაკოტრებული მეწარმე... ასეთ ვითარებაში თუ არ წამოაყენე კანდიდატურა, აბა, როდის?! მით უმეტეს, რომ ლევან ვასაძის პოტენციური ელექტორატი დღეს, ძირითადად, სწორედ თბილისშია. თუნდაც მე-2 ადგილზე გავიდეს, ლევან ვასაძე მაინც მოგებული დარჩება პოლიტიკურად — ბევრ ხმას წაართმევს ქოცებს და არც ნაცებს მისცემს გამარჯვების საშუალებას. ამ ფონზე კი მისი პოლიტიკური გავლენა მნიშვნელოვნად მოიმატებს. ვასაძეს შეეძლო, ჯერ კიდევ 2018 წელს აერ-დაერია სოროსელების მიერ დალაგებული პოლიტიკური ლანდშაფტი და პრეზიდენტად ეყარა კენჭი. განსხვავებით „ოცნების“ არაპოპულარული კანდიდატის — **სალომე ზურაბიშვილისგან.** მას ხალხის დიდი ნაწილი სიამოვნებით მისცემდა ხმას (და არა ისე, იძულებით, როგორც ზურაბიშვილს მისცეს — ოღონდ ნაცები არ მოვიდნენ და ისევ ზურაბიშვილი გვირჩევნიაო...) და დღეს პრეზიდენტი ლევან ვასაძე იქნებოდა.

არ მინდა, ეს პროგნოზი ისეთივე ზუსტი გამოდგეს, როგორც **გიორგი გახარიას** შემთხვევაში. ის პროგნოზიც „საქართველო და მსოფლიოში“ გამოვაქვეყნე და ბევრს ახსოვს.

**გულბაათ რცხილაძე,**
**ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი**

«სტრატეგიული მეგობრები»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროკავშირი ჟიუტად ცდილობს, ხელისუფლებაში დააბრუნოს „ნაციონალური მოძრაობა“; არ აინტერესებს, რას ფიქრობს მოსახლეობა კონკრეტულ პიროვნებაზე; თუ ოპოზიციას სჭირდება, მზად არის, ციხიდან ნებისმიერი რანგის დამნაშავეც კი გამოაშვებინოს ხელისუფლებას და მთავარი — საქართველოში მოქმედი არასამთავრობოებიდან უმრავლესობა სწორედ დასავლეთის სატელიტი და მითითებების შემსრულებელია.**

# კუჭავა ბრიუსელში, როგორც რუსები იტყვიან, «ნა კავიორ» გამოიძახეს

**გიხაროდენ! ნიკა მელია თავისუფალია! უფრო მეტად გიხაროდენ! გიორგი რურუაც თავისუფალია! ეს უკანასკნელი (ჰო, უკანასკნელი) პრეზიდენტმა შეიწყალა, მელია კი გირაოს გადახდის შემდეგ გამოუშვეს საპატიმროდან და, რაც მთავარია, გირაო მას ევროკავშირმა გადაუხადა. ცალკე საკითხია ის, რომ მელიას პატიმრობას ოპოზიციურმა ტელევიზიებმა რურუას პატიმრობაც მიაბეს და პრეზიდენტი აიძულეს, შეწყალების აქტი გამოეცა. რაც ყველაზე საინტერესოა, რურუას მარტივად შეუძლია, იყვიროს, — პოლიტპატიმარი ვიყავიო, და ვერავინ გაუპროტესტებს, რადგან მისი გამოშვება იყო ერთგვარი სპეცოპერაცია, რომელიც დასავლეთმა კარგად დაგეგმა და საქართველოს ხელისუფლებას შეასრულებინა. ეს იმ პირობებში, როცა მოსახლეობის დიდი უმრავლესობა რურუას გამოშვების კატეგორიული წინააღმდეგი იყო. რაც შეეხება მელიას, მას გირაო გადაუხადეს და, მართალია, ეს საქართველოს ახალგაზრდთა იურისტთა ასოციაციის ხელით გაკეთდა, მაგრამ, როგორც თქვეს, თანხა ევროკავშირის იყო.**



ამ ყველაფრით სამი რამ დამტკიცდა: ევროკავშირი ჟიუტად ცდილობს, ხელისუფლებაში დააბრუნოს „ნაციონალური მოძრაობა“; არ აინტერესებს, რას ფიქრობს მოსახლეობა კონკრეტულ პიროვნებაზე; თუ ოპოზიციას სჭირდება, მზად არის, ციხიდან ნებისმიერი რანგის დამნაშავეც კი გამოაშვებინოს ხელისუფლებას და მთავარი — საქართველოში მოქმედი არასამთავრობოებიდან უმრავლესობა სწორედ დასავლეთის სატელიტი და მითითებების შემსრულებელია. არაერთხელ დაგვიწერია, რომ არასამთავრობოთა უმრავლესობა მომართულია, რაც შეიძლება მეტად „გააპრავონ“ დასავლეთის მიერ ჩვენთვის თავსმოხვეული წესები. დიახ, თავსმოხვეული, თორემ ძალიან გვეეჭვება, მოსახლეობის უმრავლესობას ერთი სული ჰქონოდა ან ნარკოტიკების ლეგალიზაციის, ან ლგბტ თემის მიერ ზეიმისა თუ გამოსვლების მოწყობის. წესით, ყველას გვაქვს უფლება, რაღაც მოგვწონდეს ან არ მოგვწონდეს, მაგრამ ხშირად პირდაპირ გვეუბნებიან, რომ ის რაღაც, რაც კატეგორიულად მიუღებელია, აუცილებლად უნდა მოგვწონდეს და სწორედ ასეთების გამართლებას ცდილობენ არასამთავრობოები.

ისე, გირაოს გადახდის მიუხედავად, **ნიკანორ მელია** გმირად ნამდვილად ვერ იქცა. თავისი ქმედებით მმართველი გუნდის სასაცილო მდგომარეობაში ჩაყენებას კი ცდილობდა, მაგრამ „ოცნება“ გაჯიუტდა. სამწუხაროდ, ბოლომდე გაჯიუტება არ გამოვიდა **ჟორიკა რურუას** მიმართ და სწორედ მისი გათავისუფლება „ოცნებისთვის“ შავი ლაქა, რომლის ჩამორეცხვას კარგა ხანს ვერ მოახერხებენ. მართალია, ხელისუფლების წარმომადგენლები ხელს ევროპელებისკენ იშვერენ, მაგრამ ეს გამართლებად აშკარად არ გამოდგება. **შეგიძლიათ დასახელოთ პოსტსაბჭოთა სივრციდან ერთი ქვეყანა მაინც, რომელსაც ევროპა ასე მოექცა — რომელიმე პატიმრის გირაო გადაიხადა ევროკავშირმა ან რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტი აიძულა, შეეწყალებინა პირი, რომელსაც კონკრეტული ადამიანი ოჯახის ამოწყვეტას ედავება და ხელს ადებს?** არა, არ არსებობს ასეთი ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრცეში და ახლა მოგვედავებიან, პოსტსაბჭოთა სივრცე რატომ მოგყავთ მაგალითადო?

დავიწყოთ იმით, რომ სწორედ **საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ შეეცადა დასავლეთი, დამოუკიდებელი რესპუბლიკებისთვის უღელი დაედგა და არაერთმა რესპუბლიკამ ხბოს აღტკინებით მიუშვირა კისერი ცალკე ამერიკას და ცალკე ევროპას, მაგრამ ყველა მალე მიხვდა, რომ იმაზე მძიმე უღელი დაედო, ვიდრე ჰქონდა, და ურჩობა დაიწყეს**. ამჟამად დასავლეთი სრულად მხოლოდ საქართველოსა და უკრაინას აკონტროლებს. უკრაინის არაერთ ლიდერს ჰქონდა მცდელობა, დამოუკიდებელი ყოფილიყო, მაგრამ არ დაანებეს, რევოლუცია მოუწყვეს, ქუჩაში ომი გაუმართეს და, საბოლოო ჯამში, ხელისუფლებაში მასხარა მოიყვანეს. თუ ვინმე იტყვის, რომ **ვლადიმერ ზელენსკი** მასხარა არ არის, ახსნაც მოუწევს — ის პურის ფულს სწორედ მასხარის როლის თამაშით შოულობდა და ამაში დასაძრახი არაფერია. **დასაძრახი ის არის, პრეზიდენტის სავარძელში მასხარა რომ ზის. ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა — დასავლეთი, თუ მოისურვებს, ხელისუფლების სათავეში მოიყვანს ნებისმიერს, ფსიქიკური პრობლემების მქონესაც კი და, სამწუხაროდ, ეს ჩვენ, ქართველებმა, საკუთარ თავზე გამოვცადეთ.** 15 საბჭოთა რესპუბლიკას შორის საქართველო ყველაზე მდიდარ ქვეყნად ითვლებოდა და ყველაზე მეტი არაოფიციალური მილიონერიც სწორედ ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობდა, მაგრამ ახლა საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს შორის ბოლო ადგილზეა. ჩვენ საბჭოეთის პერიოდში ყველაზე ჩამორჩენილი **ტაჯიკეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი** და **მოლდოვაც** კი გვისწრებენ, რომ არაფერი ვთქვათ მეზობლებზე — **სომხეთსა** და **აზერბაიჯანზე** ან **ყაზახეთზე, ბელარუსზე,** იმავე **უკრაინაზე.** რაც მთავარია, უკეთესის მოლოდინი უკვე, ათეული წლებია, აღარ გვაქვს და აღარავის სჯერა, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება. უფრო პირიქით, ყოველდღიურად უკან-უკან მივდივართ და მოსახლეობა სულ უფრო ღარიბდება. შორიდან ისე ჩანს, თითქოს ხელისუფლება არ ეძებს ამ სიტუაციიდან გამოსავალს, თითქოს მოსახლეობაც მიეჩვია, რომ ყოველდღიურად უფრო და უფრო ძვირის გადახდა უწევს საკვებ პროდუქტებში, სულ უფრო მეტ თანხას ზოგავს ჯანმრთელობის ხარჯზე, უმუშევრობა ცხოვრების წესად იქცა. ახლაც **საქართველოს პარლამენტი ახალ საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობს და იმ უზარმაზარი პაკეტიდან, რომელიც ევროკავშირმა და ამერიკამ დაუდეს მაგიდაზე და შარლ მიშელის დოკუმენტად შერაცხეს, ვერავინ დაასახელებს ერთ მუხლსაც კი, რომელიც მოსახლეობის ინტერესზე და ადამიანების ყოფის გაუმჯობესებაზეა მიმართული.** არ არსებობს ასეთი მუხლი. საკანონმდებლო ცვლილებები მხოლოდ იმას ემსახურება, რომ დასავლეთმა უფრო მარტივად მოახერხოს ნებისმიერი ხელისუფლების კონტროლი, ნებისმიერ დროს ისე არიოს სიტუაცია, მათი ჩარევის გარეშე რომ ვერ დალაგდეს და, ხელისუფლებას მთლიანად საკუთარი სურვილით თუ ვერ დააკომპლექტებს, რამდენიმე კაცი მაინც ჰყავდეს შიგნით, რომლებიც ნებისმიერ დროს მოახერხებენ საბოტაჟის მოწყობას. ხომ ცხადია, რომ ეს ცვლილებების პირდაპირ არის მიმართული იქით, რომ უახლოეს მომავალში კოალიციური მთავრობა გვყავდეს, ისეთი, როგორმაც არც ერთ ქვეყანაში არ გაამართლა. ისეთ ქვეყანაშიც კი, როგორიც იტალიაა, არცთუ დიდი ხნის წინათ სწორედ ამ კოალიციური მთავრობის შექმნის გამო ისეთი პოლიტიკური კრიზისი დაიწყო, თავი ძლივს დააღწიეს.

**ევროკავშირს არ მოსწონს, როგორც ვითარდება მოვლენები, ამიტომ პარლამენტის ახალარჩეული თავმჯდომარე ბრიუსელში დაიბარეს და ისიც 4-დღიანი ვიზიტით მიემგზავრება. ეტყობა, კახა კუჭავამ დაიჯერა, რომ პარლამენტის დამოუკიდებელი თავმჯდომარეა; ქვეყანაში, მეორე თუ არა, მესამე კაცი მაინც არის და რაღაცების დამოუკიდებლად კეთება გადაწყვიტა. ახლა კი აუხსნიან, რომ მნიშვნელობა არ აქვს, ვინ რა თანამდებობაზე იქნება საქართველოში, გადაწყვეტილებას დასავლეთი იღებს და ხელისუფლების წარმომადგენლები ამ გადაწყვეტილებებს, უბრალოდ, უნდა დაემორჩილონ**

ისე ჩანს, **ევროკავშირს არ მოსწონს, როგორც ვითარდება მოვლენები, ამიტომ პარლამენტის ახალარჩეული თავმჯდომარე ბრიუსელში დაიბარეს და ისიც 4-დღიანი ვიზიტით მიემგზავრება. ეტყობა, კახა კუჭავამ დაიჯერა, რომ პარლამენტის დამოუკიდებელი თავმჯდომარეა, ქვეყანაში მეორე თუ არა, მესამე კაცი მაინც არის და რაღაცების დამოუკიდებლად კეთება გადაწყვიტა. ახლა კი აუხსნიან, რომ მნიშვნელობა არ აქვს, ვინ რა თანამდებობაზე იქნება საქართველოში, გადაწყვეტილებას დასავლეთი იღებს და ხელისუფლების წარმომადგენლები ამ გადაწყვეტილებებს, უბრალოდ, უნდა დაემორჩილონ.** დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბრიუსელიდან დაბრუნებული კუჭავა ველარ იქნება ისეთ „დუხზე“, როგორზეც ახლაა, და ოპოზიციასაც ენის მოჩლექით დაელაპარაკება, ბევრ რამეს დაუთმობს. სწორედ ასე მოხდა, როცა **ირაკლი კობახიძე** წავიდა ამერიკაში და ჩასვლიდან მეორე დღეს, მიშელის დოკუმენტს „ოცნებამ“ ცალმხრივად მოაწერა ხელი.

მიმდინარე პროცესების პარალელურად, **საარსებო მინიმუმი 179 ლარი გახდა, ე.ი., თვეში 179 ლარად უნდა იარსებოს რიგითმა მოქალაქემ, შრომისუნარიანმა მამაკაცმა კი 202 ლარად უნდა გაიტანოს თავი.** დღევანდელი ფასების შემხედვარე, რეალურია თუ არა ამ თანხით თავის გატანა, თავად განსაჯეთ, მაგრამ საინტერესოა ის, რომ **ევროკავშირის არც ერთ წარმომადგენელს არ დაუსვამს კითხვა, საქართველოში მოქალაქე თვეში 43 ევროდ როგორ არსებობსო?! რატომ? იმიტომ, რომ არ აინტერესებთ რიგითი ადამიანების ყოფა, არც ის აინტერესებთ, რა იქნება მომავალში სწორედ რიგითი ადამიანებისთვის. მათ სურთ, სათავეს აკონტროლებდნენ, მასების კონტროლი კი უკვე ტექნიკის საქმეა.** კიდევ ათეული წელი გავა დაპირებებში, რომ ევროკავშირსა და ნატოში მიგვიღებენ, ისევ დაგვიწესებენ დღის წესრიგს, ისევ ალოკავენ გადაფურთხებულს ქართველი პოლიტიკოსები და კვლავ არ დაინტერესდება არავინ მოსახლეობის ყოფით. თუ ატყობთ, მოსახლეობისთვის უკვე ყველაფერი სულერთია, საერთოდ არ აინტერესებს, რა ხდება პარლამენტში ან, საზოგადოდ, რა კანონებს იღებენ ან არ იღებენ. **იმაზეც კი ვერ აღვშფოთდით სათანადოდ, ტყის კენკრასა და სოკოს მოკრეფაზე გადასახადები რომ დაგვიწესეს. ხელი აქვს ყველას ყველაფერზე ჩაქნეული, ნიჰილიზმის პიკზე ვართ, აღარავის აღარაფრის აღარ გვჯერა, აღარ გვინდა არაფერი გარდა იმისა, რომ როგორმე შვილები გამოვკვებოთ. დემოგრაფიული პრობლემა მეასეხარისხოვანი გახდა, ადამიანთა უმრავლესობა უბრალოდ გადარჩენას ცდილობს, ცდილობს, შიმშილით არ მოკვდეს,** თორემ თვითმმართველობის მოახლოებულ არჩევნებზე ხალხის უდიდესი ნაწილის მთავარი ინტერესი საარჩევნო ხმის ფასია — რაც შეიძლება ძვირად გაყიდონ ხმა, რომელმაც, წესით, მათი ცხოვრება უნდა შეცვალოს, მაგრამ აგერ, მესამე ათეული წელია, არაფერი იცვლება...

**კუჭავა ბრიუსელში, როგორც რუსები იტყვიან, „ნა კავიორ“ გამოიძახეს. რატომ რუსები? აბა, ევროპელები ამ ყველაფერს დიპლომატიას და სტრატეგიულ პარტნიორობას ეძახიან...**

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. ბრიუსელში კუჭავას გამოძახების პარალელურად, დასავლეთის მიერ დემოკრატიის შუქურად შერაცხილმა და ქართული მართლმსაჯულებისგან გაქცეულმა ნაპრეზიდენტალმა სააკაშვილმა კიევში თავისი გუნდის წევრები გამოიძახა — მას „ნაციონალების“ თავმჯდომარე ნიკანორ მელია და პარტიის სხვა წევრები ესტუმრნენ.**

**წერილში გამოთქმულია ბრალდებები დემოკრატიული პარტიის მიმართ — ის დადანაშაულებულია ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების ფალსიფიკაციაში; მასში ნათქვამია თეთრი სახლის ადმინისტრაციის მხრიდან „ამერიკის მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების ფართომასშტაბიან დარღვევაზე“, ეროვნული გვარდიის დემოკრატების პირად მცველად გამოყენებაზე, ცენზურის გაძლიერებაზე. გამოძიების ფედერალური ბიურო და აშშ-ის უზენაესი სასამართლო კი, გენერლების აზრით, თვალს ხუჭავენ დარღვევებზე.**

ბუნტი ამერიკაში
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 124-მა გენერალმა ბაიდენის ფსიქიკურ ჯანმრთელობაში ეჭვი შეიტანა

**„აშშ თავის გადასარჩენად იბრძვის“, — ამტკიცებენ ამერიკელი გენერლები. და ამაში დამნაშავე ბაიდენია... ამერიკელი სამხედროები თავიანთ პრეზიდენტს აღარ ენდობიან: აშშ-ის შეიარაღებული ძალების 124-მა გადამდგარმა გენერალმა გამოაქვეყნა ღია წერილი, რომელშიც ბევრი საწინააღმდეგო რამ თქვეს ახლახან არჩეული პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის, და დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ.**

აშშ-ში, ლოკალური არმაგედონია.

აშშ-ში ეპისტოლური, მაგრამ ბუნტია პრეზიდენტის წინააღმდეგ, სამხედროების ბუნტი. ყოფილების, მაგრამ მაინც სამხედროების.

**ეს ამბოხია. და ეს ამბოხი არის ლოზუნგებით: „ერი საფრთხეშია“ და „ჩვენ ვიბრძვით გადარჩენისთვის“.**

წერილში გამოთქმულია ბრალდებები დემოკრატიული პარტიის მიმართ — ის დადანაშაულებულია ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების ფალსიფიკაციაში; მასში ნათქვამია თეთრი სახლის ადმინისტრაციის მხრიდან „ამერიკის მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების ფართომასშტაბიან დარღვევაზე,“ ეროვნული გვარდიის დემოკრატების პირად მცველად გამოყენებაზე, ცენზურის გაძლიერებაზე. გამოძიების ფედერალური ბიურო და აშშ-ის უზენაესი სასამართლო კი, გენერლების აზრით, თვალს ხუჭავენ დარღვევებზე. მოკლედ, **წერილში ჩამოთვლილია ის დარღვევები, რომლებშიც ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი ოპოზიცია ადანაშაულებს ხელისუფლებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა ამბოხებულ ინტელიგენციაზე, რომელსაც შამპანურით შეზარხოშების შემდეგ მოუნდა ხელისუფლების შეცვლა, არამედ ხელისუფლების საწინააღმდეგო წერილს ხელს აწერენ გენერლები, რომლებიც თავს უწოდებენ „Flag Officers L America“.** რაც უნდა თქვათ ამერიკელ გენერლებზე, მათი უმრავლესობა პრაქტიკული, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და ბრძოლებში (დამპყრობლურ, იმპერიალისტურ) გამობრძმედილი პირია.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე აშშ-ში, მისი ფალსიფიცირებული არჩევნების, ამბოხებული შავკანიანების, მათი პოლიტკორექტულობის ბუფონადითა და გარე სამყაროსთან კავშირდაკარგული პრეზიდენტის ფონზე, სახელმწიფო სტრუქტურებს შორის, სახელდობრ, არმიას გამოარჩევენ, როგორც ყველაზე მეტად სანდოს. და **როგორ და რატომ მოხდა, რომ ამერიკის არმიის გენერლები, თუნდაც გადამდგარნი, ასეთი მწვავე კრიტიკული წერილით გამოვიდნენ?**

## გენერლები, რომლებსაც რცხვენიათ თავიანთი მთავარსარდლის გამო

ღია წერილზე ერთ-ერთმა ხელმომწერმა, გენერალ-მაიორმა **ჯო არბაკლმა,** რომელიც ვიეტნამში იბრძოდა 50 წლის წინათ, გამოცემა Politico-ს განუცხადა: **„გადამდგარი გენერლები და ადმირალები, ჩვეულებრივ, არ მონაწილეობენ პოლიტიკურ აქციებში, მაგრამ ვითარება, რომელშიც დღეს აღმოჩნდა ჩვენი ქვეყანა, საშინელია. ჩვენ შევეჯახეთ ყველაზე სერიოზულ საფრთხეებს, რომლებიც კი ჰქონია ქვეყანას დაფუძნების დღიდან. გაჩუმება დანაშაული იქნებოდა“.**

ასე რომ, 124-მა გადამდგარმა გენერალმა თავი მოვალედ ჩათვალა, თვალსაზრისი გამოეთქვა ჯო ბაიდენის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ახლახან შეუსრულდა პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის 100 დღე. ეს ყველაფერი ამერიკის გარედან კარგად ჩანდა, მაგრამ რიგით ამერიკელებს დღემდე ილუზიებით კვებავდნენ. დღეს კი, გენერლების აზრით, გაჩუმება დამღუპველი იქნება. რატომ? ამ კითხვაზე ისინი თვითონ სცემენ პასუხს:

„არ შეიძლება მთავარსარდლის ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობის იგნორირება. მას უნდა შეეძლოს სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე, რომლებიც ეხება სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ნებისმიერ ადგილას დღისით თუ ღამით. დემოკრატების ცოტა ხნისწინანდელი მოთხოვნები ბირთვული იარაღის კოდების გადაცემის შესახებ ჩვენი უსაფრთხოებისთვის საშიშ სიგნალებს უგზავნის ბირთვული იარაღის მფლობელ ჩვენს მოწინააღმდეგეებს და წინა პლანზე წამოწევს საკითხს — ვინ არის აქ მთავარი (who is in change). ჩვენ ყოველთვის უნდა გვქონდეს უპირობო დაქვემდებარების წესრიგი“.

ეს ფრაზა, სამმაგი თუ არა, ორმაგი აზრის შემცველია.

**პირველი და აშკარა:** ბაბუა ბაიდენი ისეთი არაადეკვატურია, რომ სასაცილოა იმ ამერიკელებისთვისაც კი, რომლებსაც ცოტა ხნის წინათ რაღაცის იმედი ჰქონდათ. მაგალითად, რამდენიმე წლის წინათ ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოს პრეზიდენტს ნიღაბი დაეკარგა და ეძებდა ყველგან — ფურცლებში, საქაღალდეებში, დასახმარებლად მოიხმო ცოლი და გარშემო მყოფნი. საბოლოოდ ნიღაბი იპოვეს... ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოს პრეზიდენტის ჯიბეში.

და ეს ხდებოდა საჯაროდ.



ბაიდენი ნიღაბს ეძებს

**«არ შეიძლება მთავარსარდლის ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობის იგნორირება. მას უნდა შეეძლოს სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე, რომლებიც ეხება სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ნებისმიერ ადგილას დღისით თუ ღამით. დემოკრატების ცოტა ხნისწინანდელი მოთხოვნები ბირთვული იარაღის კოდების შესახებ ჩვენი უსაფრთხოებისთვის საშიშ სიგნალებს უგზავნის ბირთვული იარაღის მფლობელ ჩვენს მოწინააღმდეგეებს და წინა პლანზე წამოწევს საკითხს — ვინ არის აქ მთავარი (who is in change)**






**ვის სურდა ბირთვული იარაღის კოდების ხელში ჩაგდება? ვის აქვს ეს კოდები დღეს, თუ მოქმედი უმაღლესი მთავარსარდალი სასტიკად არაადეკვატურია — არც თავი ახსოვს და არც ის, რომ პრეზიდენტია? ვინ მართავს სახელმწიფოს სახელწოდებით ამერიკის შეერთებული შტატები? ვის ემორჩილება სახელმწიფო სისტემა?**

## მთავარია არა გენერლები წერილით; მთავარია, რა წერია წერილში

გენერლების წერილის ციტატებიდან მეორე აზრი გამომდინარეობს მართლაც პოტენციურად სახიფათო ვითარებიდან, როცა **არჩევნებში გამარჯვებულმა, მაგრამ ჯერ კიდევ კანონიერი უფლებების არმქონე დემოკრატების ადმინისტრაციამ (უფრო ზუსტად, მან, ვინც ამ ადმინისტრაციის უკან დგას, რადგან იმ მომენტში აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაცია ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული) სასწრაფოდ მოითხოვა პროცედურის დაწყება ბირთვული იარაღის კოდების გადაცემის შესახებ. და ეს მოხდა მოქმედი მთავარსარდლის (დონალდ ტრამპის)** დროს, რომელიც თეთრი სახლის ახალი უფროსის ინაუგურაციის დღეს ჯერ კიდევ ხელისუფლების სათავეში იყო.

ჩნდება კითხვა: **ვის სურდა ბირთვული იარაღის კოდების ხელში ჩაგდება? ვის აქვს ეს კოდები დღეს, თუ მოქმედი უმაღლესი მთავარსარდალი სასტიკად არაადეკვატურია — არც თავი ახსოვს და არც ის, რომ პრეზიდენტია?**

**და მესამე აზრი, რომელიც უფრო ღრმა და საშინელია: ვინ მართავს სახელმწიფოს სახელწოდებით ამერიკის შეერთებული შტატები? ვის ემორჩილება სახელმწიფო სისტემა?**

თუ ეს გაურკვეველია სხვა ბირთვული სახელმწიფოებისთვის, მაშინ რას უნდა ელოდონ მათგან?

ამ კითხვაზე გენერლებს პასუხი არ აქვთ. სამაგიეროდ, მათ აქვთ ორი კონსტატაცია, რომლებიც მიუთითებს მთავარზე წერილში:

*** „ჩვენი ერი საფრთხეშია. ჩვენ, როგორც არასდროს, 1776 წელს დაფუძნებიდან, ვიბრძვით გადარჩენისთვის კონსტიტუციური რესპუბლიკის რანგში“.**

*** „ჩვენ ვიბრძვით გადასარჩენად კონსტიტუციური რესპუბლიკის რანგში ისე მწვავედ, როგორც არასდროს, 1776 წელს ჩვენი დაარსების მომენტიდან დღემდე; პატიოსანი და სამართლიანი არჩევნების გარეშე, რომელიც ზუსტად ასახავს ხალხის ნებას, ჩვენს კონსტიტუციურ რესპუბლიკას გამოვეთხოვებით“.**

ამრიგად: **აშშ, გადამდგარი გენერლების აზრით, დღეს გადარჩენის სტადიაზეა, არჩევნები პატიოსანი და სამართლიანი იქნება თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს, მნიშვნელოვანია ის, რომ დადგა ამერიკის სახელმწიფოსთან დამშვიდობების მომენტი.**

თუ, რა თქმა უნდა, მის გადარჩენას არ დაიწყებენ, მაგრამ შეიძლება კი მისი გადარჩენა? ან კიდევ — გადაარჩენენ მას სამხედროები?

**tsangrad.tv-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ოთიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჰიდროელექტროსადგურებს შორის ყველაზე დიდი იყო სტალინის სახელობის რიონის ჰიდროელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე 6-ჯერ სჭარბობდა საქართველოს ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრეს საბჭოთა წყობილების დამყარებამდე, ხოლო მის მიერ 1941 წელს გამომუშავებული ელექტროენერგია (288,8 მლნ კვტ/სთ) 14-ჯერ და მეტად აღემატებოდა 1913 წელს საქართველოში გამომუშავებულ ელექტროენერგიას.**

„—სოფლის შენებას რა უნდა, რა უნდა?..
— რა უნდა?
— კაი სიმღერის თქმა უნდა, თქმა უნდა!
— ერთი პირველი ხმა უნდა, ხმა უნდა!
— ერთიც კარგი ბანი უნდა, ხომ უნდა?!“

# სტალინური ეპოქის ქართული სახელმწიფო

**„საქართველოს მრეწველობა ძალიან ნელა ვითარდება, თქვენ კი ამ საკითხს საკავშირო ორგანოების წინაშე არ აყენებთ. ივიწყებთ, რომ, სანამ ბავშვი არ იტირებს, დედა მას ყურადღებას არ მიაქცევს. თუ ეს თავმდაბლობით მოგდით, ძალიან ცდებით. თავმდაბალი თქვენ შეგიძლიათ და კიდევაც უნდა იყოთ პირად ცხოვრებაში. ამ საქებარი თვისებით რესპუბლიკის, ხალხის სასიცოცხლო ინტერესების ანგარიშზე თავმოწონება კი დანაშაულის ტოლფასია. ჩვენ აქ ამხანაგებთან ვიმსჯელეთ და საჭიროდ ვცანით, საქართველოში ამ ხუთწლედში დამატებით შევუდგეთ სამი დიდი საწარმოს — მეტალურგიული ქარხნის, საავიაციო ძრავებისა და თვითმფრინავების ქარხნების მშენებლობას. საკითხები შეიმუშავეთ და სათანადო წინადადებებით ჩამოდით მოსკოვში სახკომსაბჭოს თავმჯდომარესთან ერთად“ (კანდიდ ჩარკვიანი, „სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები“, გვ. 33).**

ხალხი დიდი ენთუზიაზმით ქვეყნის აღმშენებლობას შეუდგა. „პირველ რიგში, შემუშავდა და დაზუსტდა ქვეყნის განვითარების სტრატეგია, თუ რომელ დარგს უნდა მიქცეოდა ყურადღება, რა თანმიმდევრობით. გაჩნდა სტალინური ხუთწლედები. დარგების თანმიმდევრულმა დალაგებამ ასეთი სახე მიიღო:

**1. მრეწველობა თავისი დარგებით:**

* ენერგეტიკა, სათბობი მეურნეობა (ქვანახშირი და ნავთობი), მთამადნის მრეწველობა (ბარიტი, დიამიტი, გუმბრინი და ყველაზე საყურადღებო — მარგანეცი);

* მეტალურგია: ფეროშენადნობთა ქარხანა, ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატი;

* მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, საშენ მასალათა მრეწველობა (კირის, ცემენტის, მარმარილოს, აგურის, კრამიტისა და სხვათა წარმოება), ადგილობრივი მრეწველობა, ხეტყის მრეწველობა, საფეიქრო (აბრეშუმის, შალის, ბამბის, ტრიკოტაჟის) და სამკერვალო მრეწველობა, ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობა, კვების მრეწველობა (ჩაის, თამბაქოს, ღვინისა და მინერალური წყლების, კონსერვების, შაქრის, პურის, ხორცისა და ყველ-კარაქის წარმოება).

**2. სოციალისტური სოფლის მეურნეობის დარგები:**

* მემცენარეობა, მემინდვრეობა, ტექნიკური კულტურები (თამბაქო, შაქრის ჭარხალი, ეთერზეთები და სხვ.), მევენახეობა, მეხილეობა;

**3. სუბტროპიკული კულტურები:**

* ჩაი, ციტრუსოვანი კულტურები, ტუნგო და სხვა სუბტროპიკები, მებოსტნეობა, მებაღჩეობა, ტყის მეურნეობა, სათიბ-საძოვრები;

**4. მეცხოველეობა**

* მსხვილრქიანი პირუტყვი, მეცხენეობა, წვრილრქიანი პირუტყვი, მეღორეობა, მეფრინველეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, მელიორაცია;

**5. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა**

* ტრანსპორტი, რკინიგზა, გზათა მშენებლობა და ავტოჭაპანტრანსოპრტი, ავაიატრანსპორტი, კავშირგაბმულობა;

**6. კომუნალური მეურნეობა;**

**7. სახალხო განათლება და ჯანმრთელობის დაცვა.**

ჩვენი მიზანია, ცალკე დავახასიათოთ ზემოჩამოთვლილი ყველა დარგი და მათი პერსპექტივა სტალინურ ეპოქაში — 1913-დან 1953 წლამდე, და ამით მცირეოდენი წარმოდგენა მაინც შევუქნათ საზოგადოებას, ცხოვრების განვითარების როგორი ტემპი დავუკარგეთ ქვეყნას სტალინის გარდაცვალების შემდეგ.

**დავიწყო ენერგეტიკით:**

საქართველოში 26 000-მდე დიდი თუ პატარა მდინარეა. მათ შორის ჰიდროტექნიკური სიმძლავრის მისაღებად ვარგისია 6 000-მდე. თუ დღევანდელი მდგომარეობით ელენერგიის გამომუშავება ქვეყანაში 1 მილიარდამდე კვტ/სთ-ს აღწევს, ჩვენს მდინარეთა პოტენციალს შეუძლია ეს მაჩვენებელი 7 მილიარდამდე გაზარდოს, მაგრამ რის ფასად, ამის განსაზღვრა მხოლოდ ადამიანს არ შეუძლია. სვანური ანდაზის მიხედვით, „ტბა ნატბაურზე, ხიდი ნახიდარზე და გზა ნაგზაურზე“. ბუნება არაფერს შეგარჩენს, თუ მას რამის წართმევას დაუპირებ. „ბუნება მბრძანებელია“ და ის გაცილებით მეტს წაგართმევს, ვიდრე მისთვის ოდესმე რამე წაგირთმევია. **1949 წელს სტალინმა მასთან მისული კანდიდ ჩარკვიანი და ზაქარია ჩხუბიანაშვილი მტკიცე უარით გამოისტუმრა, როდესაც მათ ნამოხვანზე ჰიდროელექტროსადგურის აშენება მოსთოვეს**, ამაზე მოგვიანებით დავწერ. იშვიათია მსოფლიოში ქვეყანა, რომელიც ჰიდროენერგეტიკული რესურსების სიმდიდრით საქართველოს შეედრება. მეფის რუსეთის მთავრობა არ იყო დაინტერესული საქართველოს ჰიდრორესურსების გამოყენებით და, მაშასადამე, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობით. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ **საბჭოთა წყობილების დამყარებამდე საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსები თითქმის სრულიად გამოუყენებელი იყო. აქ 1913 წელს არსებობდა მხოლოდ 70 ერთმანეთისგან იზოლირებული პატარა ელსადგური, რომელთა სა-**



**საქართველოში 26 000-მდე დიდი თუ პატარა მდინარეა. მათ შორის ჰიდროტექნიკური სიმძლავრის მისაღებად ვარგისია 6 000-მდე. თუ დღევანდელი მდგომარეობით ელენერგიის გამომუშავება ქვეყანაში 1 მილიარდამდე კვტ/სთ-ს აღწევს, ჩვენს მდინარეთა პოტენციალს შეუძლია ეს მაჩვენებელი 7 მილიარდამდე გაზარდოს**

**ერთო სიმძლავრე 1 000 ცხ. ძალას არ აღემატებოდა; მათგან ყველაზე დიდის — სოხუმის ჰიდროელსადგურის სიმძლავრე 400-კვტ-ით განისაზღვრებოდა. თბოელექტროსადგურებს შორის ყველაზე მძლავრი იყო თბილისის ტრამვაის ელექტროსადგური, რომელიც ქვანახშირზე მუშაობდა და რომლის საერთო სიმძლავრე დაახლოებით 2 000 კოლოვატს შეადგენდა. თბილისში მუშაობდა 45-მდე წვრილი თბოელექტროსადგური, რომელთა შორის ბევრი 10-15 ცხენის ძალის სიმძლავრის დანადგარს წარმოადგენდა.**

1913 წელს საქართველოს ყველა ელექტროსადგურის საერთო სიმძლავრე 8,0 ათას კვტ-ს შეადგენდა. თითქმის ყველა სადგურის ძალური დანადგარები მოძველებული და გაცვეთილი იყო. 1913 წელს სულ გამომუშავებულ იქნა 20 მლნ კვტ/სთ ენერგია. რასაკვირველია, ელექტროენერგეტიკული ბაზის უმნიშვნელო განვითარება ელექტროენერგიის მოხმარების შეზღუდულობის ერთ-ერთი მაჩვენებელია. საქართველოს ქალაქები — თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და ფოთი თითქმის სრულიად ჩაბნელებული იყო. 1913 წელს ელექტროენერგიის წლიური საშუალო წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე 7,9კვტ საათს შეადგენდა. „ელექტრონით განათება ფუფუნების საგანს წარმოადგენდა და მხოლოდ ქალაქის ბურჟუაზიისთვის იყო ხელმისაწვდომი“ (ლ. ბერია, „ლენინ-სტალინის დიადი დროშით“, 1941 წ.). **პირველი მსოფლიო ომისა და ხალხის უბოროტესი მტრების, მენშევიკების, ბატონობის პერიოდში არც ერთი ელექტროსადგური არ აგებულა და არსებული ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე კიდევ უფრო შემცირდა. 8,0 ათას კვტ-ის საერთო ნომინალური სიმძლავრიდან რეალურად გამოყენებული იყო, ისიც არასრული დატვირთვით, 5,5-6,0 ათასამდე კვტ.** ფრიად გაუარესდა ძალური დანადგარების დაცვა-შენახვა და ტექნიკური ექსპლუატაციის პირობები, რის შედეგად ხშირად ხდებოდა ავარია და ისედაც უმნიშვნელო ძირითადი ფონდების განიავება; ცხადია, მკვეთრად შემცირდა ელექტროენერგიის გამომუშავებაც. **საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საფუძველი ჩაეყარა მძლავრი ელექტროენერგეტიკული მეურნეობის შექმნასა და სწრაფი ტემპით განვითარებას. სტალინის პირადი მითითებითა და ინიციატივით დაიწყო საქართველოს დიდი ჰიდრორესურსების საფუძვლიანი მეცნიერული გამოკვლევა.** საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს ჩქარი და დაუდგრომელი მდინარეები, რომელთა უმრავლესობის სათავე მარად თოვლით დაფარული კავკასიონის დიდ სიმაღლეებზეა, დიდძალ ჰიდრავლიკურ ენერგიას შეიცავს. ლავრენტი ბერიას ინიციატივით ჩატარებულმა ჰიდროლოგიურმა კვლევამ წარმოაჩინა, რომ ამიერკავკასიის მდინარეთა საშუალო წლიური საერთო პოტენციური სიმძლავრე უდრის 14,5 მლნ-ზე მეტ კილოვატს, რომლის 2/3-ზე მეტი საქართველოშია. ჰიდრავლიკური რესურსების ასეთი შემჭიდროებულობა იშვიათია. ჰიდროენერგეტიკული რესურსების ტერიტორიულ ერთეულზე კონცენტრაციის თვალსაზრისით საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. საშუალო წლიური ხვედრითი სიმძლავრე ჰიდრავლიკური რესურსების 1 კვ.მ-ზე საქართველოში 138,9 კვტ-ს უდრის, ხოლო საბჭოთა კავშირში იგი საშუალოდ 13,2 კვტ-ს აღწევდა. **იაფი ჰიდროელექტროენერგიის ამ დაუშრეტელი წყაროს მზარდი მასშტაბით გამოყენება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეიქნა შესაძლებელი. 1922 წელს რსფსრ-ის მთავრობამ საქართველოს მთავრობას გადასცა 750 000 ოქროს მანეთი ზემო ავჭალის ჰიდროელსადგურის ასაშენებლად. იმავე წელს საფუძველი ჩაეყარა ზაჰესის მშენებლობას. ზაჰესის პირველი რიგი (12,8 ათასი კვტ) ამუშავდა 1927 წელს.**

1923 წელს მდინარე აბაშაზე დაიწყო ჰიდროელექტროსადგურის (აბჰესი) მშენებლობა — 1,1 ათასი კვტ სიმძლავრით, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 1928 წელს. იმავე წელს დაიწყო მდინარე აჭარისწყალზე 16 ათას კვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსდგურის (აჭჰესის) მშენებლობა. არახელსაყრელი გეოლოგიური პირობების გამო მისი მშენებლობა გაჭიანურდა და ექსპლუატაციაში შევიდა 1937 წელს. 1928 წელს მდინარე რიონზე დაიწყო სტალინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურისა (რიონჰესი) მშენებლობა, ექსპლუატაციაში შევიდა 1933 წელს, სტალინური ხუთწლედის პერიოდში ფართოდ გაიშალა ელექტროსადგურების მშენებლობა, რამაც ძალზე დააჩქარა ელექტროენერგეტიკული მეურნეობის შემდგომი აღმავლობა. საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიულ დადგენილებაში აღნიშნა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის გაძლიერების აუცილებლობა და დასახა ღონისძიებები მშენებლობის ტემპის დასაჩქარებლად. ამ დადგენილებით ზედმიწევნით განისაზღვრა საქართველოს ელექტროენერგეტიკული მეურნეობის განვითარების კონკრეტული გზები. ეს დადგენილება იქცა ბრძოლისა და გამარჯვების პროგრამად, რომლის წარმატებით განხორციელების საფუძველზე საქართველოს მშრომელებმა უზრუნველყვეს მეურნეობის ამ დარგის შემდგომი აღმავლობა. ელექტროსადგურებისა და გადამცემი ხაზების მშენებლობაზე კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობა (ფაქტობრივი ღირებულებით) შეადგენდა: აღდგენით პერიოდში — 29,8 მლნ მანეთს, პირველ ხუთწლედში — 69,8 მლნ მანეთს, მეორე ხუთწლედში — 229,9 მლნ მანეთს (ე.ი., პირველ ხუთწლედთან შედარებით 229,3%-ით მეტს); მესამე სტალინური ხუთწლედის პირველ სამ წელს — 123,6 მლნ მანეთს. აღსა- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1913 წელს საქართველოს ყველა ელექტროსადგურის საერთო სიმძლავრე 8,0 ათას კვტ-ს შეადგენდა. თითქმის ყველა სადგურის ძალური დანადგარები მოძველებული და გაცვეთილი იყო. 1913 წელს სულ გამომუშავებულ იქნა 20 მლნ კვტ/სთ ენერგია. რასაკვირველია, ელექტროენერგეტიკული ბაზის უმნიშვნელო განვითრება ელექტროენერგიის მოხმარების შეზღუდულობის ერთ-ერთი მაჩვენებელია. საქართველოს ქალაქები — თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და ფოთი თითქმის სრულიად ჩაბნელებული იყო.**

◀ ნიშნავია, რომ რესპუბლიკის მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა 1/5-ზე მეტი დახარჯულია ელექტროენერგეტიკული მეურნეობის მშენებლობაზე, რამაც უზრუნველყო სახალხო მეურნეობისთვის მძლავრი ელექტროენერგეტიკული ბაზის შექმნა. იმატებდა, აგრეთვე, ელექტროენერგეტიკული მეურნეობის ძირითადი ფონდები. **მხოლოდ „საქენერგოს" სისტემის ძირითადი ფონდების ღირებულება შეადგენდა 1932 წელს — 13,8 მლნ მანეთს, 1937 წელს – 125,7 მლნ მანეთს, 1940 წელს —191,3 მლნ მანეთს, ხოლო 1945 წელს — 277,9 მლნ მანეთს, ე.ი., ამ ხნის განმავლობაში 19-ჯერ მეტად გაიზარდა. მსხვილი და წვრილი ელექტროსადგურების მშენებლობა წარმოებდა უპირატესად ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ხაზით, რაც შეესაბამებოდა რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული რესურსების სტრუქტურას.**

**1927-1928 წლებში საქართველოში ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე 26,3 ათას კვტ-ს შეადგენდა; მათგან ჰიდროელექტროსადგურებისა — 15,8 ათას კვტ-ს, ე.ი. დაახლოებით 60%-ს. მომდევნო სტალინურ ხუთწლედებში ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრეთა ხვედრითმა წილმა კიდევ უფრო მოიმატა. ფართოდ გაიშალა თბოელექტროსადგურების მშენებლობა.** ყველაზე ღირშესანიშნავი იყო ლავრენტი ბერიას სახელობის ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელეტროსადგური 24 ათასი კვტ სიმძლავრით, რომელიც უმთავრესად ნახშირის მოპოვებისა და ნარჩენების გამდიდრების ბაზაზე მუშაობდა. გარდა ამისა, მწყობრში ჩადგა მსხვილი სამრეწველო საწარმოების ელსადგურები: ტყვარჩელნახშირის თბოელექტროსადგური, ბათუმის ნავთობსახდელი ქარხნების თბოელექტროცენტრალი, თბილისის თბოელექტროცენტრალი და სხვ.

**თბოელექტროცენტრალის (1947 წ) სიმძლავრე (8 ათასი კვტ) მნიშვნელოვნად ჭარბობდა თბილისის 1913 წლის ყველა 45 ელსადგურის სიმძლავრეს და უდრიდა იმდროინდელი საქართველოს ყველა 70 ელექტროსადგურის სიმძლავრეს.** მოქმედ ჰიდროელექტროსადგურებს შორის ყველაზე დიდი იყო სტალინის სახელობის რიონის ჰიდროელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე 6-ჯერ სჭარბობდა საქართველოს ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრეს საბჭოთა წყობილების დამყარებამდე, ხოლო მის მიერ 1941 წელს გამომუშავებული ელექტროენერგია (288,8 მლნ კვტ/სთ) 14-ჯერ და მეტად აღემატებოდა 1913 წელს საქართველოში გამომუშავებულ ელექტროენერგიას. **საქართველოს სსრ ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე აღემატებოდა 1913 წლისას: 1927-1928 წწ. – 3-ჯერ მეტად, 1932 წელს — 4-ჯერზე მეტად, 1937 წელს — დაახლოებით 16-ჯერ, ხოლო 1940 წელს — დაახლოებით 23-ჯერ.** ამასთანავე, იზრდებოდა ელექტროენერგიის გამომუშავება. სიმძლავრეთა ექსპლოატაციის დარგში სოციალისტური ენერგეტიკის უპირატესობის საილუსტრაციოდ საკმარისია, აღინიშნოს, რომ, თუ 1913 წელს არსებულ სიმძლავრეთა საშუალო წლიური გამოყენება 2 000-2 500 სთ-ს უდრიდა, 1940 წელს იგივე მაჩვენებელი დაახლოებით 4 050 სთ-ს შეადგენდა, ხოლო მსხვილი რაიონული ელექტროსადგურებისა — 5 000 სთ-ს სჭარბობდა. ამერიკის ჩრდილოეთ შტატებში სიმძლავრეების საშუალო წლიური გამოყენება არ აღემატებოდა 3 000-3 200 სთ-ს, ინგლისში — 1 800-2 600 სთ-ს, საფრანგეთში — 1 600-1900 სთ-ს. **სიმძლავრეთა ცენტრალიზებული, გეგმაზომიერო გამოყენების შედეგად სწრაფად იზრდებოდა ელექტროენერგიის გამომუშავება, რაც 1913 წელთან შედარებით მეტი იყო: 1927-1928 წწ. — დაახლოებით 2-ჯერ, 1932 წელს — 6-ჯერ, 1937 წელს — 25-ჯერ, ხოლო 1941 წელს — 41-ჯერ. ამგვარად, „საქართველოს მთის სწრაფ მდინარეთა მდიდარი ჰიდროენერგეტიკული რესურსები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში იქნა ფართოდ გამოყენებული".**

ცხადია, სწრაფად მოიმატა ელექტროენერგიის წარმოებამ მოსახლეობის ერთ სულზე: 1913 წელს იგი შეადგენდა 7,9 კვტ/სთ-ს, ხოლო 1940 წელს — უკვე 205 კვტ/სთ-ს, მაშასადამე, გაიზარდა 26-ჯერ. საყოფაცხოვრებო სფეროში ელექტროენერგიის გამოყენებამ საგრძნობლად გაზარდა ელექტროენერგიის ელექტროენერგიის მოხმარება ქალაქის მოსახლეობის ყოველ სულზე, რაც 1934 წელს 65 კვტ/სთ-ს შეადგენდა. 1937 წელს თბილისმა მიიღო 126,947 ათას კვტ/სთ ენერგია, საიდანაც დაიხარჯა (მლნ კვტ/სთ): საცხოვრებელი ბინების განათებაზე — 21,6, სხვადასხვა შენობათა განათებაზე — 4,2, ტრამვაიზე — 17,8, წყალსადენზე — 5,0, მრეწველობაზე — 50,6 და სხვ. ისეთი საწარმოების არსებობის პირობებში, როგორიცაა ჭიათურმარგანეცი, აჯამეთის ჰალცედონი და სხვა, იაფი ელექტროსდგურების ბაზაზე შეიქმნა ლავრენტი ბერიას სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ამ ქარხნის მიერ 1939 წელს ტექნოლოგიურ პროცესებს მოხმარებული ელექტროენერგია მთელი მრეწველობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ნახევარზე მეტს შეადგენდა. **ელექტროენერგიის დიდი რაოდენობით მომხმარებელი იყო თბილისის მრეწველობა, სამთამადნო მრეწველობა, საფეიქრო, მსუბუქი, ქაღალდის, ცემენტისა და სხვა საწარმოები, აგრეთვე, ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიცირებული უბნები და სხვ. საქართველოს თითქმის ყველა მსხვილი მრეწველური საწარმო, ელექტროფიცირებული ტრანსპორტი, მსხვილი ქალაქების კომუნალური მეურნეობა გადაყვანილი იქნა ცენტრალიზებულ ელექტრომომარაგებაზე.** სოციალისტურმა წარმოების წესმა შესაძლებელი გახადა ელექტროსადგურების სიმძლავრეთა რაციონალური გამოყენება მსხვილი რაიონული სადგურების დარკალებისა და ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის („საქენერგო") შექმნის გზით. „საქენერგოს" სისტემაში 1945 წლის დასასრულისათვის გაერთიანებული იყო 7 ელექტროსადგური, რომლის პარალელურად მომხმარებლებს აწვდიდნენ ენერგიას მაღალი ძაბვის ელგადამცემი ხაზით. სისტემაში გაერთიანებული იყო სიმძლავრეთა 67,7% რესპუბლიკის ყველა ელექტროსადგურებისა, რომლებმაც გამოიმუშავეს ელექტროენერგიის 86%. გარდა ამისა, წყლის ნაკლებობისას სისტემის ქსელში მუშაობდა რიგი სამრეწველო და კომუნალური ელექტროსადგურები. **საქართველოს ტერიტორია დასერილი იყო მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებისა და ტრანსფორმატორული ქვესადგურების ქსელით. მხოლოდ „საქენერგოს" სისტემის მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის სიგრძე 1941 წელს 700კმ-ს აღემატებოდა.** მაღალი ძაბვის ელგადამცემი სისტემა აკავშირებდა საგრძნობლად დაშორებულ სადგურებს, ახდენდა მათ სიმძლავრეთა კონცენტრაციას და სისტემაში შემავალ სადგურებს წარმოგვიდგენდა ერთ გიგანტურ ელექტროსადგურად. რეგულარულად მატულობდა ელექტროენერგეტიკული მეურნეობის მუშების, ტექნიკური პერსონალისა და მომსახურეთა რაოდენობა. მხოლოდ „საქენერგოს" სისტემაში მუშათა რიცხვი 1945 წელს 7,5-ჯერ მეტი იყო 1932 წელთან შედრებით. ინჟინერ-ტექნიკოსთა რაოდენობამ ამავე პერიოდში 7,3-ჯერ მოიმატა. **მუშათა სახელფასო ფონდი უდრიდა: 1937 წელს — 1 145 ათასს, ხოლო 1945 წელს — 6 221 ათას მანეთს. ერთი მუშის საშუალო წლიური ხელფასი 1945 წელს შეადგენდა 5 840 მან, ე.ი. 1932 წელთან შედარებით მოიმატა 3-ჯერ.** ელექტრომეურნეობის მუშაკები წარმატებით ეუფლებოდნენ ტექნიკას და ამაღლებდნენ შრომის ნაყოფიერებას. ერთი მუშის საშუალო წლიური გამომუშვება შეადგენდა (ათას მანეთობით): 1927/28 წელს — 28,5-ს, 1932 წელს — 52,7-ს, ხოლო 1937 წელს — 84,2-ს. შრომის ნაყოფიერება რეგულარულად მაღლდებოდა, აგრეთვე, მესამე სტალინური ხუთწლედის სამი წლისა და დიდი სამამულო ომის პერიოდშიც. გარდა „საქენერგოს" სისტემაში გაერთიანებული რაიონული ელსადგურებისა, იყო მრავალი სამრეწველო, კომუნალური, საკურორტო და სოფლის წვრილი თბოელექტროსადგურები, აგრეთვე, ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც განლაგებული იყო „საქენერგოს" სისტემის მოქმედების სფეროში გაუერთიანებელ რაიონებში. 1940 წელს მუშაობდა საწარმოების 120 ელექტროდანადგარი, რომელთა გამომუშავებული ელექტროენერგია 56 მლნ კვტ-ს აჭარბებდა. ამავე წელს კომუნალური ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული იყო 40 მლნ კვტ/სთ ენერგია, სოფლის სადგურების მიერ კი — 6,5 მლნ-მდე. საქართველოს სოფლის ელექტროფიკაცია დაიწყო კოლმეურნეობების მასობრივად შექმნის პერიოდში. თავდაპირველად მიმდინარეობდა საბჭოთა მეურნეობების ელექტროფიკაცია, ხოლო შემდეგ მან მოიცვა კოლმეურნეობები, მტს-ბი და სხვ. 1933-1945 წწ. აგებულ იქნა ამ ტიპის 40-ზე მეტი ჰიდროელექტროსადგური. 1945 წლის დასაწყისისთვის საქართველოს „სოფლელექტროს" სისტემაში შედიოდა 11 ელექტროსადგური 6 122 კვტ სიმძლავრით. კოლმეურნეობებსა და სოფლის სხვა მეურნეობრივ საწარმოებს ჰქონდათ 30-ზე მეტი ელსადგური 1 800-ზე მეტი კვტ-ის სიმძლავრით. **„სოფლელექტროს" სადგურების მიერ ენერგიის წლიური გამომუშავება 45 მილიონ კვტ/სთ-ს უდრიდა. ამ ელექტროსადგურებიდან ყველაზე მძლავრი იყო ალაზანჰესი, რომელსაც ამ მხრივ საბჭოთა კავშირის შესაბამის ელექტროსადგურებს შორის პირველი ადგილი ეკავა. აღსანიშნავია აბჰესი, აგრეთვე, რიცეულის ჰიდროელსადგური, რომელიც ამარაგებდა ამბროლაურის რაიცენტრს და 37 კოლმეურნეობას,** ასეთივე დანიშნულების იყო მესტიის, მაიაკოვსკის (ბაღდათის), ბარისახოსა და სხვა ჰიდროელსადგურები. კოლმეურნეობათა ელსადგურებიდან მოსახსენებელია ძამის, მლეთის, ლიხაურის, ბოლნისის, დვირის, ოკაცეს, ბახვის, სადახლოს, ლენინგორისა და სხვა ამ ტიპის ახალი ჰესები, რომელთა მშენებლობაც მზარდი ტემპით მიმდინარეობდა.



ზაჰესი

**1949 წელს სტალინმა მასთან მისული კანდიდ ჩარკვიანი და ზაქარია ჩხუბიანაშვილი მტკიცე უარით გამოისტუმრა, როდესაც მათ ნამოხვანზე ჰიდროელექტროსადგურის აშენება მოსთოვეს**



რიონჰესი




# ყურადღება!

„ბიბლუსის" მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის" თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის" მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოლო გამოკითხვამ, რომელიც 16-დან 35 წლამდე შოტლანდიელ ახალგაზრდებს შორის ჩატარდა, აჩვენა, რომ ამ ასაკობრივ ჯგუფში ბრიტანეთისგან გამოყოფის მხარდაჭერის დონე 62%-ია; მაგრამ, ერთიანი სახელმწიფოს მომხრეების სასიხარულოდ, ეს მაჩვენებელი 31%-მდე დავა, თუ ახალგაზრდობას დაარწმუნებენ, რომ გაერთიანებული სამეფოს დატოვებით შოტლანდიაში ცხოვრების დონე გაუარესდება.**

# შოტლანდიაში ჩატარებულმა არჩევნებმა გაერთიანებული სამეფოს დაშლა მოაახლოვა

## შოტლანდიის დამოუკიდებლობა ბრიტანეთის იმპერიის კრახს გამოიწვევს

**„შოტლანდიის დამოუკიდებლობის მომხრეებმა ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს" — ასეთი სათაურით დაიბეჭდა გაზეთები დიდი ბრიტანეთის ჩრდილოეთ რეგიონში. ლონდონში გამოცემულმა პრესამ კი სხვა ტონალობა აირჩია და იუწყებოდა, რომ შოტლანდიის ნაციონალურმა პარტიამ (შნპ), რომელიც გაერთიანებული სამეფოდან გასვლის იდეას უჭერს მხარს, ვერ შეძლო რეგიონულ პარლამენტში უმრავლესობის მოპოვება. არჩევნების შედეგების როგორი განსხვავებული შეფასებებია! ამასთანავე, არცერთი მხარის პრესასა არ უთქვამს ტყუილი.**

შოტლანდიაში არჩევნები 6 მაისს ჩატარდა, მაგრამ პანდემიის საბაბით ბიულეტენების დათვლა მეორე დღეს დაიწყო, წინასწარი შედეგები კი 8 მაისს გამოცხადდა. ამასთანავე, არანაირი ეგზიტპოლი გათვალისწინებული არ ყოფილა.

შოტლანდიის ნაციონალური პარტია დამაჯერებლად რომ გაიმარჯვებდა, ეჭვი არავის ეპარებოდა. საკითხავი იყო, შეძლებდა თუ არა ეს ძალა აბსოლუტური ერთპარტიული უმრავლესობის მოპოვებას.

ერთხელ (2011 წელს) ეს უკვე შეძლო. სამი წლის შემდეგ ჩატარდა დამოუკიდებლობის პირველი რეფერენდუმი, რომლის შედეგების მიხედვით ბრიტანეთის ერთიანობის შენარჩუნებას მხარი დაუჭირა რეფერენდუმის მონაწილეთა 55-მა პროცენტმა. **უკვე იმხანად განაცხადეს სეპარატისტებმა, რომ იტოვებენ რეფერენდუმის განმეორებით ჩატარების უფლებას იმ „შემთხვევაში, თუ მნიშვნელოვნად შეიცვლებოდა პოლიტიკური ვითარება" და ასეთი ვითარება, როგორც შნპ-ის ლიდერები მიიჩნევენ, გასულ წელს შეიქმნა, როცა ბრიტანეთი საბოლოოდ გავიდა ევროკავშირიდან (შოტლანდიელთა უმრავლესობამ ხმა ბრექსიტის წინააღმდეგ მისცა).** ამიტომ ამ არჩევნებზე სეპარატისტები ამომრჩევლებს დაჰპირდნენ, რომ გამარჯვების შემდეგ ახალ რეფერენდუმს ჩაატარებდნენ 2023 წლამდე.

საბოლოოდ შნპ-მ მიიღო 61 ადგილი ჰოლირუდში (ასე ეძახიან შოტლანდიელები თავიანთ პარლამენტს არაოფიციალურად), აბსოლუტურ უმრავლესობამდე კი ერთი სადეპუტატო მანდატი დააკლდათ. რეგიონულმა პრესამ მყისვე დაადანაშაულა ლონდონური გამოცემები მანიპულაციაში, რომ ისინი სეპარატისტების მნიშვნელოვანი გამარჯვების დაკნინებას ცდილობენ. და აქ ისინი სრულიად მართლალი არიან. საქმე ის არის, რომ **რეგიონულ პარლამენტში, აგრეთვე, შევიდა 8 დეპუტატი მწვანეების პარტიიდან, რომელიც შნპ-ის მსგავსად მხარს უჭერს გაერთიანებული სამეფოდან გასვლას. ამრიგად, სეპარატისტებმა მოიპოვეს დიდი უმრავლესობა: 72 მანდატი 129-დან. შოტლანდიის დამოუკიდებლობის მომხრეებს მხარი დაუჭირა ამომრჩევლების 50%-ზე მეტმა, მოწინააღმდეგეებს კი — 48%-მა. ამ შედეგების გათვალისწინებით, რეფერენდუმის განმეორებით ჩატარების შემთხვევაში გამარჯვებას სეპარატისტები მოიპოვებენ.** და ეს ემთხვევა ბოლო საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგებს. მაგრამ საკითხავია, შეძლებენ თუ არა შნპ-ის ლიდერები დამოუკიდებლობის შესახებ კიდევ ერთი რეფერენდუმის ჩატარებას.

**ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა არაერთხელ განაცხადა, რომ 2014 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები იყო „მთელი თაობის არჩევანი" და ყველას დაჰპირდა, რომ ახალი რეფერენდუმის ჩატარებას ყველანაირად შეუშლიდა ხელს. შოტლანდიაში საარჩევნო უბნების დახურვიდან მეორე დღეს ჯონსონმა ვრცელი ინტერვიუ მისცა გაზეთ THE DAILY TELEGRAPH-ს და რეფერენდუმის ჩატარების იდეას „უპასუხისმგებლო და უაზრო" უწოდა.**

შნპ-ის ლიდერისა და შოტლანდიის პირველი მინისტრიეს, **ნიკოლა სტარჯენის,** პასუხი იყო მკაცრი და ერთმნიშვნელოვანი: **„რეფერენდუმი ჩატარდება ნებისმიერ ამინდში".** თავისი პარტიის გამარჯვების კომენტირებისას სტარჯენმა გააფრთხილა ჯონსონი, რომ საყოველთაო გამოკითხვის ორგანიზების ბლოკირების შემთხვევაში ის (ჯონსონი) გამოვა არა მისი პარტიის, არამედ „შოტლანდიელი ხალხის ნების წინააღმდეგ".

პოლიტიკურმა ექსპერტმა **ოლაფ სტანდომ** კონსერვატორებს შეახსენა, რომ ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერმა **დევიდ კემერონს**, როცა ბრექსიტის შესახებ რეფერენდუმი ჩაატარა, 37%-იანი მხარდაჭერა ჰქონდა. ამჟამინდელმა პრემიერმა ბორის ჯონსონმა კი ჩათვალა, რომ ევროკავშირიდან გასვლის მანდატის მისაღებად ხმების 43 პროცენტიც საკმარისია. შესაბამისად, ექსპერტის აზრით, შოტლანდიელ სეპარატისტებს ახლა რეფერენდუმის ჩატარების გაცილებით მეტი უფლება აქვთ. **შემთხვევითი არ არის, რომ შოტლანდიელები ალაპარაკდნენ ისეთ რეფერენდუმზე, როგორიც 2017 წელს კატალონიაში ჩაატარეს, ცენტრალური ხელისუფლების პირდაპირი აკრძალვის მიუხედავად.**

არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ ბორის ჯონსონმა გადაწყვიტა, მშვიდობისმყოფელის როლი ეთამაშა და ოპონენტებისთვის ზეთისხილის რტო გაეწოდებინა. მან დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოს სამი სუბიექტის — შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის — ლიდერებს შესთავაზა, შეკრებილიყვნენ „ერთობის სამიტზე", რომელსაც უკვე უწოდა გაერთიანებული სამეფოს გუნდი (Team UR). ბრიტანეთის პრემიერმა მისთვის დამახასიათებელი პათოსით მოუწოდა სტარჯენს, ერთობლივი ძალებით ებრძოლონ „ისტორიაში უპრეცედენტო გამოწვევებს". და არც ერთი სიტყვა იმაზე, რომ ერთ-ერთი ასეთი გამოწვევა არის შოტლანდიელთა სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ, დადასტურებული ახალი რეფერენდუმით. ჯონსონმა, რეფერენდუმის ჩატარების შესაძლებლობის კატეგორიულად მიუღებლობის მიუხედავად, ბოლო ქმედებებიდან გამომდინარე, უკვე დაიწყო არჩევნებისთვის აქტიური მზადება. ბოლოს და ბოლოს, ინგლისის (ლაპარაკი აღარ არის გაერთიანებული სამეფოს სხვა სუბიექტებზე) მცხოვრებთა უმრავლესობამ რეგიონულ არჩევნებზე უკვე აღიარა შოტლანდიელთა უფლება რეფერენდუმის განმეორებით ჩატარებაზე სეპარატისტების გამარჯვების შემთხვევაში.



**რამდენიმე დღის წინათ ჩატარებული არჩევნები შოტლანდიისთვის ახალი ეტაპია დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე. პოლიტიკოსების რიტორიკიდან გამომდინარე, ბრძოლა უშეღავათო იქნება და, ფინალური შედეგებისგან დამოუკიდებლად, გაერთიანებულ სამეფოში ხანგრძლივი კონსტიტუციური კრიზისი გარანტირებულია**



რამდენიმე ბრიტანული გაზეთის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ჯონსონი მოეთათბირა მთავრობის წევრებს შოტლანდიაში ავტოსტრადებისა და სარკინიგზო ხაზების შესაკეთებლად და მშენებლობისთვის რამდენიმე მილიარდი გირვანქა სტერლინგის დაბანდების შესახებ, რათა დაარწმუნოს შოტლანდიელები ერთიანი სახელმწიფოს უპირატესობაში.

მთავარი წინაღობა ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნების მომხრეებისთვის არის ის, რომ შოტლანდიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ძირითადად, გამოდიან ხანში შესული ადამიანები. სეპარატისტების ელექტორატის დიდი ნაწილი კი ახალგაზრდობაა. სწორედ ეს არის შნპ-ის რეიტინგის მატების ძირითადი მიზეზი. შემთხვევითი არ არის, რომ პირველი რეფერენდუმის შემდეგ მედიამაგნატმა რუპერტ მერდოკმა, რომელიც კარგად ერკვევა ბრიტანეთის მოწყობის დეტალებში, განაცხადა, რომ რამდენიმე წელიწადში „შოტლანდიის თვითმმართველობა გარდაუვალი იქნება".

ბოლო გამოკითხვამ, რომელიც 16-დან 35 წლამდე შოტლანდიელ ახალგაზრდებს შორის ჩატარდა, აჩვენა, რომ ამ ასაკობრივ ჯგუფში ბრიტანეთისგან გამოყოფის მხარდაჭერის დონე 62%-ია; მაგრამ, ერთიანი სახელმწიფოს მომხრეების სასიხარულოდ, ეს მაჩვენებელი 31%-ამდე დავა, თუ ახალგაზრდობას დაარწმუნებენ, რომ გაერთიანებული სამეფოს დატოვებით შოტლანდიაში ცხოვრების დონე გაუარესდება. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ტაქტიკას აირჩევს ლონდონი მისთვის საგანგაშო ტენდენციის შესაცვლელად — ახალგაზრდებს დააშინებენ, რომ გაერთიანებული სამეფოდან გასვლის შემთხვევაში გაღარიბდებიან.

შეიძლება ითქვას, რომ რამდენიმე დღის წინათ ჩატარებული არჩევნები შოტლანდიისთვის ახალი ეტაპია დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე. პოლიტიკოსების რიტორიკიდან გამომდინარე, ბრძოლა უშეღავათო იქნება და, ფინალური შედეგებისგან დამოუკიდებლად, გაერთიანებულ სამეფოში ხანგრძლივი კონსტიტუციური კრიზისი გარანტირებულია.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**ქაოსი აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში თითქოს ტრამპის ეპოქის თანამდევი იყო და ბაიდენის გაპრეზიდენტების შემდეგ პოლიტიკა მკაფიო და თანმიმდევრული იქნებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბაიდენის გუნდის წევრებშიც არ არის თანხმობა, რაც ქაოსს იწვევს. შეიძლება, ეს განპირობებულია იმით, რომ თეთრი სახლის ამჟამინდელი უფროსი ფიზიკურად უძლურია, გააკონტროლოს ყველა საკითხი, და წინამორბედებზე მეტად არის დამოკიდებული თავის გარემოცვაზე.**

ამერიკელი ქორები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვინ განსაზღვრავს აშშ-ის საგარეო პოლიტიკას?

## რა დგას ჯონ კერის საწინააღმდეგო ინფორმაციის გაჟონვის უკან

**პოპულარულმა ამერიკულმა გამოცემა The New York Times-მა ცოტა ხნის წინათ დაწერა, რომ აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი ირანს ინფორმაციებს გადასცემდა სირიაში თეირანის საწინააღმდეგო ისრაელის საიდუმლო ოპერაციების შესახებ. კერიმ უარყო ბრალდება, მაგრამ გაზეთში გამოქვეყნებულმა მასალამ კითხვები გააჩინა. კერძოდ, სრულიად სხვაგვარად წარმოჩნდა ურთიერთობა სამკუთხედისა აშშ-ისრაელი-ირანი.**

კერის საწინააღმდეგო ინფორმაციის გაჟონვის ძირითადი მიზეზი შეიძლება დაკავშირებული იყოს აშშ-ის პრეზიდენტის მოქმედ ადმინისტრაციასა და აშშ-ის საგარეო პოლიტიკურ კურსთან.

შესაძლოა, ეს ისტორია დაიწყო მიმდინარე წლის აპრილში ინდოეთში, სადაც პრეზიდენტ **ჯო ბაიდენის** სპეცწარმომადგენელმა ეკოლოგიის საკითხებში — **ჯონ კერიმ** მოლაპარაკებები გამართა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ **სერგეი ლავროვთან.** ამბობენ, რომ ეს მოლაპარაკებები დაუგეგმავი იყო და შეხვედრაზე მხოლოდ კლიმატის საკითხებზე იმსჯელეს, მაგრამ ამის დაჯერება რთულია. **შემდეგ იყო ჯო ბაიდენის ზარი ვლადიმერ პუტინთან. მანამდე აშშ-ის პრეზიდენტმა ცუდად მოიხსენია რუსი კოლეგა და ისე ჩანდა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობაში „ფსკერი გაიხვრიტა“, შემდეგ უცებ გაისმა ზარი შეხვედრისა და ყველა აქტუალური საკითხის განხილვის წინადადებით. გაჩნდა ეჭვი, რომ ორი პრეზიდენტის სატელეფონო საუბარი „გააჩალიჩა“ კერიმ, რომელიც ყოველთვის მხარს უჭერდა კონსტრუქციულ დიალოგს საერთაშორისო ურთიერთობებში და რომელიც ხშირად ახერხებდა საერთო ენის გამონახვას იმავე სერგეი ლავროვთან** (მაგალითად, სირიის საკითხზე), თუმცა ეს შეთანხმებები ასევე ხშირად იშლებოდა ხოლმე (შესაძლოა, იმ ძალების ქმედებების შედეგად, რომლებიც დაინტერესებულნი არ არიან მოვლენების კომპრომისული განვითარებით). საინტერესოა, რომ პუტინთან ბაიდენის ზარის შემდეგ ამერიკელებმა მალე დააწესეს სანქციები რუსეთის სახელმწიფო ვალის წინააღმდეგ. შემდეგ კი გაჩნდა ზემოხსენებული მასალა The New York Times-ში, რაც, უკვე თქმულის გათვალისწინებით, ჰგავს ვიღაცის სწრაფვას, ჩააცხროს კერის საგარეო პოლიტიკური აქტივობა, ის დაკავებული იყოს მხოლოდ კლიმატის საკითხებითა და სხვის საქმეში ცხვირი არ ჩაყოს. საერთოდ, **იქმნება შთაბეჭდილება, რომ, სანამ ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ზოგიერთი წევრი ცდილობს დაძაბულობის შემცირებას რუსეთთან ურთიერთობაში, სხვები ამ ურთიერთობის კიდევ უფრო დაძაბვას ცდილობენ. მართალია, არის ვარიანტი, რომ სქემა „მკვლელი“-ზარი-სანქციები — ეს არის „მათრახისა და თაფლაკვერის“ პოლიტიკის კლასიკური ნიმუში, მაგრამ დამატებითი გარემოებები მიუთითებს ბაიდენის გუნდში დაპირისპირებაზე საგარეო პოლიტიკის საკითხებში.**

მაგალითად, მარტში დემოკრატიულ პარტიასთან დაახლოებულ ატლანტიკური საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა სტატია „საგნების რეალური მდგომარეობის შემოწმება №4: რუსეთის მიმართ ფოკუსი ინტერესებზე და არა ადამიანების უფლებებზე“. სტატიაში ავტორები წერენ, რომ „მოსკოვთან დიალოგისას დაგვეხმარება არა ფასეულობები, არამედ რაციონალური მიდგომა“ და ატლანტიკური საბჭოს თანამშრომლებისა და პარტნიორების უმრავლესობა მყისვე საჯაროდ (!) თავს დაესხა სტატიას და მას უმართებულო უწოდა.

ამრიგად, იკვეთება საინტერესო სურათი: **ქაოსი აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში თითქოს ტრამპის ეპოქის თანამდევი იყო და ბაიდენის გაპრეზიდენტების შემდეგ პოლიტიკა მკაფიო და თანმიმდევრული იქნებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბაიდენის გუნდის წევრებშიც არ არის თანხმობა, რაც ქაოსს იწვევს.** შეიძლება, ეს განპირობებულია იმით, რომ თეთრი სახლის ამჟამინდელი უფროსი ფიზიკურად უძლურია, გააკონტროლოს ყველა საკითხი და წინამორბედებზე მეტად არის დამოკიდებული თავის გარემოცვაზე, რომელიც,



ჩანს, თანამოაზრეთა გუნდი სულაც არ არის. ბაიდენის გარემოცვაში მიმდინარეობის ბრძოლა გავლენისთვის, თუმცა გასარჩევია, ვინ რომელ ხაზს ატარებს.

ვინ არის დღეს აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში საკვანძო ფიგურა?

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **ენტონი ბლინკენი,** უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველი **ჯეიკ სალივანი** თუ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელი **უილიამ ბერნსი** (სადღაც მათ შორისაა ჯონ კერიც)? და კვლავ საინტერესო სურათი: თუ ამ ადამიანების შესახებ პრესაში დაბეჭდილ მასალებს წაიკითხავთ, ვერ იტყვით, რომ ისინი აშკარა ქორები არიან. მაგალითად, ისინი, ვინც სახელმწიფო დეპარტამენტში ბერნსთან ერთად მუშაობდნენ, ამბობენ, რომ ის გამოირჩევა თავშეკავებულობითა და გუნდური თამაშის უნარით. ბევრი აღნიშნავს, რომ ბერნსს შეუძლია დარჩეს შეუმჩნეველი, გაითქვიფოს გარემოში. ბლინკენსა და სალივანს მსგავსი თვალსაზრისის მქონე მე-



ენტონი ბლინკენი და ვიქტორია ნულანდი კიევში

გობრებად მიიჩნევენ, ისინი არ ჰგვანან **ჰილარი კლინტონს** ან **ჯონ ბოლტონს.**

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **ყველა ეს პერსონაჟი, მათ შორის კერიც, კოლექტიური ბარაკ ობამაა, რომელიც, სხვათა შორის, გარიგებას დათანხმდა სირიის ქიმიური იარაღის საკითხზე, რათა თავიდან აეცილებინა ამერიკის სამხედრო ოპერაცია სირიის წინააღმდეგ.**

მაშინ ვინ ამწვავებს აშშ-ის საგარეო პოლიტიკას დონალდ ტრამპის შემდეგ?

ეს ხომ არ არის ვიცეპრეზიდენტი **კამალა ჰარისი,** რომელიც, როგორც მასმედია იუწყება, უცხოელ ლიდერებთან ხშირად მართავს მოლაპარაკებებს ბაიდენის ნაცვლად? მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ არის კამალა ჰარისი, რადგან ცოდნისა და შესაძლებლობების გამოყენების თვალსაზრისით საერთაშორისო ურთიერთობები მისი ძლიერი მხარე არ არის. მაშინ **გამოდის, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია არის მხოლოდ ფასადი, ფირნიში, რომელიც მხოლოდ აირეკლავს ვიღაცის სიღრმისეულ გეგმებს, ხოლო სიღრმეში, მაგალითად, სახელმწიფო დეპარტამენტისა, ჩამალულნი არიან ისეთი ქორები, როგორიც არის ვიქტორია ნულანდი, რომელიც, ჩანს, „სიღრმისეული სახელმწიფოს“ „ზედამხედველია“ და აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში იმაზე დიდ როლს თამაშობს, ვიდრე სახელმწიფო მდივანი.**

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ ბაიდენის პრეზიდენტობის პერიოდში მთელი თავისი სიმშვენიერით უნდა წარმოჩნდეს ამერიკული გლობლისტერი იმპერიალიზმი, რომლის შეკავებასაც ლამობდა ტრამპი, მაგრამ, ბევრის გასაოცრად, ის ჯერჯერობით, ძირითადად, ვლინდება სიტყვებში, საქმეში კი ამერიკა საკმაოდ თავშეკავებულია, შესაძლოა, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ეცნობიან ვითარებას სხვადასხვა მიმართულებით და ემზადებიან შეტევისთვის.

ყველაზე საინტერესო კი არის ის, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში პრაგმატიკოსებსა და ქორებს შორის შენარჩუნებულია დაპირისპირება, რომლის სერიოზულობაზეც მიუთითებს განვითარებული მოვლენები და ბოლომდე გასაგები არ არის, თეთრ სახლში ბაიდენისა და მისი გუნდის დასმით ვინ განსაზღვრავს დღეს აშშ-ის საერთაშორისო კურსს.

ეს კი ნიშნავს, რომ მსოფლიოს წინ ბევრი სიურპრიზი ელის.

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**იქმნება შთაბეჭდილება, რომ, სანამ ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ზოგიერთი წევრი ცდილობს დაძაბულობის შემცირებას რუსეთთან ურთიერთობაში, სხვები ამ ურთიერთობის კიდევ უფრო დაძაბვას ცდილობენ. მართალია, არის ვარიანტი, რომ სქემა «მკვლელი»-ზარი-სანქციები — ეს არის «მათრახისა და თაფლაკვერის» პოლიტიკის კლასიკური ნიმუში, მაგრამ დამატებითი გარემოებები მიუთითებს ბაიდენის გუნდში დაპირისპირებაზე საგარეო პოლიტიკის საკითხებში**



ენტონი ბლინკენი, ჯონ კერი და ჯეიკ სალივანი

25-ე გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უსმინეთ: თურმე „ლევ დავიდოვიჩ ბრონშტეინს (ტროცკის), ისევე, როგორც პუშკინს, უმიზეზო გულის წასვლა სჭირდა; პუშკინსაც და ბრონშტეინსაც სახეზე, ტუჩების მარცხენა კუთხეში დროდადრო ნერვული კრუნჩხვა აწუხებდა. ორივეს სჭირდა შთამომავლობითი პოდაგრა, სიბეცე (ახლომხედველობა) და, რაც მთავარია, კუჭ-ნაწლავის, სტომაქის „უხერხულობანი“. ტროცკი მთელი ცხოვრების განმავლობაში კუჭის აშლილობას მკურნალობდა. „ლევ ანინსკის შეუნიშნავს, რომ პუშკინიც თურმე შედიოდა საპირფარეშოებში. განა ეს პირდაპირი მტკიცებულება არ არის, რომ ლეიბა და ალექსანდრე, როგორც „ლენინი და პარტია, ტყუპი ძმები არიან?“** *(ვლადიმერ მაიაკოვსკი).*

**ხალხურ ლექსში „ორშაბათ დილა“ წერია, ხოლო ამინდს მნიშვნელობა არ აქვს, რადგან, „დარია თუ ავდარია, მიშა მაგარია“.
მეტი არაა თქვენი მტერი!
ჩვენი ტურა-მელიები, ატმოსფერული ცვალებადობის მიუხედავად, ყოველთვის მზად არიან საომრად, ამას სახალხო მთქმელთან ერთად დღევანდელი რეალობაც ადასტურებს: მელია, მელაძე, მელაშვილი — ამ საზოოპარკე გაიძვერა ეგზემპლარების გარშემო ტრიალებს დღეს საქართველოს საზოგადოებრივი აზრი. ქართული პოლიტიკური პრესისა და პრაქტიკული მეცნიერების ლიდერშიპის მიერ შედგენილი დღის წესრიგით გვაცხოვრებენ.
ამათზე უკეთესს, ბევრიც ეძებო, ვერ იპოვი, მაგრამ რატომ უნდა ვეძებოთ?!**

# ოთხშაბათ დილა გათენდა, რა კარგი დარი დგებაო


ლევ ტროცკი ვლადიმერ ლენინის მარჯვენა ხელი იყო

**დღეს, ფეიკების ეპოქაში, მელია-მელაძე-მელაშვილის ტრიადა იმავე ხეპრეობით, მაგრამ ახალი თემებით გვიბურღავს საზოგადოების კოლექტიურ ტვინს, რომელიც, მრავალთა სინერგიით შეკრული და გაერთიანებული, ბრბოს ტვინად ტრანსფორმირდება ყოველთვის**


მელია ნიკანორი


მელაძე ნოდარი


მელაშვილი ივერი

## „...ეს ჩვენი ტურა-მელია საომრად ემზადებაო“

კატის გამბედაობით, თაგვს რომ მისდევს მაშინ. ქაფქაფა ჭიქა ჩაიში ქარიშხალს ააგრიალებს ისეთი გრუხუნით, როგორითაც აპოკალიფსის დაწყება ემცნობება ადამის მოდგმას ადრე თუ გვიან, ხოლო თბილისის არისტოკრატია ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინათ ასეთი მოქნეული ფრაზით ეხმაურებოდა გააზნაურებულ მდაბიოთა გამოპიჟონებას.

დატკბილული ჩაით გამასპინძლება მაშინ მოდური ხდებოდა და თავისი რიტუალი გააჩნდა, რომელშიც კოვზის დინჯი და აუჩქარებელი მორევით ჭიქაში ჩაგდებული შაქარყინულის ნატეხის გადნობაც იგულისხმებოდა. ამასობაში გრილდებოდა ჩაი და — მიირთვი, ბატონო, ნელა მოწრუპე, არ დახარბდე, როგორც სოფლიდან დედაქალაქში ჩამოსული ხეპრე მეზობელი.

ნაღდი შაქარი იყიდებოდა მაშინ და არა დღევანდელი რაფინადი.

სტუმარს ძალა ერჩოდა და მორიდების ბევრი არა გაეგებოდა რა. გამეტებით უხათქუნებდა ვერცხლის კოვზს ბროლის ჭიქის კედლებს, ისე, თითქოს სიონის ზარების საპარაკლისო დაგუგუნება ჰქონდა დავალებული. აი, მაშინ დიასახლისი შესძახებდა იმერელ ხელის ბიჭს:

— ქუჩაში გაიხედე, გეთაყვა, ჩვენი ცხენები ჩამოურეკიათ, მგონი.

რკინის ნალებით დაჭედილი რემა.

ეს იყო.

**დღეს, ფეიკების ეპოქაში, მელია-მელაძე-მელაშვილის ზემოთ ნახსენები ტრიადა იმავე ხეპრეობით, მაგრამ ახალი თემებით გვიბურღავს საზოგადოების კოლექტიურ ტვინს, რომელიც, მრავალთა სინერგიით შეკრული და გაერთიანებული, ბრბოს ტვინად ტრანსფორმირდება ყოველთვის.**

ნოდარ მელაძე დახვეწილი ქართულითა და მომაკვდავი გედის ფრთებივით ფაფუკი მკლავების დედლური პრანჭვა-გრეხვით ტელეეკრანზე მიდი-მოდის და გვიანონსებს, რომ „პოლიციელებმა მძინარე შვილების თვალწინ მოკლეს (თუ დააპატიმრეს) მათი მამა“.

და რომ ძალოვანი სტრუქტურები მაინცდამაინც უდანაშაულო, პატიოსან ადამიანებზეა დაგეშილი, ხოლო თბილისის მთაწმინდის ფერდობი რომ იშლება რომელიღაც ადგილზე ჯოხის ჩარჭობის წერტილოვანი, გაშეშებული ვიდეოკადრით „ფაქტის მნიშვნელობას“ ანიჭებს და „ადასტურებს“ ამ სენსაციას.

შეიძლება მელაძის შაბათის პროგრამით არ გადაიცა? არ გამოვრიცხავ, რადგან ცოდვა გამხელილი ჯობია: „მთავარი“, „პირველი არხი“, „ფორმულა“, „კავკასია“ (სამწუხაროდ) და ზოგიერთი სხვა ტელეარხი ერთმანეთში მერევა.

თქვენ არჩევთ?

ბრავო!

ივერ მელაშვილი კატეგორიულად აცხადებს, რომ დავითგარეჯა არც არასდროს ყოფილა საქართველო.

ხოლო „სამი გლავნი“ მელიის მიერ პირადად ჩამოყალიბებულ-დამუშავებული ნაცპარტიის სტრატეგია-ტაქტიკის შესახებ გამოქვეყნებული შრომები ლენინის „მარქსიზმის სამი წყაროსა და სამი შემადგენელი ნაწილის“ შემოქმედებითი გადამუშავებისა და ძირფესვიანი დახვეწის უბადლო ნიმუშია.

**ციხიდან გამოსვლა ნიკა-ნიკანორ-ნიკანდრო მელიამ იმიტომ ხომ არ გაწელა, რომ კარლ კაუტსკის ისტორიულ-ეკონომიკური მატერიალიზმის შრომების ანალიტიკურ გააზრებას ამთავრებდა საქართველოს ნეოლიბერალური განვითარების გზების ძიების ჭრილში?!**

აბა, პარტიის თავმჯდომარის თანამდებობაზე იმიტომ ხომ არ აირჩევდნენ, რომ მისი თავისა და ტვინის გლუვი ზედაპირის არნახული ლაპლაპი მომხიბვლელი და მიმზიდველი იყო მათი პარტიის ყრილობის ყველა დელეგატისთვის?!

ფეიკმახერობას ვერ დამაბრალებთ!

ჩვენი ტურა-მელიები სიცრუის წვრილფეხობის ჩარჩოებში არიან გამომწყვდეულები.

კნინები!

მაგრამ რას იბღინძებიან!

„ვისაც სხვისი მუშტი არ მოხვედრია, თავისი ბათმანი ჰგონია“ (ოსმალური ბათმანი 7,3 კილოგრამს უდრის).

## მაშინ, როცა ჩვენი ცრუქაქუცები ქართულ პოლიტიკურ ორღობეებში გაეჩხირნენ

გარეთ გლობალური ტყუილის საუკუნეა, რომლის ერთ-ერთ პრიმადონად ითვლება მოვლენების აქტიური ანალიზატორი, ვინმე **ლევ ანინსკი**, რომელმაც 90-ზე მეტი წლის წინათ საბჭოთა კავშირიდან ОГПУ-ს კოლეგიასთან არსებული საგანგებო სათათბიროს დადგენილებით გაძევებული სსრკ-ის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის — **ლევ ტროცკის,** რეაბილიტაცია მისი წარმომავლობის გაკეთილშობილებით მოინდომა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლევ ტროცკის ნამდვილი სახელი და გვარი **ლეიბა ბრონშტეინი** იყო — **ლეიბა დავიდოვიჩ ბრონშტეინი.**

არაო, ეგრე არ არისო, — თავს იკლავს ანინსკი და ამ ერთი, ცალკე აღებული რევოლუციონერის მაგალითზე ჯიუტად ცდილობს ძველი აღქმის დროინდელი ერის, ებრაელების, რუსეთის ისტორიული სივრციდან ჩამოცილებას.

ვირეშმაკულად.

შეფარვით, შემოვლითი გზებით, ყალბ წყაროებზე დაყრდნობით, ანტისემიტიზმის ადეპტი ხდება, მაგრამ ისე, რომ არავინ შეედავოს.

გაიძვერულად.

იუდეველი არ ყოფილაო ლევ ტროცკი. მასთან შედარებით, პირწავარდნილი რუსი ანტისტალინელების აღიარებით, იოსებ ბესარიონის ძე უცოდველი ბავშვია.

ასეა.

ანინსკი უარყოფს.

ტროცკი კი თავად ადასტურებდა, რომ ჭეშმარიტი ებრაელი იყო.

ორ ოფიციალურ დოკუმენტს გთავაზობთ მრავალთაგან ამის დასამტკიცებლად:

პირველი. გარკვეულ პერიოდში ლენინს ლევ დავიდოვიჩის თავის პირველ მოადგილედ დანიშვნის იდეა აეკვიატა. ტროცკიმ ოპერატიულად გადაათქმევინა: **„ჩვენს ხელისუფლებას არასდროს ექნება რკინისებური ავტორიტეტი, თუ ადამიანები სახელმწიფოს მართვის სათავესთან ებრაელთა უმრავლესობას იხილავენ. არ ღირს მთავარ როლებზე მათი ერთბაშად დაწინაურება. ამას სწორად ვერ გაგვიგებენ“.**

„გადახრა“ მაშინ მართლაც თვალშისაცემი იყო. მაგალითად, ამერიკის საოკუპაციო კორპუსის შტაბის ოფიცერი, კაპიტანი **მონტგომერ შიულერი** დეპეშაში, რომელიც 1919 წლის 9 ივნისს აშშ-ის დეპარტამენტს გაუგზავნა, საბჭოთა ორგანოების ეროვნული შემადგენლობის შესახებ ატყობინებდა: **„აქ დაახლოებით 384 კომისარია, მათ შორის 2 ზანგია, 13 — რუსი, 22 — სომეხი და 300-ზე მეტი — ებრაელი, რომელთაგან 264 ადამიანი ჩამოვიდა შეერთებული შტატებიდან იმპერატორის მმართველობის დაცემის შემდეგ“** *(იხ. „ექსპრეს გაზეთა ამერიკაში“, №44, 2020).*

ლევ ანინსკიმ ახალი მითი შეთხზა: დააძმობილა, დაანათესავა, ერთი გვარის შვილებად წარმოგვიდგინა რუსი ერის სიამაყე, უდიდესი პოეტი **ალექსანდრე პუშკინი და ლევ ბრონშტეინი: „სინამდვილეში ტროცკი ებრაელი არ იყო, ბრონშტეინები მამამისის დედობილ-მამობილი ყოფილან. ლევ ტროცკი კი პუშკინების ძველისძველი გვარის პირდაპირი შთამომავალია“.**

მოკლედ და გასაგებად.

რით ამტკიცებს?

**უსმინეთ: თურმე „ლევ დავიდოვიჩ ბრონშტეინს (ტროცკის), ისევე, როგორც პუშკინს, უმიზეზო გულის წასვლა სჭირდა; პუშკინსაც და ბრონშტეინსაც სახეზე, ტუჩების მარცხენა კუთხეში დროდადრო ნერვული კრუნჩხვა აწუხებდა. ორივეს სჭირდა შთამომავლობითი პოდაგრა, სიბეცე (ახლომხედველობა) და, რაც მთავარია, კუჭ-ნაწლავის, სტომაქის „უხერხულობანი“. ტროცკი მთელი ცხოვრების განმავლობაში კუჭის აშლილობას მკურნალობდა. „ლევ ანინსკის შეუნიშნავს, რომ პუშკინიც თურმე შედიოდა საპირფარეშოებში. განა ეს პირდაპირი მტკიცებულება არ არის, რომ ლეიბა და ალექსანდრე, როგორც „ლენინი და პარტია, ტყუპი ძმები არიან?“** *(ვლადიმერ მაიაკოვსკი).*

ანინსკის დასკვნა ქუხს, ვითარცა იერიქონის საყვირი: „ვფიქრობ, მკითხველებისთვის, რომლებიც ჩახედულნი არ არიან პუშკინისტიკის სიღრმეებში, საინტერესო იქნება, გაეცნონ დიდი რუსი პოეტისა და დიდი რუსი რევოლუციონერის ნათესაური კავშირის ჰიპოთეზას, მიუხედავად იმისა, ზანგის, ებრაელის, პოლონელის თუ რუსის სისხლი სჩქეფდა მათ ძარღვებში“.

აი, აქა არს დამარხული ის ვირეშმაკობა და გაიძვერობა, რომლებზეც ზემოთ მიგანიშნეთ: „პუშკინისტმა“ ლევ ანინსკიმ ალექსანდრე სერგეევიჩისა და ლევ დავიდოვიჩის დანათესავებით, ამ უკანასკნელისთვის ეროვნული კუთვნილების გაუქმებით სისხლიანი ცოდვები შეუნდო ლეიბას.

ანინსკიმ კი „შეუნდო“, მაგრამ...

ჯერ ისეთ დანათესავებაზე რა ვთქვი, რომლის დასამტკიცებლად კუჭის აშლილობის მოხმობა გახდა საჭირო (იმიტომაც ყარს, როგორც ნაფალარათალი უწმინდურობა); მეორეც, ამ სიბინძურის მომგონის „შენდობას“ რა წმინდა ძალა შეიძლება ჰქონდეს, მკითხველმა განსაჯოს.

არავითარი!

ადამიანების ამოთხვრა განავალში ამას ჰქვია.

ახლა დაკვირვებით წაიკითხეთ ამონარიდი „ექსპრეს გაზეტა ამერიკის“ 44-ე ნომერში გამოქვეყნებული წერილიდან: „ტროცკი თავისი რევოლუციური მოღვაწეობის ▶

25-ე ფვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ისრაელში შექმნილი მდგომარეობა ერთგვარად შეერთებულ შტატებში არსებული ვითარების ანარეკლია, მაგრამ სწორედ ეს არის ისრაელის საზოგადოების, ისრაელის პოლიციის, ისრაელის ხელისუფლების ამერიკანიზაციის შედეგი. ის, რაც ჰამასსა და სხვა დანარჩენს ემართება, ცეცხლზე ნავთის დასხმასა ჰგავს.




◀ გამო იუდაიზმის უსაშინელესი წყევლით წაწყმიდეს. არამეულ ენაზე ეს წყევლა წარმოითქმის **„პულსა დე-ნურა“**, რომელიც დაახლოებით „ეშმაკსაც წაუღიხარს“ ნიშნავს. ვარაუდობენ, რომ „პულსა დე ნურით“ ტროცკი დაწყევლა ცნობილმა რაბინმა **ხაფეც ხაიმმა.** თანამედროვე ისრაელში ასე საშინლად დაიწყევლენ პრემიერმინისტრები: **იცხაკ რაბინი** და **არიელ შარონი** 1995 და 2005 წლებში, პალესტინელებთან მოლაპარაკებების გამართვისა და მათთვის ზოგიერთი შეღავათის დაწესებისთვის. იცხაკ რაბინი დაწყევლიდან ერთი თვის შემდეგ მოკლეს, არიელ შარონი კი, ნახევარი წელიწადი არც იყო გასული, რომ კომაში ჩავარდა, რომელსაც გადაყვა კიდეც. ტროცკიც საშინელი სიკვდილით გარდაიცვალა. საყურადღებოა, რომ ებრაელებს „პულსა დენურით“ მხოლოდ თანატომელების დაწყევლის უფლება აქვთ. თუ ამ წესს დაარღვევენ, წყევლა მაწყევარს შემოუბრუნდება. ასე განმარტა ისრაელელთა რუსულენოვან გაზეთ „კურიერში“ რაბინმა **იოსებ დაიანმა,** რომელმაც დაწყევლა იცხაკ რაბინი და არიელ შარონი“.

ყველა მათგანს ებრაელი ხალხის წინაშე ჩადენილი ცოდვები ამძიმებდა. ტროცკის სახელმწიფო გადატრიალება ჰქონდა ინკრიმინირებული, რევოლუციის ორგანიზება და გაძღოლა, რევოლუციამ კი ისრაელიანნი რელიგიას ჩამოაცილა.

## ჰამასს უხარია, როცა ბომბავენ

**ისრაელის სახელმწიფო თავის პრობლემებს ყოველთვის თვითონ წყვეტდა, სტრატეგიული პარტნიორების იმედზე არასდროს დარჩენილა, რადგან მათ, ვისაც პირველ და უდიდეს მეგობრებად მოიხსენიებდნენ, აღშფოთების, უკიდურეს შემთხვევაში, უდიდესი აღშფოთების გამოხატვის გარდა, სხვა არაფრით გამოუდვიათ თავი.**

ახლაც ასეა, როცა ისრაელსა და პალესტინას შორის გამწვავებული ურთიერთობა ცხელ ფაზაში შევიდა.

სიტუაცია ისრაელში თანდათან მძაფრდებოდა და, როგორც იაკობ კედმი აცხადებს, ამის მიზეზი ცოტა როდია.

უწინარეს ყოვლისა, ცუდად არის ორგანიზებული პოლიცია, დიდად პროფესიულიც არ არის. სამართალდამცველთა უმოქმედობის ფონზე გამრავლდა მკვლელობები, გახშირდა ქურდული გარჩევები, იმძლავრა კრიმინალმა საერთოდ. ძალიან დიდი რაოდენობით იარაღი დაგროვდა მოსახლეობაში. დაუსჯელობა საყოველთაოა, რაც ადამიანების ამა თუ იმ ჯგუფებს, იგივე ბედუინებს, შესაძლებლობას აძლევს, იარსებონ სახელმწიფოს მიღმა. არაბეთის სექტორში იარაღი, მგონი, არმიაზე ნაკლები არ აქვთ.

ძალიან გახშირდა თავდასხმები.

პოლიციის უმოქმედობის ფონზე ადამიანები თვითონ იწყებენ თავიანთი პრობლემების მოგვარებას.

**ისრაელში შექმნილი მდგომარეობა ერთგვარად შეერთებულ შტატებში არსებული ვითარების ანარეკლია, მაგრამ სწორედ ეს არის ისრაელის საზოგადოების, ისრაელის პოლიციის, ისრაელის ხელისუფლების ამერიკანიზაციის შედეგი. ის, რაც ჰამასსა და სხვა დანარჩენს ემართება, ცეცხლზე ნავთის დასხმასა ჰგავს.**

**„შეერთებულ შტატებში რაც ხდება, შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტია, საგარეო ურთიერთობებს არ უკავშირდება, — მიიჩნევს კედმი, — ჩვენთან კი მაინცდამაინც საგარეო საქმეებთან არის გადახლართული, ამიტომაც რთულდება“.**

ანალიტიკოსის აზრით, ღაზაც ორია: ერთი, რომელიც სურათებზე ჩანს, მეორე მიწის ქვეშ არის. მთლიანად დასერილია გვირაბების უთვალავი რაოდენობით, სავსეა ბუნკერებით.

გვირაბი, რომელიც ახლახან ააფეთქა ისრაელმა, სკოლის ქვეშ იყო გათხრილი. სამი მრავალსართულიანი შენობა მხოლოდ მას შემდეგ დავანგრიეთ, რაც მოწინააღმდეგე გავაფრთხილეთ, რომ რამდენიმე საათში დავბომბავდით იმ სახლებს და ვთხოვეთ, გაეყვანათ ხალხი. ამ სახლების ზემო სართულებზე მოქალაქეები ცხოვრობდნენ, მათ ქვევით — ჰამასი ან ჯადა ისლამი, უფრო ქვევით — ისევ მოსახლეები, მათ შემდეგ ტერორისტების საამქროები იყო მოწყობილი. მშვიდობიან ვითარებაში ძნელია მათი მოსპობა. ომის დროს ვიპოვეთ განადგურების საშუალება.

ასევე იყო ფენებად დანაწილებული მეორე შენობაც.



„მშობლიურო ჩემო მიწავ...“



მაგრამ პრობლემების თავი და თავი მიზეზი, იაკობ კედმის აზრით, არის გაურკვეველი საერთაშორისო ვითარება, ხელისუფლების მიერ ეფექტიანი გადაწყვეტილებების ძიებისა და განხორციელების უუნარობა, რომელიც კრიზისის მართვის და არა კრიზისის გადაწყვეტის სხვისი ნაკარნახევი სისტემის ჰაიჰარად მიღებით არის განპირობებული.

თავიანთი ვიწრო პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე, გადაწყვიტეს, რომ ჰამასის განადგურება არ შეიძლება: — ჩვენ ვიპოვით მასთან პოლიტიკური თანაარსებობის საშუალებასო. ჰამასი ისრაელის მთავრობას სჭირდება, ყოველ შემთხვევაში ბოლო ოცი წლის განმავლობაში ყველა მთავრობას სჭირდებოდა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა შარონი პრემიერმინისტრი იყო, რადგან იგი (ჰამასი) არისო „პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის“ და ავტონომიების ხელისუფლებების საპირწონე.

რა საჭიროა პალესტინის პრობლემის გადაწყვეტა, უმჯობესია, გვქონდესო პალესტინის სამი პრობლემა: პირველი იუდეველების ავტონომია სამარეაა; მეორე — ღაზაში და მესამე — იორდანეს ნაპირზე.

— მაშინ სამივე უფრო სუსტი იქნება და გვეთქმის კიდეც. „აბა, ვისველაპარაკოთ, რადგან საერთო ძალაუფლება არც ერთს არ გააჩნია, — ამბობს ექსპერტი და განაგრძობს, რომ ამ პოლიტიკამ ამჟამად ქუჩაში იფეთქა, — ავტონომიებში არჩევნები უნდა გამართულიყო. ჰამასმა ამ მიმართულებით კარგად იმუშავა და არჩევნებში გამარჯვების კარგი შანსიც ჰქონდა; მკვეთრად გაართულა პოლიტიკური დაძაბულობა. ამას დაემატა რამადანიც, რომელიც იერუსალიმისკენ ათასობით ადამიანს იზიდავს და ყველა პოლიტიკური ძალა თავისი მიზნების მისაღწევად მათ გამოყენებას ცდილობს. ისრაელის ხელისუფლებამ ამ ისედაც დაძაბულ დროს განაცხადა, რომ რამდენიმე არაბულმა ოჯახმა უნდა დაცალოს უწინ მითვისებული ებრაელების კერძო სახლები, შემდეგ — გამოისყიდოს.

**მახმუდ აბასს** არჩევნების შეეშინდა, ივარაუდა, რომ დაკარგავდა ძალაუფლებას, და გადადო არჩევნები. ჰამასმა სწორად შეაფასა ვითარება და გაამწვავა პოლიტიკური ატმოსფერო მოსახლეობაში უფრო მეტი ავტორიტეტისა და გავლენის მოსაპოვებლად. ამ ყველაფერმა გავლენა მოახდინა ბოლო ორი დღის განმავლობაში სალოცავად შეკრებილ მასაზე, რომელშიც ბევრი ახალგაზრდა იყო, საერთო ჯამში, ათი ათასზე მეტი შეიკრიბა. დაიწყო თავდასხმები პოლიციაზე, პოლიციამაც ადეკვატურად უპასუხა და აირია მონასტერი.

* * *

**— ჰამასს უხარია, როცა ჩვენ მას ვბომბავთ, — დასკვნისკენ მიჰყავს საუბარი იაკობ კედმის, — ეს ძალიან კარგია ფოტოსურათებისთვის „ნატურის“ შესაქმნელად, გადასაღებად, ფულის შესაგროვებლად, პოლიტიკური დონის და, საერთოდ, პრესტიჟის ასამაღლებლად. ჰამასს მოსწონს ტაძრების მთაზე მოწყობილი არეულობა, მაგრამ გასული კვირადღისთვის, ანუ 16 მაისისთვის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, უკვე ასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა ორივე მხრიდან ისრაელ-პალესტინელთა კონფლიქტს — ვითარება ახალი ესკალაციის ეტაპზე გადავიდა და დამთავრებას პირი არ უჩანს.**

**მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრში ეს კონფლიქტი მოექცა.**

**ჩვენი წვრილფეხობა ტურა-მელიების აქტიურობა, ვიდრე იყო, იმაზე დაბლა დაეცა: „არ უწერია ტურასა ერწო-თიანეთს ჩხავილი“.**

**საქართველოში ისრაელელი ხალხისადმი სოლიდარობის დემონსტრაცია მოაწყვეს.**

**კარგია.**

**ა.ს.**




წამიც და ორივე ეს შენობა მიწასთან გასწორდება

**თავიანთი ვიწრო პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე, გადაწყვიტეს, რომ ჰამასის განადგურება არ შეიძლება: — ჩვენ ვიპოვით მასთან პოლიტიკური თანაარსებობის საშუალებასო. ჰამასი ისრაელის მთავრობას სჭირდება, ყოველ შემთხვევაში ბოლო ოცი წლის განმავლობაში ყველა მთავრობას სჭირდებოდა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა შარონი პრემიერმინისტრი იყო, რადგან იგი (ჰამასი) არისო «პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის» და ავტონომიების ხელისუფლებების საპირწონე.**

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენი წინანდელი წყობა ისეთი ყოფილა, რომ იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გაძლოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში“. ამ უძველესი დამოუკიდებელი სამიწათმოქმედო კულტურისა და ტრადიციების მქონე ერმა ყოველთვის იცოდა, რომ მზეს საქმესთან უნდა დახვედროდა, საქმემდე თუ მზე მიასწრებდა, ვეღარაფერს გააკეთებდა (ოტია იოსელიანი). დღეს კი ისევ ცარიელია სოფლები, გლეხკაცი არ იხედება მიწისკენ...**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# «სახლში დაეტიე და შენს გაჭირვებას შენვე მოუარე, კი არ გამოკეტო სახლის კარი! რომ მიადექი ვინცხას სამათხოვროდ...»

ქვეყნის სიძლიერე ქართველების მშობლიურ მიწასთან ულალატო კავშირში იყო ოდითგან. აკი ილიაც ბრძანებდა: „ჩვენი ხალხი თავისის ბინადრობის დიდი და მკვიდრი მოყვარეაო“.

მიწისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ განაპირობა ის, რომ ქართველთა უძველეს და უმთავრეს საქმიანობას სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა, რომელიც შემდგომ ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის საფუძველიც შეიქნა. „ქართველების ძალა ძველის-ძველ დრომდე მიწის შემუშავება, მეურნეობაა, ჩვენი ძალა იმთავითვე სოფელი იყოო“.

**ჰოდა, ჩვენც თავი მოგვქონდა მტერთან თუ მოყვარესთან, რომ ჩვენი წინაპარი ერთი ხელით ხმალს იქნევდა მტრის მოსაგერიებლად და მეორით — მიწას ამუშავებდა, ხნავდა, სხლავდა და იწევდა ჭირნახულს... მრავალფეროვან ბუნებასთან ჰარმონიულად შეთანასწორებული ქართული ცხოვრების წესი იყო ის ძალა, რომელიც მტრისგან გავერანებულ საქართველოს კვლავ ფეხზე აყენებდა.**

„საკვირველი ეს არის, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფას? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლისღვრასა?“ და იქვე დასძენდა: „უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიკურ აგებულებასა და წყაროებში უნდა მოინახებოდეს. უეჭველია, **ჩვენი წინანდელი წყობა ისეთი ყოფილა, რომ იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გაძლოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში“.**

ამ უძველესი დამოუკიდებელი სამიწათმოქმედო კულტურისა და ტრადიციების მქონე ერმა ყოველთვის იცოდა, რომ მზეს საქმესთან უნდა დახვედროდა, საქმემდე თუ მზე მიასწრებდა, ვეღარაფერს გააკეთებდა (ოტია იოსელიანი). **დღეს კი ისევ ცარიელია სოფლები, გლეხკაცი არ იხედება მიწისკენ...**

**ეს როგორ?! — შემომედავებიან მავანნი, სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით შეიქმნა და დაფინანსდა არა ერთი და ორი პროექტიო: ეს აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამაო, ეს ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამაო, მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა თუ შეღავათიანი აგროკრედიტიო და სხვა თანადაფინანსების პროექტები.**

**მაგრამ ყველა საქმე შედეგით ფასდება. ეს უდავო ჭეშმარიტებაა და, რაკი ამდენ პროგრამებს სათანადო შედეგი არ მოაქვს, ანუ მათი წყალობით სოფელი მაინც ვერ მოღონიერდა, გამოდის, რომ ფული, ანუ კრედიტები წყალში გადაიყარა, თუმცა ისიც საკითხავია, სად გადაიყარა...**

**საინტერესოა, რას ფიქრობენ დარგის სპეციალისტები:**

**ის, რომ დღეს ჩვენს ქვეყანას, თავისი საწარმოო მასშტაბებიდან გამომდინარე, მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქციით შეუძლია შეაღწიოს ევროპულ ბაზარზე და დამკვიდრდეს, ამაში დარწმუნებულნი არიან, მაგრამ, მათი აზრით, აქცენტი არა წარმოების მასშტაბსა და რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, არამედ პროდუქციის უსაფრთხოებასა და ხარისხობრივ მახასიათებლებზე უნდა გაკეთდეს; უნდა აღვადგინოთ და განვავითაროთ აგროეკოლოგიური წარმოების ის ტრადიციები და უნიკალური წესები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, ვაწარმოოთ უხვი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია**. აი მაშინ ექნება ქართულ აგრარულ მეურნეობას განვითარების კარგი პერსპექტივაო.

სოფლის პრობლემებზე მსჯელობისას თავის დროზე დიდი ილიაც ხაზს უსვამდა საქართველოში მრავალდარგოვანი, ფართოდ სპეციალიზებული სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებლობას; რომ დარგობრივ სპეციალიზაციას უნდა ეპასუხა საშინაო და საგარეო ბაზრის მოთხოვნებისთვის. **„ამ ეკონომიურ გზაზე ჩვენი საქართველო რომ დადგეს, ჩვენმა მიწათმოქმედებამ რომ ეს ახალი გზა და მიმართულება აირჩიოს, რუსეთისათვის ის ამზადოს, რაც რუსეთს არ აქვს, და იქიდამ ის ჰზიდოს, რაც რუსეთს ვერც-კი გაუსაღებია – სახელმწიფო ინტერესის თვალითაც-კი მეტად სახეიროა რუსეთისთვისაც“**, — წერდა ერის მამა.

ამგვარი მიდგომა საკითხისადმი სწორედ დღეს ყველაზე მეტად საშურია, რადგან **სხვისი ხელების შემყურე ქვეყანას როდის გამოაცლიან პირიდან ლუკმას, კაცმა არ იცის. დღეს რომ მხოლოდ რუსეთიდან შემოტანილი ხორბლის იმედად ვართ, რომ შეგვიწყვიტოს (მიზეზს მნიშვნელობა არ აქვს) მოწოდება, რა ვქნათ?! შეიძლება გამოჩნდეს სხვა გზა, მაგრამ, ჩიხში მიმწყვდეულს, არა მგონია, საუკეთესო გამოსავალი შემოგვთავაზოს ვინმემ, ამიტომ უნდა გვქონდეს საკუთარი, მცირე მაინც, რისი მიღწევაც სულაც არ არის რთული, თუ ხელს გაანძრევ და არ დაიზარებ**, რადგან, როგორც ილია ამბობს, **„ჩვენებური გლეხი ბინადარი კაცია, საცა დაბადებულა, იქ მკვიდრად ფეხმოკიდებულია და ღრმად ფესვგადგმული. იგი თავის მამა-პაპეულ ბინაზედ დამოკიდებულია მარტო საეკონომიო ანგარიშით – კი არა, არამედ სულითაც და გულითაც; ესე იგი ზნეობითაც შემსჭვალულია. მისი სოფელი სამკვიდროა, თვითონ „მკვიდრია“ თავის სოფლისა და სხვა თავმოსაწონებელი სახელი არ იცის“**. ერის მამის თვალსაზრისით ქართველი გლეხის ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ სახეს მიწათმოქმედების გაძლოლის ეროვნული ტრადიციები და თავისებურებები აყალიბებდა. სწორედ ამიტომ გაიხადა სოფლის მეურნეობა ეროვნული ცხოვრების აღორძინების პროგრამის ეკონომიკურ საძირკვლად.

ილიას სწამდა, რომ **„ჩვენ, ქართველები, პურისა და ღვინის ქვეყანა ვართ, თუ ერმა პურისა და ქერის ხვნათესვის გარდა ვაზის მოვლა მაინც იცის კარგად თუ ავად, იცის ღვინის დაყენება, ჰქმნის ამ ერს სხვასთან შედარებით, თუ სხვა ყოველი გარემოება ერთნაირია, უფრო წინ წასულად ქონებითად და აქედან ზნეობითადაც“.**

**«მზეს საქმესთან უნდა დახვდე! საქმემდე თუ მზემ მიგასწრო, ვეღარაფერს გააკეთებ და ესე იგი დრო დაკარგე... დანაყრებული კაცის გაკეთებული საქმე არ არსებობს! ასე რომ იყოს, მაშინ ლუარსაბს უნდა დაეწერა «ვეფხისტყაოსანი». ყველაფერს მშივრები აშენებდნენ. ...საქმესთან მისვლაა ძნელი, თორემ მერე თვითონ წაგიღებს იგი. დილაობით თავს ვატყუებ – გავალ და ორ მეტრას დავბარავ-მეთქი და ბოლოს ათ მეტრზე ავდივარ, რადგან იგი უკან აღარ მიშვებს»**



ოტია იოსელიანი

**«უნდა შექმნა და გექნება! წადი და ითევზავე, ხე დარგე... ფულიც რომ გქონდეს, იფიქრე ილიასავით – დღეს მე ვის რა ვარგეო. «ბედნიერი ერი» დიდი ასოებით უნდა დავბეჭდოთ და ყველა სახლის კარზე გავაკრათ. მე მაქვს ილიაზე ლექსი, სადაც მიწერია, შენ დროს ერი მართლა ბედნიერი იყო, დღეს უნდა ნახო, რა დღეში ვართ-მეთქი... მინდა, ერთი ლუარსაბის და მეორე დარეჯანის ორდენი ჩამოვაყალიბო. მერე ნახეთ, როგორი ორდენოსნები გვეყოლება!»**

ერის მოძღვარი ქართველ გლეხს შეახსენებდა იმ მრავალსაუკუნოვან ფუნქციას, რომელიც ვაზის კულტურას ჰქონდა ქართველი კაცის სამეურნეო საქმიანობასა და ყოფაცხოვრებაში. ილიამ კარგად იცოდა, რომ მევენახეობა-მეღვინეობა იყო ეროვნულობის, ქართველობის დაცვისა და შენარჩუნების მძლავრი სტიმული. **„ჩვენებურ გლეხკაცს ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩომის წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ იმ წმინდა აუზადაც, სადაც მის მამა-პაპას თავისი ოფლი მოუდენია და მიუბარებია საშვილიშვილოდ“. „ჩვენში რომ გლეხკაცმა თავი დაანებოს თავის ადგილს, ჯერ უნდა გულიდამ ამოიღოს თავისი თემი, თავისი ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითოეული ვაზია, თვითოეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული, და რომელსაც იგი სამკვიდროს ეძახის. ყოველ ამის გულიდამ ამოღება ძნელია“.**

სოციალურ-ეკონომიკური პრობლემატიკის შესწავლისა და ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებათა გაანალიზების შედეგად, ილიამ დაასაბუთა სოფლის მეურნეობის უპირატესი განვითარების როლი და აუცილებლობა ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების საქმეში. **„სოფლის მეურნეობას, ადგილ-მამულის პატრონობის წარმოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და ჩვენში უფრო განსაკუთრებით, იმიტომ, რომ ჩვენში სხვა თვალსაჩინო ეკონომიკური წარმოება არა არის რა, თვინიერ სოფლის მეურნეობის წარმოებისა. თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზრდოებისა, სიმდიდრისა მაგაზედ არის დამყარებული“.**

სოფლის მეურნეობა, როგორც საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების ძირითადი წარმმართველი დარგი, ყოველთვის უკავშირდებოდა ქართველი ერის სულიერი და მატერიალური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სფეროებს, ამიტომ ილიას მიწათმოქმედების გაძლიერება, ანუ „სოფლური მეურნეობა“ მიაჩნდა ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების ქვაკუთხედად და ჩამო-

**„ეკონომიკური გაძლიერებისათვის ჩვენს სოფელს ბუნებისაგან თითქმის არა აკლია-რა. ზომიერი ნელ-თბილი ჰავა, ნაყოფიერი და თითქმის ყველაფრის უხვად მომცემი მიწა, მომასწავებელნი არიან იმოდენა სიმდიდრისა, რამოდენიც საჭიროა, რომ ერმა უმტკივნეულოდ თავი ირჩინოს და ყოველ სფეროში ღონივრად გაიწივ-გამოიწიოს წარმატებისა და კეთილმდგომარეობისათვის“ (ილია).**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აყალიბა კიდეც დარგის განვითარების გზები, რომლებზეც იმდროინდელი ხელისუფლებისგან დაჟინებით მოითხოვდა ყურადღების გამახვილებას. პრაქტიკულად არ დარჩენილა სოფლის მეურნეობის განვითარების არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არ გამხდარიყო მისი განსჯა-განხილვის საგანი.

საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ილია ჭავჭავაძემ თავის წერილში **„კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ“,** რომელიც 1850 წელს იყო დაფუძნებული. დიდი მწერლის სიტყვებით, კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებას წარმატებისათვის რომ მიეღწია, იგი უნდა ყოფილიყო ჭეშმარიტი წარმომადგენელი ადგილობრივ მიწათმოქმედთა და სასოფლო მეურნეობის მოწარმოეთა, — უნდა ყოფილიყო შუამდგომელი მთავრობის წინაშე, რათა მისი მუდმივი მზრუნველობა და შემწეობა იქით მიემართა, საითაც საჭირო იყო. თუ ეს არ მოხდებოდა, საზოგადოება ისევე ისე მკვდარი იქნებოდა, როგორც აქომამდე იყო. მოწინავე ევროპული ქვეყნების: საფრანგეთის, ჰოლანდიის, ბელგიის, გერმანიისა და ინგლისის გამოცდილების მიმოხილვის შემდეგ ილია დაასკვნის: „მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით თავისი ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელ საჭიროებას დღემუდამ ჰგრძნობდეს, და მეორეს გზით — მზად იყოს ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც, საცა კერძო პირთა შეძლება ვერ გაწვდება“.

დღეს შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის დაძლევას; ვერ უზრუნველყოფს:

* სოფლად საქონელმწარმოებელთა მოტივაციის ამაღლებას;
* სასურსათო პროდუქციისა და ნედლეულის წარმოების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას;
* სოფლის მეურნეობის პროდუქციის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი გადამმუშავებელი საწარმოების ამოქმედებას.

ამ ამოცანის განსახორციელებლად, სპეციალისტების აზრით, გამოყოფილი მილიონები უნდა დაიხარჯოს გამიზნულად და უნდა მოხმარდეს მთავარი პრობლემების გადაჭრას, როგორიცაა:

* ერთიანი აგრარული სისტემის შექმნა;
* სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, განვითარების პოლიტიკის შემუშავება — არა მხოლოდ აგრარული, არამედ სოციალური და ყოფითი პრობლემების კომპლექსურად გადაჭრა;
* საქონელმწარმოებელთა უზრუნველყოფა ფინანსური რესურსებით, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს კრედიტებისა და წარმოების საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის შექმნას;
* ირიგაციისა და სადრენაჟო სისტემების აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება ქვეყნის შესაბამის რეგიონებში;
* გლეხურ მეურნეობათა საკონსულტაციო (სასწავლო) ინფორმაციული მომსახურების, როგორც სისტემის, შექმნა და ამოქმედება;
* სოფლად მიწის წვრილმესაკუთრეთა ნებაყოფლობითი საწარმოო და მარკეტინგული კოოპერირება;
* აგროსასურსათო სექტორის განვითარების ხელშემწყობი და მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ფორმირება, რომელშიც პრაქტიკულად მოიაზრება ეკონომიკური მექანიზმის ყველა ელემენტის გააქტიურება აგროსექტორის განვითარების მიმართულებით;
* მომხმარებელთა და მწარმოებელთა ინტერესების ჰარმონიული შეთანაწყობა, შეზღუდული საწარმოოო რესურსების გამოყენება ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის ამაღლების თვალსაზრისით.

აი მაშინ იმედი ჩაესახება გლეხკაცს გულში და ხალისიც დაუბრუნდება მიწაზე მუშაობის, მით უფრო, რომ **„ეკონომიკური გაძლიერებისათვის ჩვენს სოფელს ბუნებისაგან თითქმის არა აკლია-რა. ზომიერი ნელ-თბილი ჰავა, ნაყოფიერი და თითქმის ყველაფრის უხვად მომცემი მიწა, მომასწავებელნი არიან იმოდენა სიმდიდრისა, რამოდენიც საჭიროა, რომ ერმა უმტკივნეულოდ თავი ირჩინოს და ყოველ სფეროში ღონივრად გაიწივ-გამოიწიოს წარმატებისა და კეთილმდგომარეობისათვის“.**

მაგრამ ვაითუ ამ ხნის განმავლობაში ის ჯაჭვი გაწყდა, რომლითაც მშობლიურ მიწასთან, როგორც მარჩენალთან, მიბმული იყო გლეხკაცი? მაშინ სად უნდა ვეძებოთ გამოსავალი? ვინღა გააღებს სოფლებში უამრავი მიტოვებული სახლის კარებს, რომელთა ფანჯრებიდან ახლა სიკვდილი იმზირება? ვაითუ ევროპაში გაქცეულს აღარ სჯერა, რომ **„ერთი უდიდესი წყარო სიმდიდრისა, უფრო მტკიცე და საიმედო ხვნა-თესვაა, მიწათმოქმედება ყოველგვარი, იმიტომ, რომ ამ მრეწველობის ნაამაგარი შეადგენს უპირველეს საჭიროებას ადამიანის ცხოვრებისას“? ვაითუ აღარ თვლის, რომ „ჩვენი ძალღონე, ჩვენი ცხოვრებისა და ვინაობის, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე მიწა და გუთანია“?**

აი კიდევ ერთი წყევკა-კრულვიანი საკითხავი, რომელზეც ნამდვილად ღირს დაფიქრება.

ახლახან „ფეისბუკის“ მომხმარებელთა ყურადღება ერთმა საინტერესო ამონარიდმა მიიპყრო, რომელიც იმის უტყუარი დადასტურებაა, რომ ადამიანს, ვინც უნდა იყოს და რასაც უნდა აკეთებდეს, თუ მიწის სიყვარული აქვს, ის ანდამატივით მიიზიდავს: „მზეს საქმესთან უნდა დახვდე! საქმემდე თუ მზემ მიგასწრო, ვეღარაფერს გააკეთებ და ესე იგი დრო დაკარგე. 10 საათზე მწვანე ჩაის ვსვამ. **დანაყრებული კაცის გაკეთებული საქმე არ არსებობს! ასე რომ იყოს, მაშინ ლუარსაბს უნდა დაეწერა „ვეფხისტყაოსანი“. ყველაფერს მშივრები აშენებდნენ.** შაქარს არ ვხმარობ, აკრძალული მაქვს, რადგან თეთრი სიკვდილია. თაფლს ვიღებ, ოღონდ ნამდვილს. ფუტკარი ჩვენ გვყავს. ჩემი შვილები არაფრისმაქნისები არიან, მაგრამ 200 ძირი ფუტკარი კი ჰყავთ. ერთი კოვზი თაფლი და ერთი ჭიქა ჩაი კაცს მთელი დღე გეყოფა. 10 საათზე ჩაის ვსვამ და 4 საათამდე ვმუშაობ. **საქმესთან მისვლაა ძნელი, თორემ მერე თვითონ წაგიღებს იგი.** დილაობით თავს ვატყუებ — გავალ და ორ მეტრას დავბარავ-მეთქი და ბოლოს ათ მეტრზე ავდივარ, რადგან იგი უკან აღარ მიშვებს.

ეს მხოლოდ ჩემი ჩვევა კი არაა, ყველა ქართველ კაცს ჰქონდა. პუტინია თუ რასპუტინი, ვეთანხმები, რომ ქართველები გამოყაროს აქეთ! სახლში დაეტიე და შენს გაჭირვებას შენვე მოუარე, კი არ გამოკეტო სახლის კარი! რომ მიადექი ვინცხას სამათხოვროდ...

**უნდა შექმნა და გექნება! წადი და ითევზავე, ხე დარგე... ფულიც რომ გქონდეს, იფიქრე ილიასავით — დღეს მე ვის რა ვარგეო. „ბედნიერი ერი“ დიდი ასოებით უნდა დავბეჭდოთ და ყველა სახლის კარზე გავაკრათ. მე მაქვს ილიაზე ლექსი, სადაც მიწერია, შენ დროს ერი მართლა ბედნიერი იყო, დღეს უნდა ნახო, რა დღეში ვართ-მეთქი.** ძეგლებს კი არ ვუდგამთ გამოჩენილ ადამიანებს, დადგმულს ვიპარავთ, ვყიდით და მერე იმით რესტორანში ვქეიფობთ. იმიტომ რომ გაყიდო, ტრაქტორი იყიდო და მოხნა, კიდევ ხო, მაგრამ...

თბილისში ერთ ღამეს რაც რესტორნებში იხარჯება, მთელ ხელოვნებას შეინახავს. მეორე ღამისასაც თუ დაუმატებ — მეცნიერებას. მინდა, ერთი ლუარსაბის და მეორე დარეჯანის ორდენი ჩამოვაყალიბო. მერე ნახეთ, როგორი ორდენოსნები გვეყოლება!

ჩაი მაინც მოვიყვანოთ იმდენი, რომ სხვა ქვეყნიდან არ ვიყიდოთ! კაცი არ იხედება სოფლის მეურნეობისკენ. იმ ადგილებზე აღარც ჩაია, აღარც ყანა. ვუცდით, შავ პურს ვინ გვიწყალობებს“.

აი ეს არის მწარე სიმართლე, რომელსაც გამუდმებით შეგვახსენებდა ხოლმე ბატონი ოტია იოსელიანი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გლეხივით ფუსფუსებდა თავის კარმიდამოში და თანამოძმეთაც იმას უკიჟინებდა, მარჩენალი მიწისთვის მიეხედათ.

უფრო ადრე კი დიდი ილია მოუწოდებდა თანამემამულეებს საქართველოს სოფლის მეურნეობის საუკუნოვანი ტრადიციების შენარჩუნებისკენ, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გათვალისწინებით სახავდა მისი განვითარების გზებსა და საშუალებებს, იცავდა მიწათმოქმედთა ინტერესებს ყველა ჯურის უცხოელი ვაისპეციალისტებისგან, იმხანად მრავლად რომ შემოდიოდნენ და მკვიდრდებოდნენ საქართველოში, ისევე, როგორც დღეს: **„გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება, ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთო“.**

**«სოფლის მეურნეობას, ადგილ-მამულის პატრონობის წარმოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და ჩვენში უფრო განსაკუთრებით, იმიტომ, რომ ჩვენში სხვა თვალსაჩინო ეკონომიკური წარმოება არა არის რა, თვინიერ სოფლის მეურნეობის წარმოებისა. თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზრდოებისა, სიმდიდრისა მაგაზედ არის დამყარებული»**









**«გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება, ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ» (ილია)**



SOS
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2008 წლის ხუთდღიანი „ომის“ შემდეგ ხელისუფლების მიერ საქართველოსთვის თავსმოხვეული პირველი სიცრუე იყო ის, რომ იმდროინდელმა საქართველოს მთავრობამ რუსთაველის პროსპექტზე გამარჯვება აზეიმებინა გაბითურებულ ქართველებს, ხოლო მეორე სიცრუე ახლაც თავს გვახვევია: თუ იტყვი, ომი ცხინვალის რეგიონში ქართულმა მხარემ დაიწყოო, მოღალატედ და რუსეთის აგენტად გამოგაცხადებენ. ამის თქმისთვის პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი კინაღამ იმპიჩმენტით დასაჯეს.**

# ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდი

**ცოტა ხნის წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის წერილი „ინტელიგენციის ქართული“, რომელსაც, ალბათ, ინტერესით წაიკითხავდა ყველა, ვისაც ქართული ენისა და, რაღა თქმა უნდა, საქართველოს ბედი აფიქრებს აწმყოშიც და მომავალშიც. ბატონი გიორგი ძალიან კარგი პუბლიცისტია და ყოველთვის ყურადღებით ვკითხულობ მის და სხვა ბევრის პუბლიკაციებსაც, რომლებსაც გულწრფელად აშფოთებთ ჩვენი ეროვნული კულტურისა და, საერთოდ, ეროვნული თვითმყოფადობის ამჟამინდელი ერთობ ბუნდოვანი პერსპექტივა.**

## აღზრდის სისტემის გაუქმებით დაიწყო ქვეყნის, ერის მომავალი თაობის გადაგვარება

ის, რასაც ბატონი გიორგი და სხვა გულმხურვალე პატრიოტები წერენ ქართველი ერის, მისი კულტურის, სახელმწიფოებრიობის დღეს ერთობ კომშმარულ პერსპექტივაზე, ყველაფერი მართალია და სავსებით ვეთანხმები თითოეულ მათგანს, მაგრამ...

ერთი ამბავი მახსენდება ისტორიიდან: იმპერატორი **ნაპოლეონი** მორიგი ლაშქრობიდან გამარჯვებული შედიოდა საფრანგეთის იმპერიის ერთ-ერთ ქალაქში. როგორც იმდროინდელი წესი (და ტრადიცია) მოითხოვდა, ქალაქი საზეიმო საარტილერიო ზალპით უნდა მისალმებოდა იმპერატორს, მაგრამ ქალაქის შესასვლელთან არანაირი საარტილერიო მისალმება არ ისმოდა. ნაპოლეონმა ჯარი შეაჩერა და ქალაქის კომენდანტის მიყვანა ბრძანა. მიუყვანეს!

— რატომ არ ისმის საარტილერიო მისალმება? — იკითხა იმპერატორმა.

— მაგისთვის სამი მიზეზი მაქვს, — მოახსენა კომენდატმა.

— ჩამოთვალეო, — უთხრა ნაპოლეონმა.

— პირველი არის ის, რომ დენთი არ გვაქვს, — დაიწყო ჩამოთვლა კომენდატმა, — მეორე კი...

ნაპოლეონმა ხელის აწევით გააჩუმა კომენდატი:

— დენთი თუ არ გაქვს, კიდევ რა მიზეზი უნდა დაასახელო, შე სულელოო, — უთხრა ნაპოლეონმა და ჯარი დაძრა.

მოვლენა რომ გააცნობიერო, მისი გამომწვევი მიზეზთა მიზეზი უნდა დაინახო, მისი აღმოფხვრის გზებზე იფიქრო და გაუზიარო სხვებსაც. მეცხვარე თუ ხარ, მგელმა ცხვარი რომ არ გაგინადგუროს, მგლის სინდისზე შეგდება კი არ უნდა მოინდომო, არამედ მგელი მტრად უნდა ჩათვალო, ცხვარს საიმედო ფარეხი აუგო, იალაღზე კი ავი ძაღლები დაუყენო დარაჯად, თორემ ის დაგემართება, რაც ერთ ლიბერასტ (დემოკრატ) მეცხვარეს, მგლის თავზე სახარებას რომ კითხულობდა!

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ მეთქვა: **ჩვენში უკვე წყლის ნაყვაა ლოკალურ თუ საერთო ეროვნულ პრობლემებზე მსჯელობა და მათი გადაწყვეტის მიზეზების ძიება საკადრო თუ ფინანსურ სფეროებში, ჩვენს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში და ა.შ. იმიტომ კი არა, რომ ამ ჩამოთვლილი თუ ჩამოუთვლელი მიმართულებებით ნაკლი არ მოგვეძებნება, არამედ იმიტომ, რომ ამ ნაკლოვანებების გამოსწორების ცდა „წყლის ნაყვად“ იქცევა მაინც. ქვეყნის წინაშე აშკარად მდგომი შავბნელი პერსპექტივა არ გათეთრდება, არჩევნები მაჟორიტარული სისტემით ჩატარდება თუ პროპორციულით, პარლამენტის თავმჯდომარე ან პრემიერ მინისტრი, ან სულაც პრეზიდენტი მიშა იქნება, გრიშა, ლეილა თუ კესარია.** ჩვენი სახელმწიფო ისე მოძრაობს გაურკვეველი მიმართულებით, როგორც ოკეანეში მოძრაობდა ის ხომალდი, რომლის მართვა ხელში ჩაიგდეს აჯანყებულმა მონებმა. მათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ ნავიგაციაზე, ამის მიუხედავად, ეგონათ, თავისუფლება მოვიპოვეთო. **რა იყო სინამდვილეში მათი თავისუფლება, ოკეანის პირველსავე აბობოქრებისას დაინახეს.**

**სამი ათეული წელია, საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობს მკვიდრი მოსახლეობის (არა მხოლოდ ეთნიკური ქართველების, არამედ ყველასი) ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდი. ეჭვი მაქვს, მსგავსი უბედურება ნახევარ მსოფლიოზე მეტს დაატყდა თავს, საამისო არგუმენტებიც მომეძევება, მაგრამ ჩემი საქმე არ არის სხვათა საქმეების გარჩევა. ჩვენი საქმე გვაქვს გასარჩევი და გასარკვევი. ისე, თუ სიტყვამ მოიტანა, შეიძლება ერთი-ორი მაგალითი სხვათა გაუკუღმართებული საქმიდანაც მოვიხმო.**

ამ გაზეთის მკითხველს არ სჭირდება იმის ახსნა, რომ ხალხის ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდი ხალხის იმგვარ გადაგვარებას ნიშნავს, როდესაც სრულად აქვს დაკარგული მისი ეთნოტიპისა და მეტიც, მისი ბიოლოგიური ჯიშისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი. ამის საფრთხე არა მხოლოდ სრულიად რეალურია, არამედ უკვე კარზეა მომდგარი. ამის დამადასტურებელი მაგალითების მოსაძიებლად ბრძენთა ხმობა არ დაგვჭირდება, ქართული ტელევიზიების დიდი უმრავლესობის გადაცემების ნახვაც სრულიად საკმარისია. მათ შორის განსაკუთრებით ავადგამორჩეულია სამი არხი...

ქართველებისათვის დედის გინება რასაც ნიშნავს, ნორმალური ფსიქიკისა და ზნეობის კაცისთვის ახსნა, ალბათ, საჭირო არ არის, რადგან საზოგადოება ჯერ კიდევ არ გადაგვარებულა სრულად. არადა, **ოფიციალურ, სახელმწიფოებრივ დონეზე დედის გინება (ნებისმიერი ფორმით) დანაშაულად არ ითვლება, რადგან დღევანდელი კანონი მასში რაიმე დანაშაულებრივ ქმედებას ვერ ხედავს. მართლა ხომ არ აღუსრულებია ან ხომ არ უცდია იმის აღსრულება, რისი მუქარაც დედის გინებაშიაო, — ბრძანებს კანონმდებელი. დედის გინება, თურმე, ემოციის (აღშფოთების) გამოხატვა ყოფილა და გამოხატვის თავისუფლებას კი ვერავის აუკრძალავ, რადგან დემოკრატიის პრინციპების ფეხქვეშ გათელვად მიიჩნევა.** ამიტომ ჩვენ თვალწინ, პირდაპირ ეთერში, ტელეწამყვანები თუ ტელეარხის დირექტორები (ზოგიერთი იურისტობასაც რომ იბრალებს) უშვერი სიტყვებით დედას აგინებენ დამსახურებულ, საზოგადოებისგან პატივცემულ ადამიანებს, ნამდვილ კაცებს, რომლებმაც სადღაც სხვა ტელეარხებზე მათი მახინჯი გონებისათვის აღუქმელი აზრები გამოთქვეს. მერე ის ჭეშმარიტი კაცები რომ აღშფოთდებიან და იტყვიან, — დედაჩემის შემგინებელს თუ სადმე გადავეყარე, ცხვირ-პირს დავუნაყავო, ტელეეკრანზე „გამობრწყინდება“ ვინმე მამალი ლიბერასტი (იგივე პედარასტი) და ქვეყანას იმის ქადაგებას დაუწყებს, რომ აგრესიული და დაუნდობელი ადამიანები კრიტიკულად განწყობილ ტელეჟურნალისტებს ფიზიკურად უსწორდებიანო. ამას მოჰყვება ის, რომ ლიბერასტი დეგენერატები პიკეტებს მოაწყობენ მათ წინააღმდეგ, ვინც ყიამყრალ ტელევილაცებს ყური აუწია ან სილა გააწნა. მერე ტელეეკრანზე გამოჰყავთ ის „გალახული“ ტელევილაცა, რომელიც დაღვრემილი ყვება იმას, თუ როგორ გაუსწორდნენ „მართლისმთქმელ“ ვიღაცას „სიმართლისმოძულე“ „ჰომოფობები“. იმ „მართლისმთქმელს“ გალახვისა არაფერი ეტყობა და გულწრფელად გეტყვით: **დედაშეგინებულებმა იმ დედისმაგინებელს მეტი კვალი თუ ვერ დაამჩნიეს სახეზე, მართლა დედაშესაგინებლები ყოფილან და ეგ არის!**

**ახლა იმ ლიბერასტ ექსპერტსა თუ უფლებადამცველს ვეკითხები: კაცისთვის სახალხოდ დედის შეგინება მართლა გამოხატვის თავისუფლება და კრიტიკული აზროვნების გამოძახილი გგონიათ (კაცისთვის-მეთქი, თორემ თქვენნაირებისთვის — არა!)? ახლა იმ ავადსახსენებელი ტელეარხების მესვეურებსა და მათ თანამშრომლებს ვეკითხები: დედის უშვერი სიტყვებით მაგინებლებზე გაჯავრებული კაცები (და ქალებიც!) ჰომოფობები და წარსულის გადმონაშთები არიან და თქვენ პროგრესულები და თანამედროვენი ხართ? უფლისა და მშობლის დაფიცება ერთნაირად სარწმუნოდ მიაჩნდათ ქართველებს.** თქვენ სად გაიზარდეთ, რომელ დამპალ თესლზე ხართ აღმოცენებულები, რომ წმინდა და ხელშეუხებელი აღარაფერია თქვენთვის? დათა თუთაშხიასი არ იყოს, სეთურის მონებს რომ მიმართა, ისე უნდა მოგმართოთ: რა გიყოთ და რას დაგამსგავსათ თქვენმა ლიბერასტმა აღმზრდელებმა, ვერ ხედავთ ამას? მამა რომ დაგავიწყეს და მამინაცვლის სულზე გალოცვინებენ, იმიტომ აღარ გრცხვენიათ არაფრის, ხომ? ზნეობა გამოგაცალეს, თქვე უბედურებო, და იმასაც ველარასოდეს ველარ გაიგებთ, რომელი ჯიშის ცხოველებად იქეცით. ადამიანი მართლა „ჰომო საპიენსი“ კი არ არის, „ჰომო მორალესია“, როგორც კანტი იტყოდა. თითოეული თქვენგანი კი განა კაცია-ადამიანი?!

საზოგადოების ერთ დიდ ნაწილში ზნეობის გაქრობა მხოლოდ საჯაროდ დედის გინების თავისუფლებით როდი გამოიხატება. არა! **ქრისტიანულ მორალში (და არა მხოლოდ ქრისტიანულში) ერთ-ერთ უდიდეს ცოდვად ცილისწამებაა მიჩნეული, რომელიც დღეს დანაშაულად აღარ ითვლება და ცილისმწამებელი კანონით არის დაცული, ე.ი., სახელმწიფო უჭერს მხარს. ბოროტსა და უზნეო კაცს შეუძლია, რაც უნდა, ის დააბრალოს პატიოსან კაცს, პა-** ▶



**უფლისა და მშობლის დაფიცება ერთნაირად სარწმუნოდ მიაჩნდათ ქართველებს. თქვენ სად გაიზარდეთ, რომელ დამპალ თესლზე ხართ აღმოცენებულები, რომ წმინდა და ხელშეუხებელი აღარაფერია თქვენთვის? დათა თუთაშხიასი არ იყოს, სეთურის მონებს რომ მიმართა, ისე უნდა მოგმართოთ: რა გიყოთ და რას დაგამსგავსათ თქვენმა ლიბერასტმა აღმზრდელებმა, ვერ ხედავთ ამას? მამა რომ დაგავიწყეს და მამინაცვლის სულზე გალოცვინებენ, იმიტომ აღარ გრცხვენიათ არაფრის, ხომ? ზნეობა გამოგაცალეს, თქვე უბედურებო, და იმასაც ველარასოდეს ველარ გაიგებთ, რომელი ჯიშის ცხოველებად იქეცით**

**ოფიციალურ, სახელმწიფოებრივ დონეზე დედის გინება (ნებისმიერი ფორმით) დანაშაულად არ ითვლება, რადგან დღევანდელი კანონი მასში რაიმე დანაშაულებრივ ქმედებას ვერ ხედავს. მართლა ხომ არ აღუსრულებია ან ხომ არ უცდია იმის აღსრულება, რისი მუქარაც დედის გინებაშიაო, — ბრძანებს კანონმდებელი. დედის გინება, თურმე, ემოციის (აღშფოთების) გამოხატვა ყოფილა, გამოხატვის თავისუფლებას კი ვერავის აუკრძალავ, რადგან დემოკრატიის პრინციპების ფეხქვეშ გათელვად მიიჩნევა.**

SOS

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ სუხს არავინ მოსთხოვს; პატიოსანმა კაცმა კი, თუ გულმა გაუძლო, უნდა ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ის საზოგადოება განა საზოგადოებად ჩაითვლება, რომელშიც ცილისმწამებლები და ზნედაცემულები გაპარპაშებული არიან, პატიოსანი და ზნეობრივი ადამიანები კი დაბრიყვებული?**

დაბრიყვებული იქნებიან, აბა, რა, როდესაც სახელმწიფო თავისი კანონებით, სახალხო დამცველის აპარატით, მკბენარებივით მომრავლებული არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციებით, უსირცხვილობის გაერთიანებებითა და ათასი ჯანდაბითა და ოხრობით ზნეობრივ ადამიანებსა და ადამიანურ ტრადიციებსა და ადათ-წესებს ებრძვიან; წესიერები კი, იმის მიუხედავად, რომ უმრავლესობა არიან, გათითოკაცებულები ებრძვიან უზნეობის შემოტევას შიგნიდან თუ გარედან და რას გახდებიან, ნეტავი?! რას იზამ, ასეა: პატიოსანი ადამიანები მეტწილად მარტონი არიან, სანამ ზნეობრივი გმირი არ მოევლინებათ ბელადად.

რა დიდი დაკვირვება უნდა იმის დანახვას, როგორ აქეზებენ ჩვენში ერთ-ერთ დიდ ცოდვას — **სიცრუეს.** ნებისმიერი რელიგია სიცრუეს დიდ ცოდვად მიიჩნევს, ე.ი., სიმართლის თქმა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებაა, ამიტომაც გვეუბნება დიდი რუსთაველი: „...თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა“-ო. ჩვენში კი სიცრუე სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი და მოწონებული.

სრულიად საქართველომ, ვისაც „თვალნი და ყურნი ასხია“, იხილა და მოისმინა, როგორ დაიძრა საქართველოს ჯარი იმჟამინდელი პრეზიდენტის ბრძანებით ცხინვალის რეგიონში კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად. მე ამ წესრიგის აღდგენის დიდად მოწადინე ვარ, მაგრამ სეპარატისტულ რეგიონს თავს საქართველოს ჯარი დაესხა. უცხოელი ბიძებისაგან (და დეიდებისგანაც) წაქეზებულმა საქართველოს ხელისუფლებამ (?!) არაფრად ჩააგდო იმ რეგიონში მდგარი რუსეთის მცირე სამშვიდობო კონტიგენტი, რადგან ეგონა, რომ რუსეთი თავისი „ჟანგიანი“ ტანკებით ომს ვერ გაბედავდა საქართველოს „სტრატეგიული პარტნიორების“ შიშით. ესეც, ალბათ, „სტრატეგიულმა პარტნიორებმა“ ჩააგონეს. მერე რაც დაგვემართა, ყველამ დაინახა.

2008 წლის ხუთდღიანი „ომის“ შემდეგ ხელისუფლების მიერ საქართველოსათვის თავსმოხვეული პირველი სიცრუე იყო ის, რომ იმდროინდელმა საქართველოს მთავრობამ რუსთაველის პროსპექტზე გამარჯვება აზეიმებინა გაბითურებულ ქართველებს, ხოლო მეორე სიცრუე ახლაც თავს გვახვევია: თუ იტყვი, ომი ცხინვალის რეგიონში ქართულმა მხარემ დაიწყოო, მოღალატედ და რუსეთის აგენტად გამოგაცხადებენ. ამის თქმისთვის პრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილს** კინაღამ იმპიჩმენტით მოუწყვეს.

ეს კი არა, **ერთმა სასულიერო პირმა (მისი რანგი არ მახსოვს) ტელევიზიის ეკრანიდან დაგვიმოძღვრა: ვინც ამბობს, რომ საქართველოს ჯარი თავს დაესხა ცხინვალის რეგიონს, ქვეყნის მოღალატეაო. ეგ მართლაც რომ იყოს, მაგის თქმა მაინც დანაშაულიაო. სასულიერო პირი გვმოძღვრავს, მართლის თქმა დანაშაულიაო. მეტი უზნეობა გაგონილა?! სიცრუის თქმა ზნეობრივია და სიმართლის თქმა — უზნეობა?! სწორედ ეს არის ზნეობრივი გენოციდის ერთობ საჩინო ნიშანი.**

ე.წ. პოლიტიკოს **შალვა ნათელაშვილისაგან** გადადგმული ერთი სწორი პოლიტიკური ნაბიჯიც კი არ მინახავს და არც მართალი პოლიტიკური სიტყვა მომისმენია, მაგრამ მისი ნათქვამი ერთი ხუმრობა სამუდამოდ დამრჩა მეხსიერებაში: **„ჰიტლერს „რუსთავი 2“ ჰქონოდა, გერმანელებს ახლაც არ ეცოდინებოდათ, 1945 წელს ომი რომ წააგეს“-ო.**

ჩვენი უშტურვალო „ხომალდი“, რომლის ეკიპაჟის არც ერთ წევრს ნავიგაციაზე წარმოდგენა არ აქვს, სადღაც მიექანება. „ხომალდის“ მმართველები გვარწმუნებენ, ჩვენი მიზანი ევროპასთან ინტეგრაციააო. შეიძლება ასეც არის, მაგრამ ჩვენმა ხალხმა იცის, რომელ ევროპასთან ჩასახუტებლად მივექანებით? ხომ არ ჰგონია ვინმეს, რომ იმ ევროპისკენ გვექაჩებიან ჩვენი „სტრატეგიული მეგობრები“, რომლის შვილებიც არიან **პლატონი** და **არისტოტელე, ციცერონი** და **დანტე, შექსპირი** და **სერვანტესი, მოცარტი** და **ჩაიკოვსკი, ტოლსტოი** და **პუშკინი, თუნდაც ალექსანდრე მაკედონელი** და **ნაპოლეონი?**

ხომ არ ფიქრობს ვინმე, რომ ლა მანშის სრუტის იქით **რიჩარდ ლომგულის** ინგლისი დახვდებათ ან სენის ნაპირზე **შარლ დე გოლის** პარიზი? არა, ბატონებო! ინგლისში რაინდის წოდებასა და „სერ“-ის ტიტულს კაცზე გათხოვილ კაცს ანიჭებენ, პარიზში კი ეთნიკურ ფრანგებს ღამით გარეთ გამოსვლის ეშინიათ, რადგან მათი „ლიბერასტული დემოკრატიის“ ფლაგმანი ჟურნალი „შარლი ებდოა“.

დიდი ევროპული კულტურა წარსულში დარჩა თავისი **კარუზოთი** და **მარიო ლანცათი, დელ მონაკოთი** და **ლუჩანო პავაროტით,** ახლა ასპარეზზე კოლექტიური **ემინემია,** რომელიც ხალხით გაჭედილ საკონცერტო დარბაზში შარვალს ჩაიხდის, შიშველ უკანალზე მიკროფონს მიიდებს და შიგ ბუთქავს, მერე კი აღტაცებული მსმენელის ტაშის გრიალში ისე დატოვებს სცენას, რომ მადლობასაც არ გადაუხდის მისი უკანალის ბუთქით აღტაცებულ მაყურებელს.

**ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოსცა დიდმა გერმანელმა მოაზროვნე ოსვალდ შპენგლერმა გენიალური წიგნი „ევროპის მზის ჩასვენება“ (ქართული თარგმანის მიხედვით — „ევროპის დაისი“). თუ ასი წლის წინათ ევროპაში უკვე იყო კულტურის დაისი, ახლა იქ კუნაპეტი ღამეა. აი, რის წინაშე დააყენა ევროპა (დასავლეთი, საერთოდ) ზნეობრიობის ნეოლიბერალურმა გენოციდმა. აი, საით მიერეკებიან საქართველოს.** ორი კაცის ერთმანეთთან სქესობრივ კავშირში შესვლას მოსაწონად და მისაბაძად რომ დაგიდგენენ, ზნეობრივი გენოციდია ეს, აბა, რა ჯანდაბაა?! **ეს უბედურება არც ჩვენ და არც სხვებს თავს არ დაგვატყდებოდა, საზოგადოების ინტელექტუალური გენოციდი რომ არ მომხდარიყო დასავლეთში, რომლის მცდელობაც ახლა წარმატებით მიმდინარეობს ჩვენში.** კაცობრიობის მტერმა სატანისტებმა იციან, რომ განათლებულ კაცს ღირებულებით ორიენტირებს ვერ შეუცვლი, ვერ დაარწმუნებ იმაში, რომ დახეულ-დაფლეთილი ტანსაცმელი ჯობია მთელსა და ახალს, ხოლო ემინემის უკანალიდან ბუთქით გამოვარდნილი მყრალი ჰაერი არაფრით ჯობია იმას, „ერთხელ დედაბერმა რომ ბუთქა ბალახვანში“ **(თამაზ წივწივაძე).** ამიტომ **ამ ღვთისფეხისმკვნეტელებმა პირველი განათლების სისტემა ჩაიგდეს ხელში და მიზანმიმართულად აჩლუნგებენ ბავშვების ინტელექტს (ინტერნეტითა და სხვა საშუალებებით), გონებაში უნერგავენ ცრუ პოსტულატებს, უცვლიან ღირებულებით ორიენტირებს. ვაჭარბებ? აბა, ვნახოთ:**

ვეკითხები განათლების (და სხვა რაღაცების) ახლანდელ მინისტრსა და ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში ამ პოსტზე მყოფ ადამიანებს: დიდად პატივცემულნო, სკოლის მასწავლებლობა პროფესიულ საქმიანობად მიგაჩნიათ თუ არა? საერთოდ, პედაგოგობა პროფესია არის თუ არა? ზოოვეტერინარი პროფესიაა, აგრონომი პროფესიაა, ასენიზატორი პროფესიაა და მოზარდი თაობის აღზრდა-განათლება და სწავლება პროფესია არ არის?

**დარწმუნებული ვარ, ისინი ჯერჯერობით ვერ გაბედავენ არას თქმას და, თუ ასეა, კანონში რატომ ჩაწერეს, სკოლაში პედაგოგად შეიძლება დაინიშნოს ყველა, ვისაც ბაკალავრის ხარისხი აქვსო (ე.ი., აგრონომი, ზოოვეტერინარი, სანტექნიკოსი და ა.შ.)? აგრონომი რომ ერთთვიან კურსებს გაივლის და მერე სკოლის მოსწავლეებს ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ისტორიისა და ა.შ. საგნების სწავლებას დაუწყებს, ინტელექტუალური გენოციდი სხვა კი არაფერია.**

ამას გარდა, განათლების დარგის ხელმძღვანელებო, იცით თუ არა, რომ პედაგოგს მხოლოდ ერთი რომელიმე საგნის სწავლება კი არ მოეთხოვება, იგი მოსწავლის სოციალური განვითარების იმ მთლიან პროცესში უნდა იყოს ჩართული, რომელსაც პედაგოგიკის მეცნიერებასა და ფსიქოლოგიაში „აღზრდა“ ეწოდება. როგორც ჩანს, თქვენც დაიჯერეთ ლიბერასტების დოგმა — აღზრდა პიროვნებაზე ძალადობააო, რომ ქადაგებენ და დაუჩემებიათ, სკოლამ უნარების განვითარება უნდა უზრუნველყოსო. ვისაც აღზრდა (ანუ სოციალური განვითარება) და, საერთოდ, განვითარება ერთი და იმავე ამოცანის გადაწყვეტა ჰგონია, პიტალო რეგვენია და ისე იცნობს პიროვნების სოციალური განვითარების ბუნებას, როგორც ვირმა იცის მის ზურგზე გადაკიდებული კურტნის შიგთავსი.

**ინტელექტუალური გენოციდის უკვე მიღწეული შედეგები ისევე აშკარაა, როგორც ზნეობრივი გენოციდისა. ყველა ხედავს (თუ თვალხილულია, რა თქმა უნდა!), რომ ბავშვების (მოზრდილებისაც) დიდზე დიდი უმრავლესობა წიგნს არ კითხულობს; მარტო მხატვრულ ლიტერატურას კი არა, სამწუხაროდ, სასწავლო ლიტერატურასაც. მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობა კომპიუტერის ეკრანზეა მიჯაჭვული: ვირტუალურ სამყაროში თამაშობენ, ინფორმაციებს მოიპოვებენ, აშენებენ, ანგრევენ, ჩხუბობენ, ომობენ, მეგობრობენ და... საერთოდ, ცხოვრობენ. აი, ამ ჯადოსნურ ეკრანს თუ მოაცილებ მათ, მაშინ სოციალურად სრულიად უმწეონი არიან და აკადემიურად აბსოლუტურად უმწიფარნი.** ამ პრობლემის სერიოზული სოციოლოგიური კვლევის შესახებ ჩვენში არაფერი მსმენია. ამიტომაც არის საზოგადოება ასე მშვიდად. სამაგიეროდ, **ტელეჟურნალისტებისა და შოუმენების პროფესიულ საქმიანობაში ხშირად ძალიან კარგად ჩანს ახალგაზრდობის არა მხოლოდ განათლების, არამედ გონებრივი განვითარების სავალალო დონე...** ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთმა პოპულარულმა ტელეარხმა ახალგაზრდობის ინტელექტუალური (ან ინფორმირებულობის) პოტენციური შესაძლებლობების შემოწმება განიზრახა. **რუსთაველის პროსპექტზე, პირველი სკოლის (გიმნაზიის) წინ გამვლელ სტუდენტებს აჩერებდნენ და ეკითხებოდნენ, — აგერ, პოსტამენტზე ვისი ფიგურები დგასო. ასამდე სტუდენტიდან მესამედმაც კი ვერ**

დასასრული იხ. 22-ე გვ.

**ჩვენი უშტურვალო «ხომალდი», რომლის ეკიპაჟის არც ერთ წევრს ნავიგაციაზე წარმოდგენა არ აქვს, სადღაც მიექანება. «ხომალდის» მმართველები გვარწმუნებენ, ჩვენი მიზანი ევროპასთან ინტეგრაციააო. შეიძლება ასეც არის, მაგრამ ჩვენმა ხალხმა იცის, რომელ ევროპასთან ჩასახუტებლად მივექანებით? ხომ არ ჰგონია ვინმეს, რომ იმ ევროპისკენ გვექაჩებიან ჩვენი «სტრატეგიული მეგობრები», რომლის შვილებიც არიან პლატონი და არისტოტელე, ციცერონი და დანტე, შექსპირი და სერვანტესი, მოცარტი და ჩაიკოვსკი, ტოლსტოი და პუშკინი, თუნდაც ალექსანდრე მაკედონელი და ნაპოლეონი?**



**დიდი ევროპული კულტურა წარსულში დარჩა თავისი კარუზოთი და მარიო ლანცათი, დელ მონაკოთი და ლუჩანო პავაროტით. ახლა ასპარეზზე კოლექტიური ემინემია, რომელიც ხალხით გაჭედილ საკონცერტო დარბაზში შარვალს ჩაიხდის, შიშველ უკანალზე მიკროფონს მიიდებს და შიგ ბუთქავს, მერე კი აღტაცებული მსმენელის ტაშის გრიალში ისე დატოვებს სცენას, რომ მადლობასაც არ გადაუხდის მისი უკანალის ბუთქით აღტაცებულ მაყურებელს**

SOS
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მინდოდა, თვით განათლების მინისტრების გონებრივი სიბეჩავის მაგალითები არ მომეტანა, რადგან ეს მთელი ერის სირცხვილია მაინც, მაგრამ, როდესაც ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება ამბობს, ესა და ეს განათლების მინისტრი სასწავლებლად გავგზავნეთ უცხო ქვეყანაშიო, რისი უნდა გვრცხვენოდეს კიდევ?! ჰო, და ასე: ერთმა „დიდმა რეფორმატორმა“ (სინამდვილეში — დეფორმატორმა) მინისტრმა ტელეკამერების წინ დაფაზე უშეცდომოდ ვერ დაწერა სიტყვა „ბავშვი“, რამდენიმე მცდელობის მიუხედავად.**

# ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდი

დასაწყისი იხ. 20-21 გვ.

**უპასუხა: ილიასა და აკაკის ფიგურებიო. ხოლო „დინამოს“ სტადიონის მოპირდაპირე სკვერში მდგარი „მგოსნის“ ძეგლში ვერც ერთმა ვერ ამოიცნო აკაკი წერეთელი.**

ერთ ქართველ მსახიობსა და შოუმენს ასეთი საინტერესო შოუ ჰქონდა: „თავისუფლების მოედანთან“ ვაკისკენ წამსვლელ სტუდენტებს სვამდა „ტაქსიში“ და ვაკეში გაყვანას სთავაზობდა უფასოდ, თუ ისინი გზაში მის სამ-ოთხ კითხვაზე უპასუხებდნენ. არასწორი პასუხის შემთხვევაში „ტაქსის“ დატოვება ელოდათ. კითხვები ძალიან მარტივი იყო, მაგრამ ერთი კითხვა-პასუხი სამუდამოდ დამამახსოვრდა იმ ორი სტუდენტის სრული იდიოტიზმის გამო. ნახეთ:

სამხატვრო გალერეასთან ორი ახალგაზრდა ჩაისვა „ტაქსიში“ **ჯაპანამ.**

— სად სწავლობთ? — ჰკითხა. მათ ერთ-ერთი პრესტიჟული უნივერსიტეტი დაუსახელეს.

— რომელ კურსზე ხართო, — ჯაპანამ.

— მეორეზეო, — უპასუხეს.

ახლა მესამე კითხვას დაგისვამთო, — ჯაპანამ. შოუმენია და იფიქრა, ალბათ, ჯერ გავეხუმრები და მერე დავუსვამ სერიოზულ კითხვებსო და, აბა, მიპასუხეთ: მტკვარი შავ ზღვაში ჩაედინება თუ კასპიის ზღვაშიო?

სტუდენტები ღრმად ჩაფიქრდნენ, მერე ერთმა უთხრა მეორეს, — შავ ზღვაში ჩაედინება ბიჭოო;

— არაო, — გააპროტესტა მეორემ. — მგონი, კასპიის ზღვაში ჩაედინებაო.

— დარწმუნებული ხარო? — ორჭოფულად იკითხა პირველმა.

— არა, მაგრამ ასე მგონიაო, — მეორემ.

ასე იდავეს ზემელამდე. აქ ჯაპანამ მანქანა შეაჩერა...

**— ბიჭებო, დიდი ხანია, თბილისში ცხოვრობთო, — ჰკითხა „ფიქრებში ჩაძირულ“ ე.წ. სტუდენტებს. ერთი მათგანი თბილისელი აღმოჩნდა, მეორე — რაიონიდან ჩამოსული.**

**— გააღეთ კარი და ახლავე გადადით მანქანიდანო, — ისე უთხრა ჯაპანამ, რომ მეგონა, დედისა და მამის სულს ამოუტრიალებდა.**

ეს მაგალითი გამონაკლისი არ გეგონოთ. დღევანდელი სკოლის მოსწავლეთა ცოდნა (ყველაზე არ ითქმის, მაგრამ...) ისეთია, ერთ ანეკდოტში რომ არის: მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება, — რამდენია ხუთჯერ ხუთიო, და მოსწავლე უპასუხებს: ხუთჯერ ხუთი ოცდაორიაო. არაო, — დაუწუნა პასუხი პედაგოგმა, — იცოდე, ხუთჯერ ხუთი ოცდასამია, დიდი-დიდი ოცდაოთხიო. დღევანდელი მოსწავლეების სახუმარო თუ სერიოზულ გამოკითხვებში ცოდნის ისეთი დონე მჟღავნდება, რომ ორმოცდაათი წლის წინანდელი ოროსანი მოსწავლე ოქროს მედალოსნობის კანდიდატად მოგეჩვენებათ.

ზემოთ რომ ვთქვი, თუ სიტყვამ მოიტანა-მეთქი, აი, სწორედ ახლა მოიტანა სიტყვამ და ვიტყვი: აშშ-ის პრეზიდენტის პრესსპიკერმა, ქალბატონმა ფსაკიმ რამდენიმე წლის წინათ საჯაროდ განაცხადა: თუ ბელარუსი უკრაინის საქმეში ჩარევას შეეცდება, აშშ-ის მე-6 ფლოტი მის საზღვრებს მიადგებაო. **ჩემმა კლასელებმა, უიმედო ოროსნებმაც კი იცოდნენ, რომ ვერანაირი საზღვაო ფლოტი ვერ მოადგებოდა ვერც ბელარუსის, ვერც უნგრეთის, ვერც ჩეხოსლოვაკიისა თუ სომხეთის საზღვრებს. იმხანად „ამდენი გეოგრაფია“ ამერიკელმა ოროსნებმაც იცოდნენ, ალბათ.**

ასე რომ, ინტელექტუალური გენოციდი კარგა ხნის დაწყებულია!

გონიერი და პედაგოგიკის მეცნიერების მცოდნე ადამიანები იმთავითვე გრძნობდნენ, რომ ის რეფორმები, რომლებსაც შორეული „გულშემატკივრების“ კარნახით, განათლების ყოველი ახალი მინისტრი დანიშვნისთანავე იწყებდა, სასიკეთო გზით არ წაიყვანდა მოზარდი თაობის სოციალური განვითარების საქმეს. მინისტრები კი ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ყოველ წელიწადს იცვლებოდნენ. მერე და, **ვინ მოჰყავდათ ამ უმნიშვნელოვანესი სამინისტროს სათავეში, რომელზეც ქვეყნის მომავალია დამოკიდებული? — ვინ და სანტექნიკოსები, ციხის ზედამხედველები, ნაპროკურორალები, ნაბუღალტრალები, ვაიმეცნიერები, ათასი ჯურის რაღაცისტები და აზრად არავის მოსდიოდა, პედაგოგიური საქმიანობის ხელმძღვანელად სწავლული პედაგოგი, განათლების მეცნიერებათა მცოდნე დაენიშნათ.** ჰოდა, იმ სანტექნიკოსმა თუ გამინისტრებულმა ციხის ზედამხედველმა ტერმინ „აღზრდის“ გამოყენება აკრძალა სასწავლო-აღმზრდელობით (!) დაწესებულებებში „სტრატეგიული პარტნიორების“ მითითებით, რა თქმა უნდა, თორემ პედაგოგიური ცნება-ტერმინებისა მათ არაფერი გაეგებოდათ. აღზრდა ბავშვის პიროვნებაზე ძალადობააო! ბავშვი ისე უნდა მოიქცეს, როგორც უნდაო, პედაგოგი უნდა დაისაჯოს უსაქციელობისთვის, მოსწავლეს თუ რამე დაუშალაო! **აღზრდის სისტემის გაუქმებით დაიწყო ქვეყნის, ერის მომავალი თაობის ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდი.**



**ვეკითხები განათლების (და სხვა რაღაცების) ახლანდელ მინისტრსა და ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში ამ პოსტზე მყოფ ადამიანებს: დიდად პატივცემულნო, სკოლის მასწავლებლობა პროფესიულ საქმიანობად მიგაჩნიათ თუ არა? საერთოდ, პედაგოგობა პროფესია არის თუ არა? ზოოვეტერინარი პროფესიაა, აგრონომი პროფესიაა, ასენიზატორი პროფესიაა და მოზარდი თაობის აღზრდა-განათლება და სწავლება პროფესია არ არის?**

მინდოდა, თვით განათლების მინისტრების გონებრივი სიბეჩავის მაგალითები არ მომეტანა, რადგან ეს მთელი ერის სირცხვილია მაინც, მაგრამ, **როდესაც ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება ამბობს, ესა და ეს განათლების მინისტრი სასწავლებლად გავგზავნეთ უცხო ქვეყანაშიო, რისი უნდა გვრცხვენოდეს კიდევ?** ჰოდა ასე: ერთმა „დიდმა რეფორმატორმა“ (სინამდვილეში — დეფორმატორმა) მინისტრმა ტელეკამერების წინ დაფაზე უშეცდომოდ ვერ დაწერა **სიტყვა „ბავშვი“,** რამდენიმე მცდელობის მიუხედავად. მეორემ სკოლაში ხუთი წლის ბავშვების მიღება ბრძანა, საამისოდ კი „ურყევი“ მეცნიერული „არგუმენტი“ წარმოგვიდგინა: ერთი წლით ადრე მიღებული ბავშვები ერთი წლით ადრე დაამთავრებენ და მშობლები გაიხარებენო (იმ „ჭკუის კოლოფს“ სწავლისათვის ბავშვის მზაობის ფსიქოლოგიაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა!); მესამე „გენიოსა“ მინისტრმა საბავშვო ზღაპრების შინაარსის გადაკეთება მოინდომა, რადგან ფოლკლორული ნიმუშები მავნე ზეგავლენას ახდენს ბავშვებზეო. აბა, რას ჰგავს ზღაპრის დასასრული „ჭირი იქა, ლხინი აქა“-ო, რომ წერია. რა დააშავეს იქაურებმა, ეს არ არის ჰუმანიზმი და ტოლერანტობაო. აქაც ლხინი იყოს და იქაც, განა ეს არ აჯობებსო. რაც შეეხება „კომბლეს“ პოპულარულ ზღაპარს, რა მაგალითს აძლევს ჩვენს პატარებს ეს ზღაპარი? **მეცხვარეს რომ მხოლოდ ორი ცხვარი ეყოლება, ის რა მენეჯერიაო. იმ გლახამ (მინისტრზე ვამბობ) ისიც არ იცოდა, რომ კომბლე მეცხვარე არ იყო და ზღაპრის შინაარსის გადაკეთება კი უნდოდა.**

მომიტევეთ, ბატონებო, ჩემი ზოგიერთი განსჯა თუ კორექტულობის საზღვარს გასცდა. დასკვნას კი ასეთს გავაკეთებ: ლოკალური თუ გლობალური საქვეყნო პრობლემების აღმოფხვრის ვერავითარი მცდელობა შედეგს ვერ გამოიღებს, თუ იმ უკუღმართობის მიზეზთა-მიზეზი არ აღმოიფხვრა, რომელიც საფუძვლად უძევს თაობათა ზნეობრივ-ინტელექტუალურ გენოციდს.

კერძოდ:

*** აუცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს მოსწავლეთა აღზრდის სისტემა;**

*** პედაგოგის პროფესიას, რომელიც „ყველაზე მნიშვნელოვანია ამ მზის ქვეშ“ (იან კომენსკი), უნდა დაუბრუნდეს ძველი პრესტიჟი და ტრიუმფით დაბრუნდეს სკოლაში;**

*** დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს პედაგოგიური უნივერსიტეტები თელავში, თბილისში, გორში, ქუთაისსა და ბათუმში;**

*** დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტები თბილისში;**

*** სკოლის დირექტორი კვლავაც უნდა იყოს „სკოლის პირველი პედაგოგი, მასწავლებელთა მასწავლებელი“;**

*** განათლების სისტემის სათავეში უნდა იდგეს უმაღლესი რანგის სწავლული პედაგოგი, სამინისტრო კი დარგის პროფესიონალი სპეციალისტებით დაკომპლექტდეს;**

*** კვლავაც სახელმწიფო დონეზე უნდა დამტკიცდეს „მოსწავლეთა ქცევის წესები“, რომელსაც სამართლებრივი კოდექსის ძალა მიენიჭება;**

*** „ბავშვთა უფლებების დეკლარაცია“ უნდა შეიცვალოს „ბავშვთა უფლება-მოვალეობების დეკლარაციით“.**

აი, მაშინ დაიწყება, როგორც განათლების, ისე ერისა და სახელმწიფოს აღორძინება. სხვა ყველაფერი ფსევდოდემოკრატიული და ფსევდოლიბერალური სატყუარაა, რომელიც ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდის ხაფანგის კაუჭზეა წამოცმული.

**ზურაბ ცუცქირიძე,**
პედაგოგიკის დოქტორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პირველი ხარისხის პრემიის ლაურეატი

**ვინ მოჰყავდათ ამ უმნიშვნელოვანესი სამინისტროს სათავეში, რომელზეც ქვეყნის მომავალია დამოკიდებული? ვინ და სანტექნიკოსები, ციხის ზედამხედველები, ნაპროკურორალები, ნაბუღალტრალები, ვაიმეცნიერები, ათასი ჯურის რაღაცისტები და აზრად არავის მოსდიოდა, პედაგოგიური საქმიანობის ხელმძღვანელად სწავლული პედაგოგი, განათლების მეცნიერებათა მცოდნე დაენიშნათ. ჰოდა, იმ სანტექნიკოსმა თუ გამინისტრებულმა ციხის ზედამხედველმა ტერმინ «აღზრდის» გამოყენება აკრძალა სასწავლო-აღმზრდელობით (!) დაწესებულებებში «სტრატეგიული პარტნიორების» მითითებით, რა თქმა უნდა, თორემ პედაგოგიური ცნება-ტერმინებისა მათ არაფერი გაეგებოდათ**

ყველაზე პატარა რევოლვერის სიგრძე 55 მმ-ია, სიმაღლე — 35 მმ, სიგანე — 10 მმ. ამ იარაღიდან გასროლილი ტყვიის სიჩქარე საათში 405 კმ-ია. მისი ტარება აკრძალულია დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში, ხოლო სხვა ქვეყნებში სპეციალური ნებართვაა საჭირო. პოპულარულია კოლექციონერებში. ითვლება, რომ ეს არის რევოლვერ „კოლტ პითონის“ ყველაზე პატარა ვერსია.

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 8 უცნაური გამოგონება იარაღის სამყაროში

ტექნოლოგიების განვითარება ყოველთვის იყო დაკავშირებული სამხედრო საქმესთან. ახალი, მძლავრი და სახიფათო იარაღის გამოგონება ომში სწრაფი გამარჯვებისა და მტრის დაშინების საწინდარი იყო, ამიტომ შეიარაღების ამოცანა ყოველთვის იყო მაქსიმალურად ეფექტიანი და გამოსაყენებლად მარტივი იარაღის შექმნა. სხვადასხვა ეპოქის (მათ შორის ჩვენიც) ზოგიერთი ექსპონატი ნამდვილ საოცრებად იქცა და დღემდე აოცებს ისტორიკოსებსა და იარაღის ოსტატებს.



## იხვის ფეხის მსგავსი კაჟის პისტოლეტი

მარაოს მსგავსად საერთო პლატფორმაზე განლაგებული ოთხი ლულა გარეგნულად იხვის გადაბრუნებულ ფეხს ჰგავს. გამოიგონეს მე-17 საუკუნის ბოლოს. ამ იარაღს იყენებდნენ ბრძოლაში რამდენიმე მიზნისთვის სასროლელად, მაგალითად, ხომალდზე ან ციხეში ამბოხების ჩასახშობად. ის არ მიეკუთვნებოდა ძირითად იარაღს, რადგან გასროლის შემდეგ ძალიან რთული იყო მისი ხელახლა დატენვა. შექმნილი იყო პისტოლეტის რამდენიმე კონსტრუქცია ლულების სხვადასხვა რაოდენობით. ეს იარაღი ძალიან მოსწონდათ საზღვაო ხომალდების ოფიცრებსა და სოვდაგრებს. ღირდა საკმაოდ ძვირი.



## რევოლვერი SwissMiniGun-ი

ყველაზე პატარა რევოლვერის სიგრძე 55 მმ-ია, სიმაღლე — 35 მმ, სიგანე — 10 მმ. ამ იარაღიდან გასროლილი ტყვიის სიჩქარე საათში 405 კმ-ია. მისი ტარება აკრძალულია დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში, ხოლო სხვა ქვეყნებში სპეციალური ნებართვაა საჭირო. პოპულარულია კოლექციონერებში.

ითვლება, რომ ეს არის რევოლვერ „კოლტ პითონის“ ყველაზე პატარა ვერსია, ამზადებენ შვეიცარიაში შეზღუდული რაოდენობით: წელიწადში 100 ერთეულს მოვერცხლილს, 25-ს — მოოქრულს.

რევოლვერს აქვს 6-ვაზნიანი დოლურა. ვაზნებს ამზადებს ამ იარაღის შემქმნელი კომპანია, ღირს დაახლოებით 7 ათასი დოლარი.



## ლაზერული შაშხანა PHASR

ეს შაშხანა ამერიკელმა ინჟინრებმა გამოიგონეს 2007 წელს. ამ იარაღის შესახებ ძირითადი ინფორმაცია გასაიდუმლოებულია. ცნობილია, რომ მისი წონა 35 კგ-ს შეადგენს. ლაზერით შეიძლება დროებით დააბრმავო მოწინააღმდეგე, ისე რომ, სერიოზულად არ დააზიანო. ეს შაშხანა სასიკვდილო იარაღებს არ მიეკუთვნება – ადამიანს დროებით აბრმავებს და ორიენტაციას აკარგვინებს. მისი პროტოტიპია ინგლისური Dazzler-ი, რომლითაც აბრმავებდნენ არგენტინელ მფრინავებს ფოლკლენდის კუნძულებისთვის ომში. აღსანიშნავია, რომ დამაბრმავებელი ლაზერული იარაღის გამოყენება 2017 წლიდან სამხედრო დანაშაულად ითვლება.



## მეხის გენერატორი

ეს არის ბგერითი რობოტი, რომელიც ქმნის უზარმაზარი ძალის აკუსტიკურ დარტყმებს. თავდაპირველად იარაღს ამზადებფნენ სოფლის მეურნეობის ტექნიკის ინჟინრები და განკუთვნილი იყო ფრინველებისა და მწერების დასაფრთხობად. ამ ტექნიკური საშუალების მოდერნიზაცია დაიწყეს ისრაელელმა სამხედროებმა. ბგერით ზარბაზანს რამდენიმე ათეულ მეტრზე შეუძლია სმენის ორგანოების დაზიანება და სიკვდილის გამოწვევა. მოქმედების პრინციპი: თხევადი ბუნებრივი აირი ერევა ჰაერს და მათი დეტონაცია იწვევს ძლიერ დარტყმით ტალღებს.



## ხელის მორტირა

ეს იარაღი განკუთვნილია ხელყუმბარების გასატყორცნად და ნაღმსარტყორცნების პირველსახეა. პირველი ნიმუში მე-16 საუკუნეში დაამზადეს. მორტირას (მოკლელულიანი ქვემეხი) მხარზე ტყავის ბალიშთან ერთად (უკუცემის შესამცირებლად) იდებდნენ და ისე ისროდნენ. ყუმბარებს თავდაპირველად, სტყორცნიდნენ სპეციალურად გაწვრთნილი ჯარისკაცები — გრენადერები. ყუმბარის ტყორცნის სიგრძე 25-30 მ იყო; შორს გასასროლად გამოიგონეს მორტირა, რომელიც ყუმბარებს 200 მ მანძილზე ტყორცნიდა. თუ მსროლელს ყუმბარები გაუთავდებოდა, შეეძლო კარტეჩი (მსხვილი საფანტი) გამოეყენებინა.



## ტუმბოიანი იარაღი РБ-12

1990-იან წლებში რუსეთის არმიას სჭირდებოდა ტაქტიკური იარაღი და სწორედ მაშინ შექმნა კონსტრუქტორმა **ალექსანდრე ბანდაევსკიმ** მცირე ზომის გადასატენი ტუმბოიანი იარაღი. იარაღის დატენვა ხდება ჯერ ზემოთ, შემდეგ ქვემოთ მოძრაობის შედეგად ლულის „ჩამოცმით“ მჭიდიდან მიწოდებულ ვაზნაზე. იარაღი 4 კგ-ს იწონის, სჭირდება მე-12 კალიბრის ვაზნები, კონდახთან ერთად სიგრძე 610 მმ-ია. სულ გამოუშვეს 100 ეგზემპლარი. შემდეგ ეს იარაღი შეცვალეს გლუვლულიანი ტუმბოიანი იარაღით.

## გერმანული ზარბაზნები: «გუსტავი» და «დორა»



„დორა“ ერთადერთი მძიმე სუპერზარბაზანია, რომელიც გერმანელმა ინჟინრებმა შექმნეს 1941 წელს **ადოლფ ჰიტლერის** მოთხოვნით. **ერიხ მიულერმა,** რომელიც საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელობდა, შექმნა შორი მოქმედების მძიმე საარტილერიო იარაღი, რომელიც ჭურვებს 45-50 კმ-ზე ისროდა. მას შეეძლო 1 მ სისქის ჯავშნისა და 7 მ სისქის ბეტონის კედლის გარღვევა.



## იარაღი, რომელიც იწვევს გულისრევას

ამ მოწყობილობის გამოყენებით შეიძლება ადამიანის გულისრევა გამოიწვიოთ. მიეკუთვნება არალეტალურ იარაღებს. ეს არის ფარანი, რომელიც ასხივებს სინათლის იმპულსებს, მოქმედებს თვალის ფსკერზე და იწვევს მხედველობის გაუარესებას, დეზორიენტაციას, თავსბრუსხვევასა და გულისრევას. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ეფექტი გადის. შექმნილია აშშ-ში პოლიციელებისთვის. 2007 წელს, გამოცდის შემდეგ, გაირკვა, რომ იარაღი ყველა ადამიანზე არ მოქმედებს და პროექტი დაიხურა.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# უკრაინას მოუწოდეს, დააბრუნოს «ოკუპანტის» ნაჩუქარი მიწები




**„საბჭოთა კავშირმა კი არ გაათავისუფლა, არამედ დაიპყრო ნახევარი ევროპის ქვეყნები, ამიტომ არ შეიძლება ის „უპირობოდ ჩაითვალოს კეთილ გამარჯვებულად“, — განაცხადა ტელეარხ „პრიამოის“ ეთერში უკრაინის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ანტონ დრობოვიჩმა.**



ვლადიმერ კორნილოვი

„როგორ შევარიგოთ უკრაინელი ხალხი და, საერთოდ, როგორ შევარიგოთ ხალხები, რომლებიც სხვადასხვანაირად აღიქვამენ მეორე მსოფლიო ომს? ერთადერთი გზა არის ისტორიული სიმართლე და მზადყოფნა ისტორიული სიმართლის გასაცნობიერებლად. ამისთვის ბევრი არ არის მზად. ვითარებას ართულებს თვალსაზრისი, რომ გამარჯვებულები უპირობოდ კეთილი არიან, დამარცხებულები — არა, ამიტომ საბჭოთა კავშირს, რომელმაც გაათავისუფლა და შემდეგ დაიპყრო ნახევარი ევროპა, რთულია, უპირობოდ კეთილი ვუწოდოთ. უკრაინა, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ბელორუსია — ეს ის ქვეყნებია, რომლებმაც საკუთარ თავზე იწვნიეს ოკუპაცია“, — განაცხადა დრობოვიჩმა.

ისტორიკოსმა და პოლიტიკურმა მიმომხილველმა **ვლადიმერ კორნილოვმა** დრობოვიჩის ნათქვამის კომენტირებისას აღნიშნა, რომ, უკრაინის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელის ლოგიკით, უკრაინამ უნდა დაუბრუნოს მეზობლებს მიწები, რომლებიც მას „ოკუპანტმა“ აჩუქა.

**„მისი ლოგიკიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უკრაინას კვლავ ოკუპირებული აქვს ლვოვი, ამიერკარპატები, დონბასი. ამასთანავე, საშინელი „ოკუპანტი“ სტალინი შევარდა ბალტიისპირეთში. ლიტვას რატომღაც აჩუქა ვილნიუსი. თუ ასეა, მაშინ დააბრუნოს ლიტვამ ოკუპანტის მიერ ნაჩუქარი ვილნიუსი. ან რატომ არ აბრუნებს უკრაინა პოლონეთის ტერიტორიებს — მაგალითად, ქალაქ ლვოვს ან რუმინეთისა და უნგრეთის ტერიტორიებს, რომლებიც ადრე პოლონეთს ეკუთვნოდა? დრობოვიჩმა, თუ საბჭოთა კავშირსა და საბჭოთა ჯარისკაცებს ოკუპანტად აღიარებს, მაშინ, უწინარესად, თავის პრეზიდენტს აუხსნას, რომ გამარჯვების დღის საზეიმოდ აღნიშვნა არ ეგების, რადგან უკრაინის ოკუპაციის დღე გამოდის. რაც მთავარია, აღადგინონ სამართლიანობა და სხვადასხვა ქვეყანას, მათ შორის რუსეთს, დაუბრუნონ უკრაინის მიერ უკანონოდ ოკუპირებული მიწები“,** — განაცხადა კორნილოვმა.

**politnavigator.net-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**



# WSJ-მა ბილ და მელინდა გეიტსების განქორწინების მიზეზი გამოამზეურა

**სანდო წყაროებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით Wall Street Journal-ი იუწყება, რომ მელინდა გეიტსმა „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელ ბილ გეიტსთან განქორწინებისთვის მზადება თითქმის ორი წლის წინათ დაიწყო.**

გამოცემის ინფორმაციით, ქალბატონი გეიტსი ჯერ კიდევ 2019 წელს ადვოკატებთან განიხილავდა ქმართან განქორწინების საკითხებს.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, წყვილს არ დაუკონკრეტებია განქორწინების მიზეზი, მაგრამ, წყაროს ცნობით, ქალბატონი გეიტსი სხვა საკითხებთან ერთად, შეშფოთებული იყო ქმრის კონტაქტებით აწ გარდაცვლილ ბანკირ **ჯეფრი ეპშტეინთან,** რომელსაც სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით არასრულწლოვანთა ვაჭრობაში ადანაშაულებდნენ.

მელინდა გეიტსმა არაერთხელ მიმართა კონსულტანტებს მას შემდეგ, რაც მასმედიაში გაჩნდა ინფორმაცია გეიტსისა და ეპშტეინის შეხვედრებზე. ბილ გეიტსის წარმომადგენელმა 2019 წელს განაცხადა, რომ „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელ ეპშტეინთან მხოლოდ ქველმოქმედების საკითხებს განიხილავდა, მაგრამ ის ამას ნანობს და შეხვედრებს შეცდომას უწოდებს.

განქორწინების შესახებ ბილ და მელინდა გეიტსებმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადეს. 27 წლის განმავლობაში ერთად ცხოვრების განმავლობაში მათ 3 შვილი გაზარდეს და შექმნეს საქველმოქმედო ფონდი, რომელიც მსოფლიოში მოქმედებს.

ბილ გეიტსი მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების ხუთეულში შედის. წყვილის ქონება 130 მლრდ დოლარადაა შეფასებული.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

# ოლივერ სტოუნმა აშშ რუსეთის წინააღმდეგ მრავალწლიანი ომის წარმოებაში დაადანაშაულა

**აშშ რუსეთის წინააღმდეგ აწარმოებს ომს, რომელიც დაიწყო 2007 წელს, მიუნხენის კონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის, სიტყვით გამოსვლის შემდეგ, — განაცხადა პოპულარულმა ამერიკელმა რეჟისორმა, სცენარისტმა და რამდენიმე წიგნის ავტორმა ოლივერ სტოუნმა ინტერვიუში, რომელიც მას The Washington Post-მა ჩამოართვა.**



ოლივერ სტოუნი

„რუსეთის წინააღმდეგ, დიდი ხანია, მიმდინარეობს კამპანია, წარმოებს ომი. ის დაიწყო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაახლოებით 2006-2007 წლებში, როცა რუსეთის პრეზიდენტი, **ვლადიმერ პუტინი,** მიუნხენში სიტყვით გამოვიდა. სინამდვილეში კი **არ არსებობს რუსეთის აგრესიულობის მტკიცებულება. აგრესია მომდინარეობს ნატოს ძალებისგან, რომლებიც გარს შემოერტყნენ რუსეთს და რომლებიც, სხვათა შორის, ცდილობენ, გარს შემოერტყან ჩინეთსაც. ეს პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პუნქტია, უზარმაზარი მნიშვნელობის“.**

„ამერიკაში ჩვენ გვჭირდება ადამიანები, რომლებიც მხარს დაუჭერენ მშვიდობას; იმას, რომ ვიყოთ პარტნიორები მსოფლიო საზოგადოებრიობის დანარჩენ ნაწილთან; შევეწყოთ ჩინეთს, შევეწყოთ რუსეთს, ირანს და ა.შ.; ჩვენ უნდა შევიცვალოთ თვალსაზრისი, რადგან ჯერ კიდევ მივილტვით იქით, რომ ვიყოთ მსოფლიოში ერთადერთი ზესახელმწიფო და ვაკონტროლოთ ვითარება. ჩვენ არ უნდა განვაგრძოთ ამ გზაზე სვლა, ეს მომაკვდინებელი გზაა“, — დარწმუნებულია ოლიერ სტოუნი.

**„ვფიქრობ, რომ ბევრი ამერიკელი მეთანხმება, მაგრამ პოლიტიკოსები ამაზე არ ლაპარაკობენ. ადამიანები, რომლებიც ასეთ რაღაცებს ამბობენ, არჩევნებში ვერ იმარჯვებენ“,** — განაცხადა რეჟისორმა.

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



# რუსეთმა მისდამი არამეგობრულად განწყობილი სახელმწიფოების სია დაამტკიცა

**რუსეთის მთავრობის დადგენილებით, რუსეთისადმი არამეგობრულად განწყობილი სახელმწიფოების რიგში შევიდა მხოლოდ ორი ქვეყანა — აშშ და ჩეხეთი.**

აშშ-სა და ჩეხეთის მიმართ გავრცელდება რუსეთის პრეზიდენტის მიერ 2021 წლის 23 აპრილს გამოცემული განკარგულებით დაწესებული შეზღუდვები დიპლომატების რაოდენობის შესახებ.

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894